


ლიტერატურული გაზეთი

№16 (248) 6 - 19 სექტემბერი 2019

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



ანდრო ბუაჩიძე

მანათობელი წერტილები

მოთხრობისთვის თემას დავეძებ.

დიუსელდორფში ჩამოვედი და წვიმს. ამ ქალაქში მინდა, ვიხეტი-ლო; მინდა, დავაკვირდე იმას, რაც შორს არის და წერტილივით ციმციმებს, სულერთია, რა იქნება ეს — ქალაქი, სახლი თუ ადამიანი. თვითმფრინავით რომ გადავუფრინე ღამის ქალაქებს, იქ ათასი სინათლე ციმციმებდა და მე ვფიქრობდი, რა იყო ამ სინათლის წერტილებს შიგნით, რა სიხარული თუ ნაღველი იყო მათ წიაღში გახლართული.

ამ ქალაქში ჩამოსვლისთანავე, აეროპორტიდან გამოვეყავი თუ არა თავი, ჭრელი ხალხის მასას შევეფეთე. ვინ აღარ ირეოდა აქ — ინდუსები, ჩინელები, იაპონელები, აფრიკელი ზანგები, პირტიტველა, გაურკვეველი რჯულისა და რასის ადამიანები. აქვე იყვნენ არაბები და თურქები, აგრეთვე თვითონ გერმანელები. ეს ჭრელი მასა აეროპორტის გვირაბიდან გამოსვლისთანავე შემომეფეთა. იმ მიწისქვეშაშიც ჭრელი მასა იყო, ოღონდ იქ თითქოს სხვა რიტმით მოძრაობდა ხალხი, ისინი უფრო დაბნეული მგზავრები იყვნენ, აქ კი, ქალაქის ფართო მოედანზე, სხვადასხვა მიმართულებით მიმსწრაფი ადამიანების წრეში მოვექეცი, რომლებიც მეტწილად აქაურებს ჰგავდნენ, ჭიანჭველებივით ირეოდნენ და სახეზე მიზანდასახულება ჰქონდათ ალბეჭდილი: იცოდნენ, რა სურდათ და საით მიემართებოდნენ. ზოგი მარტო კვეთდა ხალხის მასას, ინდუსები და ჩინელები კი ოჯახებით, წვრილფეხობით, საბავშვო ეტლებით, ველოსიპედებით, დიდი და პატარა ზურგჩანთებით ინაცვლებდნენ ადგილს. ეს გროვა ერთიან, შედედებულ, შემკვრივებულ, მაგრამ მაინც მოძრავ არსებას ჰგავდა. ჯერ ცალკეული ადამიანები ჩაიქროლებდნენ, მერე კი ისევ ინდუსებისა და ჩინელების წელა მოძრავი ჯალაბობა ამოიზიდებოდა და ყოველივე ერთად ბრუნავდა, ზოგჯერ უფრო სწრაფად, ხანგამოშვებით უფრო წელა, მაგრამ განურჩევლად, განუკითხავად, გულგრილად, წარბშეუხრელად. შენ შეგეძლო, ამ მოფუთფუთე მასიდან გამოგერჩია რომელიმე ადამიანი და დაკვირვებოდი მას, ვინაიდან უცხო გარემოში იყავი, მაგრამ ცხოვრების ჩქარი რიტმი არ გაძლევდა ამის საშუალებას და, ისევე როგორც ყველა, შენც ჩქარობდი. თუმცა რა აზრი ჰქონდა ერთი ადამიანის გამორჩევას, ის ერთიც ხომ სხვების მსგავსი იყო და არაფრით განსხვავდებოდა დანარჩენებისგან.



დასაწყისი პირველ გვერდზე

ბისმარკპეტრასეზე მოცემბენე პატარა სასტუმრო „ბისმარკი“ და იქ დავბინავდი. პატარა სასტუმროები უამრავი კუთხე-კუნჭულის მქონეა, შესვლისთანავე ეძებ იმ ერთ ყველაზე უფრო მივარდნილ თუ მიუსაფარ ნერტილს, სადაც საიმედოდ მიიყუჩები და თავისმისადრეკ და სულის მოსახებელ ადგილს ნახავ. ეს ამ სასტუმროს ვინრო, ორადგილიანი ნომერია, სადაც შენ მარტო ხარ. ნომერში შესვლამდე კაფე-ბარიც მოვათვალეიერე და აქაც მრავალი კუთხე და კუნჭული მოვიინიშნე... ზიხარ ბარის კუთხეში და ამ ერთ მტკაველზე განყობილ ადგილსამყოფელს ათვალეიერებ, თან იმასაც ფიქრობ, რომ ევროპის ერთ შეუმჩნეველ ნერტილში იმყოფები, უცნობი ადამიანების გარემოცვაში. ეს ადამიანები უცხო ენაზე საუბრობენ, შენ მათთან არაფერი გაკავშირებს. ისინი გამჩნევენ, ან ვერ გამჩნევენ. ეს არის და ეს. გარეთ წვიმს, დიუსელდორფში წვიმს და ვგრძნობ, რომ წვიმა კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ბარიდან გამოხვალ, აუყვები ხის ვინრო კიბეს, ასევე ვინრო დერეფანს გაჰყვები და შედინხარ ნომერში. იქ, ისევე როგორც სხვა ოთახებში, სიჩუმე და სიცარიელეა, ცდილობ, ამაზე არ იფიქრო, მაგრამ მაინც ფიქრობ ამ სიცარიელეზე. ეს ერთგვარი აკვიატებაა, რომელიც თითქმის ცხოვრების დასაწყისიდან მოგყვება. სადაც შედინხარ, ყველგან სიცარიელის უცნაური განცდა გეუფლება და ახლაც ასე მოხდა, შეხვედი სასტუმროს ამ პატარა ოთახში და სხვა ფეშენებელური სასტუმროებისგან განსხვავებით, სადაც ფართო და ნათელი ოთახებია, რაღაც შინაურული სიცარიელის გრძობა დაგეუფლა. შემოდგომაა, უმზეო ამინდია და ოთახშიც ბინდია ჩამონოლილი. ჩერდები და შენთვის ფიქრობ: რა მინდა აქ? და ატყობ, ეს შეკითხვა გსიამოვნებს და აქ ყოფნაც. სიმარტოვის გამწვავებული გრძობა თითქოს ყოვლისმომცველი გახდა. და ეს შენ გსიამოვნებს. გარშემო სრული სიუცხოვეა, უცხო ქვეყნის უცხო ქალაქში ყველასთვის უცნობი სასტუმროს ყველაზე განაპირა ვინრო ოთახში ხარ შეკედლებული. წვიმამ გადაიღო და ოთახს ჩამავალი მზის სხივებიც დაეცა. იცი, რომ აქ არავინ შემოვა, დერეფნიდან ჩამიჩუმეც კი არ აღწევს. მიდინხარ ფანჯარასთან და იყურები. მეორე სართულზე ხარ, ფანჯარა ეზოში გადის. ეზოში სივრცეს მთლიანად ავსებს დროებით გაუქმებული აუზი და აუზამდე მისასვლელი პატარა მონაკვეთი. ამ მონაკვეთზე მრგვალი დანული საზაფხულო მაგიდა დგას. მაგიდას ირგვლივ ასეთივე სკამები აქვს შემონყობილი; საღამოა და ერთბეწო ეზოს მუქი ჩრდილი ეფინება. და გარშემო ჩადგმული მაღალი სახლების გარემოცვაში დგას ეს შენობაც სხვა ფართო ქუჩაზე გამავალ შენობებთან ერთად. ჩემი ფანჯარიდან მოჩანს მოპირდაპირე, ირბად მდგარი სახლის მაღალი სართულის ვერანდაზე გამოსული ორი ადამიანი. მე ქვემოთ ვარ, ისინი კი ჩემზე გაცილებით მაღლა და შორს იმყოფებიან — მამაკაცი და ქალი. ორნი არიან და ეს არის უმნიშვნელო ნერტილი სივრცეში, ნერტილი, სადაც ადამიანური ვნებებია განფენილი. ისინი ჯერ მშვიდად საუბრობენ, მაგიდასთან მიმსხდარნი, მერე კი ნერვიული შესტიკულაციით განაგრძობენ ლაპარაკს. ქალი ზურგს აქცევს კაცს, ვერანდის ქვის მოაჯირზე გადმოდგება და თვალწინ გადმული სივრცეს გადმოაჭურებს. ისინი მართლაც ნერტილებივით ჩანან, მე ვერ ვხედავ მათი სახის გამომეტყველებას, მაგრამ ვხედავ მათ მოძრავე სხეულებს, მათ შესტიკულაციას. ჯერ ადგილებს იცვლიან, ერთმანეთს სახეში შეჰყურებენ და მერე კი უძრავად დგანან — ეტყობა, კვლავ საუბრობენ თუ ჩხუბობენ. ისინი ვერაფრით წარმოიდგენენ, რომ გარემომცველი შენობების თუნდაც ერთი რომელიმე ასეთივე შორეული ნერტილიდან მათ ვილაც უთვალთვალეს და, რომც წარმოიდგინონ, ვერ მიხვდებიან, რა აზრი აქვს ამგვარ თვალყურის დევნებას. მე კი თანდათანობით უფრო მიზიდავს ეს სურათი, რომელიც ასეთ დროს მხოლოდ ჩემთვის შეიძლება იყოს მიმზიდველი. მსიამოვნებს იმის შეგრძნება, რომ სადაც უცხო ქვეყანაში უცხო ნერტილებს ვაკვირდები. ამავე დროს ისიც მაფიქრებს, რომ ნებისმიერ ნერტილში ასეთი ან სხვანაირი დრამა



ანდრო ბუჯიდი

მანათობელი ნერტილები

თამაშდება. კანტს უთქვამს, ორი რამ მაკვირვებსო — ვარსკვლავებით მოჭედული ცა და მორალური კანონი ადამიანში; ჩემთვის კი ცხოვრებისეული ტკივილები, მორალობა და ამორალობაც ხომ ვარსკვლავებით ქვეყნიერების ყველა ნერტილში გამოსჭვივს. ნერტილები... რა შეიძლება, გამოსჭვივდეს რომელიმე შორეულ ნერტილში, სადაც თანდათანობით საღამოს სინათლეები ინთება? მდურვა, ეჭვიანობა, გულგრილობა, ვნება, სასტიკი მარტოობა, ზნეობა ან ათასგვარი უზნეობა, ან კიდევ შიში, ცხოვრების შიში. დიუსელდორფში რომ მივერინავდი, სრული წყვილი იყო, წყვილადს აპობდა თვითმფრინავი და ზოგჯერ ისე შექანდებოდა, იფიქრებდი, რაღაცას გვერდი გაჰყარო. ჩემი ილუმინატორიდან თვითმფრინავის ნითელშუქნიშნინი ფრთა მოჩანდა. ამ ფრთის ქვეშაც სრული წყვილი იხვდა, მხოლოდ ძალიან იშვიათად, დროდადრო, თუ კარგად დააკვირდებოდი, სიბნელის ფსკერზე მოლიცლიცე სინათლის ნერტილები გაილანდებოდა. ქვემოთ ქალაქი იყო, რომელიღაც დიდი ქალაქი, მეგაპოლისი თავისი ელექტროანძობით, პოსტინდუსტიული ხიდსაბჯენებით, კლაკნილი ხიდებით, კაზინოებით, ოტელებით და მივარდნილ ქუჩებზე მბჟუტავი საროსკიპოებით. და იქაც, ქვემოთ, ნერტილები იყო, მოციმციმე ნერტილები, რომელთა შიგნით თვალისთვის მიუწვდომელი დრამა თამაშდებოდა. იმ წილში გაზავებული ნახევრადბნელიდან ამომხედავისთვისაც ზემოთ ნერტილი მოჩანდა, ნელა მოძრავე ნითელი ნერტილი, თვითმფრინავი, რომლის შიგნით მოუსვენარი, ქვეყნიდან წასული, ბედისმადიელი და ბედს მინდობილი მთვლემარე ადამიანები იყვნენ სამგზავრო სალონის მუქყვიელ ბინდში ჩაძირულები... თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე, რამდენჯერ წამომიყვია თავი სიზმრებიდან, წამომდგარვარ და სრულ სიბნელეში მივლია უძილობისას ოთახებში, ფანჯრიდან გამიხედავს ნამძინარეებს და თვალს მომიკრავს ნითელი მამუქით მანათობელი თვითმფრინავისთვის, ეს წამიერი თვალის შევლება იყო, მერე კი ისევე ვნებობდი და ღრმა ძილში ვიძირებოდი...

ისევ ჩემს ნომერში ვარ. საღამოვდება. ოთახის კუთხეში სინათლეს ვანთებ, გაუხდელად ვნებები და აკუტავავას ვკითხულობ. ეს ის მწერალია, რომელიც ჯერ ცხოვრებისეულ ნერტილს მონიშნავს, მერე შეიღობს იმ ნერტილში და იწყებს თხრობას. „იდიოტის ცხოვრებაში“ აკუტავავა წერს, რომ ის ოცი წლის ასაკში ტოკიოში წიგნის ფარდულის მეორე სართულზე იდგა და მის წინ თაროებზე გამოფენილ წიგნების სათაურებს კითხულობდა. ეს იყო არა წიგნები, არამედ თვითონ საუკუნის დასასრული: „ნიცემე, ვერლენი, ძმები გონკურები, დოსტოევსკი, პაუპტმანი,

ფლობერი...“ მერე საღამოვდება და წიგნები მწუხრში იძირება. მწერალი ზემოდან დაჰყურებს წიგნებს შორის მოსიარულე ადამიანებს და ისინი ნერტილებივით პატარა და უმნიშვნელო ეჩვენება, მერე კი ამბობს: „ადამიანის ცხოვრება ბოდლერის ერთ სტრიქონადაც არ ღირს“. ცოტა ხანს კიდევ დგას და მწუხრში ჩაძირული ზემოდან ათვალეიერებს საბრალო ადამიანებს.

„იდიოტის ცხოვრება“ აკუტავავამ 1927 წელს დაწერა. ამ დროს ის ტოკიოში იმყოფებოდა. ეს მისი უკანასკნელი მოთხრობა იყო, ამის შემდეგ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე და ხელნაწერი მეგობარ მწერალს, კუმე მასასო, დაუტოვა. ყოველივე ამას წიგნის ბოლოს შენიშვნებში ვკითხულობ. მერე წიგნს ვხურავ და გარეთ გასასვლელად ვემზადები. საწვიმარს ვიცვამ. გარეთ უკვე ბინდია და ფართო ქუჩები განათებულია. უკანმოუხედავად მივუყვები გამზირს. კუმე მასაო აქვეყნებს აკუტავავას „იდიოტის ცხოვრებას“ და ყველა გაცოცხლებულია, ყველას უკვირს ამ მოთხრობის გამოქვეყნება. ეს ტოკიოში მოხდა XX საუკუნის 20-იან წლებში, მე კი ახლა დიუსელდორფში ვარ, 2018 წელია, XXI საუკუნეა.

წვიმამ გადაიღო. ბისმარკპეტრასეზე გამოსული ნელა მიუყვები შებინდებულ ქუჩას. შუა ქალაქში ფართო სკვერია, სადაც მოხუცები ჩამავალი მზის სინათლეს უსხვდნან. ბავშვები დარბიან ან ევლოსიპედებს დააქროლებენ და უფროსების გაფრთხილებას აინუნშიაც არ აგდებენ. ასეა ყველგან და აქაც, რა თქმა უნდა. ერთ ძელსკამზე ორი გერმანელი მანანწალა ზის. ნალოთავები სახეები აქვთ, კარიკატურებს ჰგვანან. მწუხრში გარშემო ჩამოფენილი გარეგანათება კიდევ უფრო უცხო ელფერს სძენს მიდამოს. ილუმინატორიდან დანახული თვითმფრინავის ნითელმამუქიანი ფრთა მახსენდება, რომელიც მთელი ღამე აპობდა წყვილადს და მე ვფიქრობ, რომ ძალიან, ძალიან შორს მყოფ ნერტილში მომინია წამოსვლა. ასეთი სიშორე სრულ გაუცხოებას უნდა ინვედედს, თუმცა მთლად ასე არ არის. ადამიანები აქაც ისევე იქცევიან, როგორც იქ, საიდანაც მე წამოვედი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს. საკმარისია, რაიმე ჰკითხო ან რამენაირი ურთიერთობა დაამყარო მათთან, რომ წამსვე შეიგრძნობ სიუცხოვეს.

სუპერმარკეტში შევდივარ და უბრალო ვისკის მომცრო ბოთლს ვიღებ. მინდა, სადმე ჩამოვამებულ სკვერში ჩამოვჯდო, მსუბუქი თრობა ვიგრძნო. მგონი, მდინარის სანაპირო აქვეა და მამინ სასანაპიროზე ჩამოვჯდები ნასაღამოვებს, მაგრამ არა, სანაპირო აქ არ არის, აქედან საკმაოდ შორსაა. ამიტომ გზას განვაგრძობ. ირგვლივ უჩვეულო სიწყნარეა. უცნაურია, შემოდგომის საღამოა და ფართო ქუჩებში თითქმის არავინაა. ჰაინრიხ ჰაინეს ხეივანს მივუყვები და

აქაც კაცის ჭაჭანება არ არის. აქვე მდინარის ერთი ტოტია, საკმაოდ ფართო შენაკადია და დამდგარ წყალში მაღალი ცაცხვები ირეკლება. მოაჯირთან ხეივანის გაყოლებზე სკამებია გამწკრივებული, ერთ სკამზე ვჯდები და ბოთლიდანვე ვიყუდებ სასმელს. ვგრძნობ, როგორ მესხნება მახსოვრობა. ჩემ შიგნით რაღაც მოძრაობს და ისევე სასტუმროს ნომრიდან დანახული მაღალი სახლის ერთ-ერთი ვერანდა თუ აივანი ამოიზიდება. მე მოურიდებლად (ვის უნდა მოვერიდო) შევეყურებ აივანზე მოკამათე წყვილს. ცხადია, ეს ჩემს წარმოდგენაში ხდება. მათი არ მერიდება, რადგან მათივე სიშორიდან ჩემი შემჩნევა შეუძლებელია. ისინი ჯერ კამათობენ, მერე კვლავ ნერვიული შესტიკულაციით საუბრობენ ან ჩხუბობენ, მერე კი ისევე ახლოს მიდინ ერთმანეთთან და ქვავდებიან. ისინი ერთმანეთს ეკვირან, თითქოს შენებებულები დგანან. ასე დგანან, გარინდებულნი და ერთსხეულად ქცეულნი. კაცი მჭიდროდ ეკვირს ქალს. ერთხანს ასე არიან ერთ ნერტილში გაქვავებული, მერე კი შორდებიან და კვლავ გამშავებით ებრვიან ერთმანეთს. ყოველივე ეს ჩემს წარმოდგენაში გაირბენს, რადგან უკვე ნახაბი მაქვს და ხელახლა მეორდება ჩემში. ყველაზე უცნაური ის არის, რომ (როგორც უკვე ვთქვი) ყოველივე ამას მე დიუსელდორფის მაღალ შენობებს შორის ჩაჭედული პატარა ოტელის შეუმჩნეველი ფანჯრიდან ვადევნებ თვალს. უშორესი ნერტილს ვაკვირდები და იქ უკიდურესი გაფაციცებით ვამჩნევ მათ მოძრაობას. ვინ არიან ეს ქალი და კაცი, რა აკავშირებს მათ? ალბათ, რომელიღაც კაფე-ბარში გაიცნეს ერთმანეთი, შემდეგ კი მათივე შეხვედრის მუდმივ ადგილად კაცის ბინა იქცა. მათ თვითონვე გამოიტანეს საშუალოზე თავიანთი ინტიმური ურთიერთობა, თუმცა ამას ჰქვია სააშუალოზე გამოტანა? ისინი ხომ ყველასგან განრიდებულ, უჩვეულო სიმაღლეზე ატყორცნილ ვერანდაზე დგანან, ქვისმოაჯირიან ვერანდაზე და საუბრობენ. ზოგჯერ ჩხუბობენ, ზოგჯერ სდუმან, ზოგჯერ დასდევენ კიდევ ერთმანეთს, თითქოს ბავშვებივით თამაშობენ. დროდადრო ქრებიან და მერე ისევე გამოდიან ვერანდაზე, ერთმანეთის პირისპირ მაგიდასთან ჩამოსხდებიან და სდუმან. მე მგონი, ვისკის, კონიაკს, ყვავს სვამენ. ამა-სობაში დრო იწურება და საღამო ალმაცერად ადგება ვერანდას. ისინი ისევე ქრებიან და სადაც მაღალი სახლის სქელი კედლების მიღმა დროსა და სივრცეში გადაკვეთენ ერთმანეთს, ალბათ მტანჯველ და ტკბილ-მწარე ეროტიკულ თამაშებს ეძლევიან.

მოთხრობისთვის თემას დავეძებ... სინათლის ნერტილებისადმი ლტოლვა ჯერ კიდევ მამინ გამიჩნდა, როცა ბავშვი ვიყავი, როცა სოლოლაკში ვცხოვრობდი, ამაღლებების ქუჩაზე. ფანჯრიდან ქუჩის მოპირდაპირე მხარეს დაღმართზე ჩამწკრივებულ სახლებს ვაყურებდი და ვამჩნევდი, როგორ ინთებოდა თანდათან სინათლეები. ეს გარეგანათება იყო და ბინებში მბჟუტავი ჭაღებიც. შორს, ფერდობზე, აქა-იქ შეფენილი სახლებიც ნათდებოდა და ზემოთ, ნარიყალასკენ, მიმავალ გზაზე ჩამწკრივებული ღამის ნათურებიც. და მე ვფიქრობდი იმაზე, თუ ვინ ცხოვრობდა და როგორ ცხოვრობდა იმ სახლებში, რა ხდებოდა იმ ფანჯრებს მიღმა. დიდხანს ვაყურებდი სივრცეს ჩემი დიდი ოთახების ფანჯრებიდან, თითქოს ვწყდებოდი გარემომცველ რეალობას და სხვაგან ვიხიზნებოდი. მე ბავშვი ვიყავი და ვფიქრობდი იმაზე, რომ იქ ცხოვრობდნენ სხვა ადამიანები, რომელთაც არ ვიცნობდი და არასდროს ვავიცნობდი. მათ თვითონი საფიქრალი და საწუხარი ჰქონდათ, ისინიც თავიანთი ფანჯრებიდან იყურებოდნენ და ხედავდნენ ვინრო ქუჩებს, ჩიხებს, გასასვლელებს, ხედავდნენ სიბნელეს, რომელშიც ზოგიერთი ქუჩა იყო ჩაფლული, ისინი იძინებდნენ და იღვიძებდნენ, შინიდან გადიოდნენ და ისევე შინ ბრუნდებოდნენ, გამუდმებით ვილაცაზე წუხდნენ და ვილაცას მისტიროდნენ, და მაინც განაგრძობდნენ ცხოვრებას — დღისით უჩინრად და უხმაროდ, ღამით კი ჩვეულებრივად, თავიანთი განათებულ ნერტილებში, რომელთაც მე ვხედავდი, მე — მათთვის არარსებული ადამიანი.



ვტოვებ ჰაინეს ხეივანს, ამ გაქვავებულ თუ გარინდებულ ადგილსამყოფელს და ცარიელი ქუჩებით უკან ვბრუნდები. თითქოს ყველა გაიხიზნა და ყველამ მიატოვა ეს ქალაქი, არადა, არც ისე გვიანია და საცხოვრებელ სახლებში ჯერ კიდევ შუქი ანთია. უეცრად ქუჩაში მარტოსული მგზავრი ჩაივლის, ჩვეულებრივად მიაბიჯებს. ის არც ღელავს და არც ჩქარობს, მიდის და მიჰყვება თავის გზას. რაღაც მინდოდა და ის არ მოხდა. მინდოდა, სახელებით განმარტოებით მეგრძნო თავი, მაგრამ ისეთი ფიქრი ამეკვიცია, რომ მყოფდროება დამერღვა. სრული სიუცხოვე ვიგრძენი და იმასაც მივხვდი, გზას უკან ველარ გავიგნებდი. და მართლაც ასეა: აღარ მეცნობა არცერთი ქუჩა, რომლითაც აქეთ წამოვდი. გავდივარ ცარიელ ქუჩებზე, სადაც შუქნიშანი ინთება და ქრება, ინთება და ქრება, და თითქოს გაკვირვება იღვრება ჰაერში იმის გამო, რომ სიცარიელეა შემსწრე ამ ქრობა-ნათების. ამ სახლების ზოგიერთ ფასადში რაღაც ეგზოტიკურს და ნაცნობს ვამჩნევ, თითქოს თბილისის რომელიღაც ძველ უბანში ვარ, მაგრამ ეს განცდა წამიერია, რადგან აქ სახლებიც ისეთივე უცხოა არაა, როგორც ადამიანები. ყველგან ველოსიპედების სადგომებია და ყველგან ერთმანეთზე მიბჯენილი ველოსიპედებია ახორხილი. ოთხმოცდაათიანი წლები მახსენდება, როცა თბილისში ცარიელ ქუჩებში დავდიოდი და ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ახლაც ასეა, ოღონდ მაშინ წყვილადს მივაპობდი შუბლით, ახლა კი სინათლეა ირგვლივ დასადგურებული, სინათლე და უშფოთველობა. და არის კიდევ რაღაც — გლობალური სიუცხოვე, ყველასგან და ყველაფრისგან გაუცხოება თუ გარიყულობა. მაშინაც იყო სიუცხოვე, რომელსაც შიში ახლდა, სხვაგვარი სიუცხოვე, მაშინ არსად ჩანდა სინათლის წერტილები, ეს წერტილებიც კი ჩამქრალი იყო...

ვინრო ჩიხში შევიდვარ, აქ ნახევრად-სიბნელება. ეს ჩიხი კი არ არის, ვინრო ქუჩაა, სადაც ერთმანეთს მიბჯენილი ღამის კაფე-ბარებია, იქ ოდნავ ბუბუტავს სინათლე. თვითონ ეს ბარებიც დერეფანივით ვინროა, თითქოს შიგნით ხალხიც არ არის ბევრი, რამდენიმე კაცი ბორიალობს, დაბოლილები არიან და ჩრდილებივით ედებებიან კედლებს, გარეთაც დგანან, უაზრო სახეებით და აპოპლექსიური მიმოხვრით იქცევენ ჩემს ყურადღებას. ეს ალბათ აღმოსავლური კვარტალია, ამ ქალაქის სხვა ნაწილია, უცხო სხეულია. ადამიანები გამოდინან კაფე-ბარებიდან და ვინრო ქუჩებსა თუ ჩიხებში აჩრდილებივით დააბიჯებენ. ბოლომდე გათიშულები ბარებში რჩებიან და იქ იხლანკებიან. საბოლოოდ ვხვდები, რომ გზა ამეზნა და დავიკარგე. ერთ ბართან აყუდებულ ტიპს ვეკითხები, საით უნდა იყოს ბისმარკტრასე, ის კი გახევებული სახით მიყურებს და აზრზე ვერ მოდის, რა მინდა. რაკი ჩემი დამტვრეული ინგლისურის ვერაფერი გაიგო, ხელებით ვუხსნი, რაც მინდა. ეს კაცი მაინც ვერაფერს იგებს, მაგრამ ყასიდად რაღაცას მანიშნებს, იმ მხარეს ნადიო. მეც მივდივარ, მივდივარ და იმავე ლაბირინთში ვიხლართები. ისევ დაბოლილი სიფათები, ისევ მოღრეცილი სხეულები, განყალბებული თვალები, ზანგები, ზანგი ქალები და კაცები, რომლებიც სიბნელებაში დგანან და იქიდან იყურებიან. ეს წყვილადის ზონაა. ამ ზონაში მე თვითონაც უცხო სხეული ვარ და ვცდილობ ამ მოჯადოებულ წრიდან გამოსვლას. ბისმარკტრასე არავინ იცის, სად არის ბისმარკტრასე, არავინ არაფერი არ იცის. ისინი სხედან, დგანან, მოძრაობენ, მაგრამ რატომ მოძრაობენ, თვითონაც არ იციან. ზოგი მათგანი ისევ ბარში ბრუნდება და იქ ტივტივებს, როგორც აკვარიუმში.

ოტელში გვიან ვბრუნდები და ვაკაკუნებ. კარს არ მიღებენ. მერე კიდევ ვაკაკუნებ. სახელაწილი გერმანელი ბიჭი გამოჩნდება, ერთხანს მაკვირდება, გამომეტყველებაზე ეტყობა, რომ მიცნო და კარს მიღებს. შევიდვარ, გასაღებს ვართმევ და ნომრისკენ მივემართები. „გუტენ ნახტო,“ ვეუბნები ბიჭს და ისიც წამლერებით მეპასუხება: „გუტენ“. შევიდვარ თუ არა ოთახში, ისევ სიცარიელის გრძნობა მიპყრობს. სინათლეს ვანთებ. რაღაც ხმე-


ბი აღწევს ჩემამდე. ფანჯრიდან ვიხედები ეზოში, მოწულ დაბალ მაგიდასთან ორი გერმანელი ზის. სვამენ. დროდადრო ჩაიხითხითებენ და ეტყობათ, რომ ალკოჰოლი აქვთ შემღვრეული ტვინში. ისინი სიბნელებაში სხედან, ალბათ ასე უფრო კარგად გრძნობენ თავს. ისევ მოთხრობაზე ვფიქრობ, თემას ვარჩევ.

უკვე გვიანია. ვნევი და დაძინებას ვაპირებ. ძილ-ღვიძილის ზღვარზე ისევ აკვირებული ფიქრები მანვალებს. ეს მართლაც ნვალეა, რადგან ჩემი გაურკვეველი მდგომარეობა სივრცეში არსებულ წერტილებზე, ამ წერტილებს შიგნით გათამაშებულ დრამებზე, კიდევ სხვა წერტილებზე — ვარსკვლავებით მოჭედ-ილ ცაზე ან როგორც ერთმა პოეტმა თქვა, „მარადისობის ჭუჭრუტანებსა“ და ადამიანებზე ფიქრით ივსება. ვცდილობ, ჩემი აკვირებას მორაული სენტენციები მივუსადაგო, მაგრამ ეს სენტენციები განიბნევა და მათი ნამსვრევებილა მრჩება ხელში. ლათინური გამონათქვამი მახსენდება: „ნილ ადმირარი“ — „წურაფერი გაგიკვირდება“. არადა, იმ მოაზროვნეს, რომელმაც თქვა, ორი რამ მაკვირვებსო, ხომ უეკირდა რაღაც. ესე იგი, რაღაც მაინც ყოფილა გასაკვირი ამქვეყნად. ორი რამ მაკვირვებსო, ვარსკვლავებით მოჭედ-ილი ცა და მორალური კანონი ადამიანში. მე რაღა მიკვირს და მიზიდავს? შორიდან დანახული წერტილები, ყოფიერების წერტილები, რომელთა შიგნით შეღწევაც მიმზიდველია. და თუ სიღრმეში შეაღწიე, დაინახავ, რომ სიცოცხლესთან ერთად ყველგან მუდმივი ტანჯვა და ტკივილი ყოფილა ერთმანეთთან გადახლართული, ყველგან რაღაც სატანჯველია, ამიტომ ვითომდა უშფოთველად მოციმციმე შორეულ წერტილებს ეჭვითა და წყრომით ვუყურებ, სადაც არ უნდა იყოს ეს, შინ თუ უცხოეთში.

თანდათან თვლენა მერევა, ორი გერმანელი ტოვებს ეზოს და ახლა სრული სიჩუმეა. ვწუხვარ, რომ ისინი წავიდნენ, რადგან რაღაცით უნდა შეივლინოს ეს სიჩუმე. სინათლეს ვაქრობ და ნელა გადავდივარ სიზმარში, რომელიც ჩემი ფიქრების გაგრძელებაა.

და აი, მესიზმრება ის, რაც ერთხელ უკვე მართლა მოხდა. შეიძლება ითქვას, რომ ერთ მდინარეში ორჯერ მაინც ვერ შევედი, რადგან პირველი რეალობის, მეორე კი სიზმრის მდინარე იყო. და მაინც მესიზმრება.


მე და ჩემი ცოლი შინ ვართ და ფანჯარასთან ვდგავართ. ნუცუბიძის პლატოს მოპირდაპირე მხარეს, შორს თრიალეთის ქედი და ამ ქედზე შეფენილი ბაგები მოჩანს.



გვაქვს“ — მოგვამახეს. ჩვენ მათ ლაპარაკს აინუნშიაც არ ვაგდებთ. გზას განვარდობთ. სოფლის კიდეს მივადექით და იყალთოს აღმართსაც ავუყვებით. ღამდება. თხელი ბურუსი ქრება და მიმე ბინდი ეშვება იყალთოს კედლებზე და მიმდებარე მთა-გორებზე. გაღვანზე გადავდევრით. შენობებში შევიდვართ და ღამის გასათევე ადგილს დავეძებთ. ცივა. ბუხარში ცეცხლის დანთებას ვაპირებდით, მაგრამ გადავიფიქრეთ. ვერსად მოხერხებულად ვერ მოვეწყეთ და ისევ ბუნების ნიაღისკენ მივებტებით. უკვე სრული წყვილია. კიდევ ერთხელ ვიქცევთ შორს სოფლისკენ და გავხვდავთ ჩამყუდროებულ კარ-მიდამოებს. იქნებ ვინმემ ღამე გაგვათეინოს? ეს აზრი გვებადება, მაგრამ თანდათან ვხვდებით, რომ ამაზე ფიქრი უკვე ნავიანევია.

მთის ფერდობზე მივძვრებით. შორს პატარა სამრეკლოა თუ ნანგრევი. გზას ანთებული ასანთის ღერით მივიკვლევთ. სოფელი განათებულია, ყოველი კარ-მიდამოს ერდოზე ნათურა ციმციმებს. სოფლის გარეთ კი უკუნია და ჩვენც ამ უკუნში მივყვებით ბილიკს. როგორც იქნა, მივალნიეთ პატარა ქვის ნაგებობამდე, რომელშიც წელში თუ არ მოიხარე, ვერ შეეტყვი. ნანგრევის წინ ცეცხლს ვანთებთ და ვთბებით. ღამის ნიავე დაქრის ფერდობზე, ტყიდან წამოსული ნიავე ედება დაბალ ხეებს, ქედებს, ასკილი დაუქებს და ნალვდრდებს ალვივებს. ლიტრიანი ბოთლიდან არაყს ვისხამთ და სულმოუთქმელად ვსვამთ, მერე ცეცხლთან ვსხედვართ და სოფელს ვაყურებთ. ირგვლივ სიბნელება, მაგრამ ამ სიბნელებაშიც ვარჩევთ რკინით შემოკავებულ ფართობს, ძირს დაგებულ ქვის ფილებს და ალაგ-ალაგ წამომართულ ლოდებს. აქ ალბათ სასაფლაოა. ეს სოფლის სასაფლაოა, სადაც ამ სოფლის მკვიდრები განისვენებენ. მათ დატოვეს თავიანთი ეზო-კარი, თავიანთი მიღებული ნათურით განათებული ერდოები და აქ დადეს საუკუნო სამკვიდრებელი. მე და ზაზა აქ ვართ, მათ კვირდით ვწევართ და უკვე საძილედ ვემზადებით. ქვის ნაგებობაში გლუვ ფილებზე ვწვებით და ვიძინებთ. ძილში ჩაგვესმის, თუ როგორ დაძრის ჩირგვებში ნიავე, როგორ დასუნსულებს ქვებზე უპატრონო ნაგაზი, აქვე, შორისაბლოს მაგალი თუ ტურა საკბილოს ეძებს, საფლავის კიდებს ყნოსავს, მიგდებულ რკინის ფირფიტას თუ კონსერვის ქილას წაბოვდება და მიათრევს. ძილში ჩაგვესმის ეს ხმა, ეს ფრუტუნ და გვაფხიზლებს. ვაითუ, ვინმე წამოგვადგეს თავზე, ვაითუ, ნადირა, რომლის მოგვიჩივებაც არცთუ ისე იოლია, იქნებ ჯერ კიდევ დიდი დროა გათენებამდე და იქამდე ვედარც კი ვაფატანოთ... ჰაერში სიცივესთან ერთად შიშის ზაფრა ტრიალებს, თითქოს ავისმომასწავებლად არის სიბნელება გაღვრილი. და აი, ამ დროს გამოძვრები დამზრალი და შეიქცევილი იმ ნაძრახი ქვის ნიშიდან, ჯერ უბადრუკ ნაცეცხლარს დახედავ, მერე კი ცისკენ ალაპყრობ შენს ასევე უბადრუკ მზერას და გაოგნებისგან ერთ ადგილზე ქვავდები. ასეთი რამე არც მანამდე გინახავს და არც მერე: ვარსკვლავებით მოჭედ-ილი ცა! სწორედ ასეთ ცის თაღზე თქვა იმანუელ კანტმა, ორი რამ მაკვირვებსო, — ვარსკვლავებით მოჭედ-ილი ცა და მორალური კანონი ადამიანში. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და თვითონ ადამიანი, ადამიანი თავისი მუდმივი ტანჯვით, ვინაიდან მხოლოდ ტანჯვის ფასად შეუძლია მას თავის უბადრუკ თავს დაემატოს და მორალურ კანონს მოეპოტინოს, როგორც წყალნაღებელი ხავსს... ჯერ ცას ვათვლიერებ მონუსხული, სადაც ვარსკვლავებს შორის ადგილიც კი აღარ არის ვარსკვლავისთვის დარჩენილი, მერე სოფლისკენ ვიყურები და სახლის ერდობზე მოციმციმე ნათურებს ვაკვირდები. იქ ადამიანები ცხოვრობენ და თავიანთ ჭირს და ლხინს რომ მოილევენ, აქ ამოდიან, ამ მთაზე, ამ ნარაიაზე, აქ განაგრძობენ თავიანთ იმქვეყნიურ არსებობას მნათობებით გადაჭადილი ცის ქვეშ. იმისთვის, რომ მათი საწუხარი ამოიციონ, მათივე სახლის ერდო უნდა გადალახონ და შეხვიდე მათ ცხოვრებაში. მე კი ისევ ქვის ნიშაში ვბრუნდები, ვწვები და ვიძინებ, განათებული ცა მესიზმრება.

დასასრული მე-10 გვერდზე



დათო მალრაძე

გაში LA VITA

განათებული შემოდის გემი,
როგორც შორეულ აკორდის ექო...
და ვეძებ ბგერას სიმებზე ხემით,
რომ ვათქმევინო ინსტრუმენტს:
— welcome!

პორტიდან ხშირად ვაცილებ გემებს
და ნატერას ვატან უცხო მხარეში,
აქ, ხან ლოთები ერთმანეთს სცემენ,
ვამშვიდებ ხოლმე ვიღაც გაღეშულს.

ხან პორტის ქეში მთავაზობს ჰაშიმს,
ხან ჟრიაშული ისმის ფურშეტის,
ხან ვმოგზაურობ ჩემს ბავშვობაში,
ქალაქის გემებს როცა ვუშვებდი...

— ითაკასაკენ, სრული სვლით, გემო!
თვით პენელოპა მანვდიდა მოტივს...
ვაჭაშნიკები სტრიქონის გემოს
კონტრადმირალი ქალაქის ფლოტის.

ახლა კი, როცა ხალხი გაველურ-
ებული ჩანს თუ, ნამდვილად არი...
განვდი სათაურს, როგორც სახელურს,
რომ შემოალო ამ წიგნის კარი.

კეთილი იყოს შენი სტუმრობა,
„უსადაურო“ დავარქვი ქალაქს,
კბილებით ვიცავ აქაურობას
და გამოქცეულ კატორღელს ვმალავ.

ვერ მიგატოვებ და აღარც ვცდილობ,
თარსად დაცდილო ხიფათის გზებო,
— ფრთხილად იარე, დათუნა, შვილო, —
ასე მიშვებდა სახლიდან ბებო.

დამადევნებდა ქუჩაში პირჯვარს, —
საფრთხე აცილე და აშორეო...
ხან დამანევედა ლიმოჟის ფინჯანს,
ფინჯანში თაფლი და H₂O.

დავილოცე და მივენდე ნიმფას,
ვერ შევასრულე თხოვნა ბებოსი
და რადგან მაინც შევები ხიფათს,
„უსადაუროს“ გაჩნდა ეპოსი.

...და იქნებ სულაც მხოლოდ პურისთვის
უსადაუროს ესტუმროს ტური,
გაოცებული მოჩანს ტურისტის
თონიდან მისწვდა სურნელი პურის.

ჭერში საცობის კვალი, ქაფიან
შამპანის ბოთლის შადრევნის მერე...
ფურცელზე სუნთქავს კალიგრაფია,
ერთმანეთს ჯერაც წერილებს წერენ.

უსადაუროს მცხოვრები ელის
იმ კაცის სათქმელს,
იმ კაცის სიტყვას,
ვინც ალავერდის გუმბათის ყელის
დაცემულ ველზე, სიმაღლეს მიხვდა.

ვეხმიანები, თუ მაძლევს საშვა-
ლებას სამრეკლო... შორით რომ რეკავს,

სიტყვაში ვურევ ავღანურ ლაჟვარდს
და კრძალვით ვახებ ყინვისის ფრესკას.
და როგორც პოეტს, უსადაუროს
მოსახლეობამ მომცა მანდატი,
იმ ფარისეველ ქრისტიანთათვის...
იმ ფარისეველ ლიბერალთათვის...

თუმცა ძველ კედლებს ჭამს ეროზია,
ამ კანონს ვიცავ
ხმლითა და ეშვით, —
ვინც ძმა გაყიდა, ყველა ბოზია,
ვინც არა, ვუხსნი სავიზო რეჟიმს.

მე ვარ მესაზღვრეც
და ქალაქს ვიცავ,
თუმც არა ერთხელ საზღვართან დამჭერეს,
მიტევენ, მაგრამ მამის სულს ვფიცავ,
არ შემოვუშვებ ქალაქში ვაჭრებს.

ლამის ეთერში ვზივარ ნიუსით,
სიუჟეტებსაც თავად ვალაგებ,
ვარ, როგორც მარკუს აგრელიუსი, —
იმპერატორი და მოქალაქე.

და მოქალაქის ვანიჭებ სტატუსს,
და მხარზე ვახებ ერთგულ სატევარს,
მკითხველს, ვინც იტყვის
სამ სიტყვას ქართულს:
— უსადაუროს მოქალაქე ვარ.

და ვეძებ ბგერას სიმებზე ხემით,
რომ ვათქმევინო ინსტრუმენტს:
— welcome!
განათებული შემოდის გემი,
როგორც მშობლიურ აკორდის ექო.

და ამ წარწერას გემზე, — La Vita-ს
ემთხვევა ჩემი ბუჭედის გემაც,
თურმე პირიქით,
უცხო მხარიდან
სამშობლოსაკენ ვაცილებ გემებს.

აი, გემბანზე გაკრთა მარიტა,
ო, მშვენიერო, მოკითხვა ჩემებს.

აივიაჟი

ამ აივნიდან საფრენად მყოფნის
სივრცე და ფრთები მივანდე ლოგოსს,
დანყებული რომ განვაგრძო სტროფი,
ვთქვათ, მოაჯირზე შემოვსვა გოგო...
შემოვავხვით ჭორები სოფლის,
დიდება ვუთხრა ალერსის მომგონს,
მერე მოყვება ნათბილარ ლოგინს
ათასი „ვიტ“... და ათასი „როგორც“ ...

ეს პეიზაჟი საფრენად მყოფნის
და აივნიდან მივენდე ლოგოსს.

მიმართვა

ფრაზა: — დურგლებო, ასნიეთ ჭერი!
ეკუთვნის ძვირფას სელინჯერს ჯერომს...

და მსურს მოგმართო, მოყვარე, მტერო,
— ცოტათი მაღლა ასნიე ჭერი!
როცა პოეტი ლერნამის ლეროს
გათლის, ისმინე, ერო და ბერო,
ღარბი-ლატაკო, მოლიარდერო,
ერზრუმით ცაზე დადგება მზე რომ,
მოგათქმევინებს სულს ჭადრის ჩერო...
— ცოტათი მაღლა ასნიე ჭერი,
შენი სიმაღლის არ დაიჯერო.

არ დაიჯერო...
არ დაიჯერო...

სანდალი

დღის ბოლოს ვწერდი ჩემს ერთ მეგობარს,
რომ პოეტის ხმა ჩაახშო TV-იმ,
რომ ლრინცელის დადგა ეპოქა
და ჩანს პოეტი
გაჭრილ კარტივით.

თუ რენესანსმა სული დალია,
კოცნით განირავს პოეტს გამცემი...
დავდგეთ იქ,
სადაც ქარიშხალია
და ანგელოსი არის ნაცემი!

ვდგები პირისპირ ძველი კანკელის,
გარეთ ეპოქა მეფობს დაცემის,
ცოცხლდება კადრი, ამოკენკილი
სულის რხევების პაპარაცების:

უკვეთავს ქალი ტრაურის კაბას,
სიცარიელე როცა ტირანობს
და იუნყება გაზეთი: „შაბათს
დე ბერჟერაკი მოკლეს სირანო“.

სიცარიელე, როგორც სამხედრო,
მწყობრი ნაბიჯით მოდის რევანშით,
მოგტაცებს მზერას,
რომ ვერ გახედო,
მზე როგორ ჩავა მნიფე მტევანში.

უკეთესს სხვას რას მისწვდები ამბავს,
თუ პაემანის მოგწვდება ალი.
და სადღეოფლოდ შეკიდულ კაბას
შენს შესახვედრად ჩამოხსნის ქალი.

და შეძახილი:
— ბრავო, მარჩელო!
შენია ქალი, მარჩელო, ბრავო!
ალარაფერი დარჩა სამსჯელო,
გულთამპყრობელო, აბრამის კრავო!

ტრევის ფანტანი... — მარჩელო, ვაშა!
ავანთებ სანთელს საიმკანკელოს
და შეუკვეთავ სამოთხის ჯავშანს,
ინტერნეტიდან ტრევის ანგელოსს.

...მერე როგორი სიალალეა,
როდესაც დნება სანთელი ცვილის,
როცა ყვითელი ფოთლის ალუას
მიეფერება მოხუცი წყვილი.

მეგობარს ვუნერ წერილს დღის ბოლოს,
რომიც ნავა და
კვალი მერე სან-
დალის დარჩება, როგორც სიმბოლო,
გზა გაუკვალა რამაც რენესანსს.

ფოტო ნიგნის თაროზა

ვუძღვნი გელა დევედარიანის ხსოვნას

შერჩენილა ფოტო ნიგნის თაროზე,
როგორც შხეფი ცხრაბალიან ლეღვიდან...
ჩაის მოსვამს, ელოდება ტაროსებს,
ხიფათს მუდამ აცდენილი ელიტა.
პლექსანოვის მადლიანი გამზირი...
ძველი უბნის შარანიანი ბავშვობა,
კოჭებში ჩანს, —
ყოჩია თუ ვაზირი,
ჯოხის ცხენი დაიბრალებს რაშობას...
ჭიქა ღვინო... ცოცხლდებიან მითები...
მკვახე მუშტში სიფაქიზე იების,
ვაჟკაცობის უკვდავ მაგალითებით
თავგანწირვის ასპარეზის ძიება.
ღია ფანჯრის პიანინოს გამები, —
ნაზი რხევა წამით სულის სიმების...
სამრეკლოს ხმა ძველი, კარგი სამების,
ჩახშობილი ისევ დედის გინებით.
ჩანს თბილისი,
სილარიბით მდიდარი,
კაცს იცნობს და
არიფს გვერდით ჩაუვლის,
ხმაში ეკლით, შვიდსიმინა გიტარით
ამოთქმული ცრემლის დღესასწაული.

ნამით ზეცა ჩამოსული მინამდე,
როცა სული სიამაყით ივსება...
UNESCO ალბათ უნდა იცავდეს
გასაქრობად გამზადებულ ღირსებას.

პროდსკის ხმაზე

— უფალი ხარ, თუ ჯვარზე
ჩემს ვაჟს მილურსმულს გბედავ? —
ქრისტეს მიმართავს ასე,
მუხლმოდრეკილი დედა.

— ვინა ხარ? — ჩემი წილის
გაფიქრებაც კი მზარავს...
ჩემი ღმერთი თუ შვილი, —
ცოცხალი ხარ თუ არა?

— სხვაობის ქრება ჩრდილიც,
— ჯვრამდე ავალ თუ ცამდე...
უფალი ვარ თუ შვილი,
მარად შენი ვარ, გწამდეს.

არტური

მებაჟები ჯერ თითქოს დაჰპირ-
დნენ, უკანალის მერე თამაში
დაიწყეს, როცა მოადგა ნაპირს
მთვრალი ხომალდი,
არ განაბაჟეს.

— Zero, neighbors! — მწვანე მაუღზე
ჩინოვნიკები ფულს რომ აგებენ,
პოეტის სიტყვას,
როგორც მაუზერს,
ტოვებენ მუდამ განუბაჟებელს.

მოლიბერალო ახალ კოლექტივს
მოაქვს ეპოქა ხსნილი ტაბუთი,
პოეტის ხომალდს,
როგორც ყოველთვის,
მუდამ აკლია რაღაც საბუთი.

პოსეიდონმა გასცა დასტური,
რომ პოეზიის პრინცი არტური,
ეპოქა კია პრობლემატური,
მანც ჩაივლის
წყალზე ART-ტურით...

მებაჟენი და ფარისეველი...
საქმის გარჩევა... სროლა ღამეში...
კოჭლი კოლა და საშა სევერნი...
— აი, სამყარო,
ლექსის გარეშე!..

შემდგომ ფრაზებსაც ვტოვებ და არ ვშლი,
როცა ადამი ხდება მადამი,
ხელუხლებელი ელვარებს ვაშლი
და ლექსი ეძებს ევას მიდამოს.

და ისმის ჩემი
ხმა: — AVE EVA!
ამ სათაურით ფრიალებს დროშა,
ეს ლექსიც ალბათ იმ რიგში შევა,
როცა ავტორი ჩამორჩა დრო-ჟამს.

და ვიდრე ქაჯებს მიჰყავთ პარადი,
გავიმეორებ ან და მარადის:
— ხელოვნებაში ყველა მედროვე
იხსენიება თანამედროვედ.

— შენდამი შური მავანში უკმა-
რისობას ინვეს, დამთვრალი გემო,
და გასამრჯელო, —
მოშურნის ლუკმა
თურმე შვილთაშვილს უფუჭებს გემოს.

პორტის მესიჯი, —
ისევ უარი...
ფრიალებს აფრა ქარის ამარა
და სამართალი სადმე თუ არი,
უნდა მიადგეს გემი არარატს.

და ზღვის სურნელიც გაჟონავს ხმაში,
მარილიანი სტრიქონის ძალით,
და ლექსით, — პორტში დათარსულ საშვით
სარკმელს შეაღებ
ღამაზი ქალის.

ნიუ-იორკი

ანათებს ენდი უორჰოლის მონრო, —
თავსამკაული მაღალ შენობის...
და ის, ვინც ბოლო სართულზე ცხოვრობს,
მერლინთან ალბათ არის შენობით.

ნინო სიხარულიძე

ავტობიოგრაფია

ძალზე ცოტა ვარ ზეცისთვის,
მინისთვის ძალზე ბევრი ვარ,
წვიმად ვწერივარ სარკმელზე
ნოემბრის ყვითელ ღამეში,
სანამ არ ამომიკითხავთ, ფეხს არ მოვიცვლი აქედან,
არ დამასრულებს განგება თქვენი წყალობის გარეშე.
ძალზე მძიმე ვარ ფრენისთვის,
ქვემძრომობისთვის — პირიქით,
არ მიცდია და, მერნმუნე, არც მომავალში ვაპირებ,
ვარ ისე, როგორც ალისა საოცრებათა მხარეში,
როგორც მეზღაპრე, რომელიც ზღაპრებმა გაინაპირეს.
უფერული ვარ ბროსათვის,
გულთმისანთათვის — პირიქით:
მოზიკური პანო ვარ, ფერებით მონაფერები
და მოთმინების გამწყდარ ძაფს
გვავარ თოვლიან ზამთარში,
როცა გაყინულ ქალაქში მოწყენა დამეძგერება.
ძალზე უცხო ვარ შურისთვის,
ნატვრისთვის შინაური ვარ,
შეენატრი უმისამართოდ გაბნეულ სიტყვა-თილისმებს,
სიტყვა მაცოცხლებს, სიტყვა მკლავს —
ჩუბინის ნასროლ ტყვიას ჰგავს
და ბედისწერა სიმართლეს პირდაპირ გულში მიმიზნებს.
ძალზე დიდი ვარ ღვარძლისთვის,
ღვანლისთვის ძალზე მცირე ვარ
და მაინც მფარველ ანგელოზს კალთაზე ვებლაუჭები,
დრო აღარ მაცლის და ღამის
ღილივით ავწყდე სამყაროს,
ღამის ზემოდან დავლანდო მონატრებული ქუჩები.
...მაგრამ ჯერ ისევ ტორტმანებს
წვიმა წერტილის გარეშე,
ჯერ ისევ წვიმად ვწერივარ ნოემბრის ყვითელ ღამეში.

სხივაცრემლებული
მზე წვიმდა, მზე წვიმდა.
მზენვლას — პატარას
შესცივდა...
ქვაფენილს ფარფატი
მიჰყვება ის ქალი,
რომელსაც იმედის
არ შერჩა მისხალი.
გამოდევნებია წვეთების
ნაკვალევს,
ამ გზა — გრძელს, ამ გზა — სველს
რა დაღვეს...
მზენვლა თბილ ბუდე
ენვია ნაძვანარში
და ამით დასრულდა
წვიმასთან თამაში.
ის ქალი...
ნისლებში ჩაინთქა
ის ქალი,
ის ლურჯი ზმანება —
ბროლი და ფიქალი.

აი, დარდი!

აი, დარდი, თუ ცხოვრება გადის ჩაქჩაქით,
როგორც ბოლო ვაგონი,
რელსებს გაკვრია წარსული, ანმყო,
რეალობა და გამონაგონი.
მე უბილეთო გახლავართ მგზავრი,
უფუფლებო და უპრეტენზიო,
მე უუფლებო გახლავართ მგზავრი და
აქ სიამე როგორ ვეძიო —
აი, დარდი, თუ მიიცოხნება
უსიყვარულო წლების ნახირი,
რადგან სხვა ჰყავდა ამურს სამიზნედ,
არაფერია აქ გასაკვირი.
ვისაც ველოდი, ის არ მოსულა,
სხვა კი იყო და არა იყო რა,
აღარას ვნაღვლობ, დრომ ნაღველიც კი გაახუნა და
თან გაიყოლა.
აი, დარდი, თუ სიცოცხლის ნაცვლად
ფსევდოსიცოცხლეს მივათრევ გაღმა,
თუ ნატვრის ხესაც გაუხმა ფესვი
და უგულობამ გული დანადმა,
თუ ღრუბლის ტყვეა ჩემი ვარსკვლავი,
ოდნავლა ბჭუტავს და ეს ახელებს,
აღარ გიხსენებთ, რადგან ვერ მშველით,
აღარ ვახსენებ მე თქვენს სახელებს.
...სულ ვერაფერი შევცვალე დარდით,
დღეს აღარ ვდარდობ,
მე მოვრჩი, ნადით!

კიბეჯა

ბევრზე ბევრს

როცა ადინარ,
სწორედაც რომ ზეიმობს მაშინ,



შავი უფსკრული პირს აფჩენს და
სიცილით კვდება,
ერთი სული აქვს, ჩაითრიოს,
გამაგრდე უნდა,
კუპრივით შავი ხახით დაგხრას —
არ დართო ნება!
კარგად გაზომე სიმაღლე და სიმყარე კიბის,
გონიერისგან სიფრთხილე რა დასაძრახია!
მაგრამ თუ მუხლი არ გიჭრის და
მიცოცავ მაინც,
მოწყდე და პირქვე დაენარცხო,
შენზე ახია!

არარსებულ ტელეფონზე ისევ არვინ რეკავს,
ისევ არვინ აკაკუნებს არარსებულ კარზე —
ნეტა, რატომ მოელოდი წვიმის დაბრუნებას,
გაზაფხულებს, დაზაფრულებს, რატომ გაენაზე?!
განა ისევ შერჩა სითბო არარსებულ ბუხარს,
განა ისევ ითბობ ხელებს მოგონების ალზე —
წარსულიდან გამოდევნილ ათას ნაყარწყარს
გულისკარი საიმედოდ რად არ ჩაურაზე?!
ღამე თავი დაიმშენა ვარსკვლავების მძივით,
გაბედე და მისამართი ძველი გადახაზე!
არარსებულ ტელეფონზე მაინც არვინ რეკავს,
მაინც არვინ აკაკუნებს არარსებულ კარზე...

ცაზე მთვარეა — უსწორმასწორო,
მე ჩემთვისა ვარ, ის კი — თავისთვის;
ვერც კი შემამჩნევს და, მით უმეტეს,
ვერც ჩემს ღამეულ ლექსებს დაითვლის.
მომყვება ფიქრი — უსწორმასწორო,
ანდა, პირიქით, ფიქრებს მივყვები,
გზადაგზა ყრია რიყის ლოდები —
უმაქნისი, ვით ჩემი სიტყვები.
უსწორმასწორო თარგზე აჭრილი
გზებით, ვინ იცის, სანამდე ვივლი,
მთვარის ნარჩენი გართხმულა ცაზე,
ვით გამობრული, მტკივანი კბილი.

ნაღდი თბილისელი

თბილისურ ჭადრებს უხდებიან,
ტოტებზე ერთად ქუჩდებიან,
ფიფივებენ და ყუჩდებიან, არსაიდან არ ბრუნდებიან,
რადგან არ გვტოვებენ, თოვლს ეურჩებიან,
არსად მიფრინავენ ჩვენი ბედურები —
მივყვები ქვაფენილს, ირიბად დაფენილს,
ჯიბეში საკენკით მათ ნახვას ვეშურები.
ეს მარტის საღამო მთვრალივით ბანცალეხს,
მოდით, ბედურებო, მეგობრად ჩამთვალეთ.
მეც თქვენიანი ვარ და გულით მოგართვით
პატარა სუფრიდან პატარა ნობათი —
სველ ტოტებს აყვურებ და თვალებს ვაცეცებ,
მოდით, სიყვარული მოინამცეცეთ!
მერე ეუღღრტულეთ თბილისურ ალიონს,
იქნება ზედაშედ მზის შუქიც დავლით.
ბუდის დარდი ნუ გაქვთ — ჭადრებს აბარიათ,
ბუდეს თუ არ გირწევთ, ის რა ჭადარია!
და როცა დამტოვებთ, ფრთას ფრთას დაატოლებთ,
ზეცაში მეგზურად ლოცვას გაგაყოლებთ.
...თუკი ვინმეს ჰქვია ნაღდი თბილისელი,
თქვენ, პანია ფრთოსნებს, გშვენით ეგ სახელი.



მენაგული კლანეტა მარსი

ფრაგმენტი მოთხრობიდან

გვეძღვნება ლამურებს, ლიბერალებს, კონსერვატორებს, პოლიტიკორექტურულებს, არაპოლიტიკორექტურულებს, გლობალისტებს, ანტიგლობალისტებსა და პატარა ქვეყნების მკვიდრებს.

ბიორბი მახვების მაღალ, სარწვევლა სკამზე იჯდა და მარსის მონიტორს, ერთ-ერთ ფეროვან უდაბნოს გაჰყურებდა. ეს სკამი, სახელურებზე არნივის თავებით, ფეხებზე არნივისვე ბრჭყალებით, საზურგეზე, ზედ თავთან, შარავანდედით ამოზრდილი ბორჯღალოს წრებრუნვით, ვაზის მოჩუქურთმებული მტევნებითა და ასომთავრული წარწერებით, ტკივილამდე მშობლიური იყო. სკამის მოდელი, ჯერ კიდევ შორეულ 2085 წელს დააპატენტა ლოკალური მნიშვნელობის დიზაინერმა ფრიდონმა, რატომღაც „მახვების“ უწოდა და ზუსტად ერთ წელიწადში 3D პრინტერებზე 300 მილიონი ეგზემპლარი ამოებულა. ქართული სარწვევლა სკამი იაპონიიდან ჩილიმდე და კანადიდან ავსტრალიამდე დედამიწის ყოველ მუხარე ოჯახში იდგა. ფრიდონის ღირებულებით შედგებულ არაფერი შეუქმნია, მაგრამ მახვების სკამი საკმარისზე მეტი აღმოჩნდა, რომ დიდძალი საჭურჭლე მოხვეჭა და ყველაზე ცნობილი თოქ-შოუების — „საფიხნოების“ მუდმივი სტუმარი გამხდარიყო...

ია ყველაფერი ღვთაებრივი წესრიგითა და დრამატურგით...

გავა დრო, მომდევნო ქართული ექსპედიცია ჩამოვა მარსზე, იპოვნიან რობოტს და ჩართავენ. „ვახტანგი“ გიორგის ჩანაწერებით ამტყვევდება და მოჰყვება კოსმიური მარტოობის არნახულ ამბავს, რადგან რობინზონ კრუზოს ცხოვრება, ამასთან შედარებით ერთი დიდი „ფართია“, თუ ძველმოდურები ვიქნებით და „წვეულე-ბას“ არ ვიტყვი. გიორგი კი ძველი ყაიდის კაცია, იცის რომ „ფართი“ სასაცილოდ ჟღერს და ახალ თაობას ღიმილს ჰგვრის, მაგრამ ვერ გადაეჩინა. თვითონაც, ზუსტად ასე ელიმბოდა, როცა გიორგი ბაბუა „ტოს“ ამბობდა „ვეფოს“ ნაცვლად.

მეორე წელი იწურება, იწურება ღვინის, თრიაქისა და ბორჯომის მარაგიც. თუმცა, ბორჯომი რად უნდა, როდესაც ნაბახუსევეზე აღარ იქნება. უკანასკნელი 100 ლიტრიანი ბოცა ნახევრამდე ჩამოიცილა. „ეს ქვიშის საათია, დარჩენილი სიცოცხლის ამოვლელი, უფრო სწორად ჩამომთვლელი“ — ეუბნებოდა გიორგი რობოტს. ლითონის ვახტანგი უსმენდა და იწერდა ბოცაში გადასულ სიტყვებს. „შეცვამ უკანასკნელ წვეთებს და ჩემი უცნაური ცხოვრებაც დასრულდება, ზუსტად ვიცი, ასე მოხდება. შაგრენის ტყავივითაა, მაგრამ შაგრენი ათასჯერ ილბიანი იყო. ჩემი საათი სურვილებს ვერ მისრულებს, პირიქით, აუტანლად მიმძაფრებს და არ დაგვიწყნდეს, ბალზაკის გმირი დედამიწაზე მოკვდა, მშობელი მიწის ნიაღში“ — განაგრძობდა გიორგი.

ყოველ დილას ნაბახუსევეზე იღვიძებდა, ტუტანჰამონით გამოშრალი. „სარკოფაგიდან დგება მუშია, სო სიჩუმი“ — ეს ლექსი გალაკტიონმა თითქოს გიორგიზე დაწერა, გალაკტიკური ხილვებისას. ხელის ცეცებით ბორჯომის ბოთლს მოძებნიდა, ბოლომდე აშრობდა და უკიდევანო სიჩუმეს უსმენდა. მერე ჩიბუხს მარისხანით გატენიდა და რეალობის შეგრძობების დაკარგვამდე ისწრაფდა.

გიორგი ეწერა წინ დგებოდა, თუ ადგომა შეეძლო. პრიმიტიული და ჯადოსნური საგანი კოსმონავტს მარტივ, ნამდვილ გამოსახულებას აჩვენებდა. ასე ნაცნობი, 40 წლის ასაკში გაჭაღარავებული, სახედალარული, დაღლილი კაცი უსწორებდა მზერას და თვალს არ აცილებდა, სანამ თვითონ არ გაიხედავდა.

ჩართავდა ვახტანგს, რომელსაც დიდ მუცელზე ეკრანი ჰქონდა, მოძებნიდა აპლიკაციას სახელწოდებით „1000 ლექსი, რომელსაც უნდა მოუსმინო, სანამ ცოცხალი ხარ“ და უსმენდა საათობით. აქ იყვნენ პეტრარკა და იეიტსი, ბოდლერი და იათამ-ვილი, ბო ძიუი და რაინერ მარია რილკე, რუსთაველი და დანტე და მრავალი სხვა, მაგრამ არაფერი უხდებოდა კოსმოსს, ისე, როგორც გალაკტიონი.

მარსზე თვეობით მძინვარებდნენ ქარიშხლები, ისეთი ქარიშხლები, ტორნადო ზაფხულის სიოდ მოგეჩვენებოდა. ამ დროს, რა თქმა უნდა, „კოლიდაში“ იკეტებოდა და კოსმოსური ხომალდის ილუმინატორიდან გასცქეროდა ომის ვარსკვლავის მრისხანებას. ხომალდს მარსის ქვასავით ნიადავში ფოლთის ფესვები ჰქონდა გადგმული, მაგრამ გიორგის ეჩვენებოდა, ერთხელაც გრიგალი ყვავილივით მოსწყვეტდა გიგანტურ მანქანას და უსასრულობაში გაიტაცებდა.

ზამთარში, როცა სიკვდილის სუსხიანი ქარები ქროდნენ და ვახტანგის მუცელ-მონიტორი იუნცებოდა, რომ გარეთ — 159



ალექსანდრე ქურხული

გრადუსია, „კოლიდაში“ ელექტრო ბუხარი ენთო. სარწვევლა სკამზე მიწილილი გიორგი უკვე მერამდენედ უყურებდა მრავალსერიან დოკუმენტურ ფილმს „მატიანე ქართლისაი — ახალი ქორონიკონი“. ფილმი ისტორიისა და კულტურის, ტრადიციებისა და პროგრესის, განათლებისა და სპორტის, ახალგაზრდობისა და წინაპართა, ხალხური, ელექტრო და კიბერნეტიკული მუსიკის, კოსმოლოგიისა და ვარსკვლავთმრიცხველობის მდგრადი განვითარების ვეზირთა საბჭოში გადაიღეს. პროექტის ბიუჯეტი ალბანეთის სახელმწიფო ბიუჯეტს აჭარბებდა, მაგრამ ამდ ღირდა! სამგანზომილებიანი გამოსახულებას ისეთი აუდიო და ვიზუალური ეფექტები ახლდა, რომ გიორგი ცხადად შეიგრძნობდა ქართლის ახლადწინამდებარე მინდვრებისა და ხეულების სურნელს, ესმოდა თერგის ღრიალი და მთის გამჭვირვალე ნაკადულის თითქმის შეუმჩნეველი ხმა, არნივივით გადაუფრენდა ხადს ხეობას და ქარაფებზე გუმბაგებად წამომართულ ათასწლოვან კოშკებს. დახეტილობდა აივნებიანი თბილისის საკუთარი სახლივით მყუდრო, მაგრამ ხმაურიან ქუჩებში, უნიკალურ მეგაპოლისში, სადაც ყველაზე მაღალი სახლი შვიდსართულიანია.

საფინანსო სერიის მთავარი გმირი თვითონ იყო — ერთადერთი ქართველი კოსმონავტი, მაგრამ უფრო ხშირად მრავალსერიანი ფილმის პირველ ნაწილს უყურებდა და არა, უკანასკნელს.

— დაიმახსოვრე, პირველი ნაბიჯები გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ყველაზე ტრიუმფალური ფინალი — ეუბნებოდა გიორგი რობოტს.

„მატიანე ქართლისაი — ახალი ქორონიკონი“ სხვა ივერია სად არის? სურათი პირველი

(ივერიის განსხვავებულ და მაინც ასე მსგავს კუთხე-კუნჭულთა ხედები. უკიდურესად რეალისტური გამოსახულება, გამაოგნებელი ვიდეო, აუდიო და სურნელოვანი ილუზიები. კავკასიონის გალაკტიკური შემოზღუდულ ალანის ველს კახური „მრავალყამიერი“ და ახლადმოხდელი ქვერის მათრობელა სურნელი ახლავს...) დიქტორის ბარიტონი:

„უშბის სპეტაკი, მოხუცი, ორთავიანი ბრძენი დევივით თმავთრებული მწვერვალი და „ლილეო“. კასპის ცადაწვდილი ცათამბჯენების ურიცხვი სიმრავლე, ცემენტის ქარხნის მილებიდან ვულკანივით ამოფრქვეული მარადმომწამეული სამსენებლო გამობოლოქვი, რომელმაც 22-ე საუკუნის, ყველაზე ჯანმრთელი მოქალაქეები — კასპელები შვა და მთელ კაცობრიობას მისცა იმედი, რომ ადამიანი შესაძლოა უკვდავი გახდეს, რადგან უსასრულოა ადაპტაციის უნარი ორგანიზმისა! სწორედ კასპელი იყო პირველი (საუკუნის შემდეგ) ვინც სკაფანდრის გარეშე შეაბიჯა ჩერნობილის გაველურებულ და მო-

მაკვდინებელ ზონაში. დიას, კასპელმა დაკრიფა კანათის ბაობაბივით გაზრდილი ხიდან ვეებერთელა ფოთლები და ზურმუხტისფერი მანაგუა მოხარმა ცეცხლზე. ვითარცა, მის დიდ წინაპარს, მითრიდატე პონტოელს ვერას აკლებდა ვერაგი შხამი, ისე მურმანსაც (გზაგამკვლავს უკრაინის რადიაციული ჯუნგლებისა) ვერა დააკლო წითელი იმპერიის ტოქსიკურმა მემკვიდრეობამ. თქვენ ხედავთ ზეადამიანის რვალის ნებისყოფას, რწმენას საკუთარი გენის უკვდავებისა! მურმანი თიხის ფილაში ასხამს მწვანედ მანათობელ, მომაკვდინებელ სითხეს, ერთი წვეთი ცხენს რომ წააქცევს. რიგითი კასპელი ლოცავს მშობლიურ მეგაპოლისს, ლოცავს ივერიასა და სიცოცხლეს უსურვებს ტანჯულ დედამიწას! ჩვენი პლანეტის ოთხივე კუთხიდან თავი მოუყრიათ ჟურნალისტებს; ელოდებიან, როდის გავა ერთი საათი და გაიხსნება მანაგუა გმირის სხეულში, ჯოჯოხეთში დაწურულ კუბრზე უფრო საზარელი!..“

— ბიჭო, გაგაგიჟებენ რა! — ეუბნებოდა გიორგი რობოტს, — მარსზე გავფრინდით და ეს პათეტიკა ვერ მოვიშორეთ! სულ მეცინებოდა მურმანის გმირობაზე, რომელსაც ადამიანებს შორის ყველაზე დიდი ღვიძლი და არანაკლები დიდი გული ჰქონდა. არადა, მართლა გმირია! შენ რომ ჩაგასხა ჩერნობილში დაწურული ის მანაგუა, დაჟინგდები! ხო არ იცოდა, იმ ცხონებულმა რომ გადარჩებოდა, მაგრამ სხვების მომავალსთვის გასწირა სიცოცხლე და გადაარჩა! რა უნდა იყოს ამაზე დიდებული, ამაზე კეთილშობილი საქციელი და რატომ უნდა იყოს ძალიან მაგარი კაცი, მურმანი, იდიოტი სტუდენტების სამასხარაო? ყველაფერში დამნაშავე კი ყალბი, მაღალფარდოვანი სიტყვების რახა-რუხია. ისე გაიმბობნენ ეროვნული გმირების ამბავს, აღარც გმირობა მოგინდება, აღარც სამშობლო! ალბათ, ჩემზეც ასე მოუყვებიან მომავალ თაობებს, ალბათ კი არა და აუცილებლად! ვერსად წავუვალთ იმ ფაქტს, რომ პირველი ქართველი კოსმონავტი ვარ და პირველი პოეტ-კოსმონავტი კაცობრიობის ისტორიაში, ისევე, როგორც პირველი და უკანასკნელი პოეტ-აკადემიკოსი ქართველი იყო. ვახტანგ, პატივმოყვარეობად ნუ ჩამითვლი, მაგრამ გეფიცები, პოეტ-კოსმონავტი სიტყვათა გაცილებით უკეთესი შეთანხმებაა...

გიორგი ცოტა ხნით გაჩუმდა და რობოტს ყურადღებით უყურებდა, თითქოს პასუხს ელოდებო და შემდეგ განაგრძო: — შენ, ადრე თუ გვიან, რარიტეტად დაგაბრუნებენ დედამიწაზე და საკუთარი ლაზერული თვალებით ნახავ, ჩვენი დიდების როგორი ამბები დაგხვდება. ჩემს ძელებს კი სულიერად არ შეეხება, თუნდაც სვავი და მარსის ქარიშხლები მიმოფანტავენ ათასობით კილომეტრზე. გიორგიმ მრავალგრადუსიანი ჭაჭა ბოთლივით მიიყუდა, პარალელურად რობოტის ასამოქმედებელი დისტანციური მონყობილობა მაგდიდან აიღო და ისევ „ახალი ქორონიკონი“ ჩართო.

**„სათავაპებთან — ანუ,
ჩვენ ვცაქვავით ერთად,
ჩვენ ვიპოვებთ ერთად!“
სურათი მეორე**

დიქტორის ბარიტონი:

„დღეს, ეს ქვეყანა ყველა იცის, ყველა შეჰნატრის, ყველაზე მოთხოვნად სამშობლოს! ოცნებობენ, ისე არ წაივინდნენ ნუთისოფლიდან, რომ ერთხელ მაინც არ შეიგრძნონ უძველესი მინის მარადიული გაზაფხული. თვალნათლივ დაინახონ — როდესაც გული და გონება შეერთდება, შესაძლებელია, დედამიწაზე ედემი დროებით დაბრუნდეს, სანამ ზეცის ტატროზე აპოკალიფსის მხედრები გამოჩნდებიან...“

ყველაფერი კი ჩვენი დიდი წინაპრების სიყმაწვილისას დაიწყო. ახლა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მზიურ ივერიაში იდგა დრო, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ, რამეთუ არ განმეორდეს!

მილენიუმის გარიჟრაჟზე, როდესაც თავბრუდამხვევი მეოცე საუკუნე ისტორიის ნაწილად იქცა, ივერია ახალათასწლეულს წყვილია ჩაძირული შეხვდა და ვერ დაინახა. ერმა, რომელმაც კაცობრიობის ცივილიზაციის საძირკველი ჩაჰყარა (მაშინ, როდესაც ანტიკური კულტურის მომავალი შემოქმედნი — ეგრეთ ნოდებული ინდოევროპელები შუა აზიის უდაბურ ტრამალებში დაეხეტებოდნენ), ვერ შეამჩნია საკუთარი სიბერე. მაგრამ, დამარხულ იყო მარადგანახლებადი გენი ქართული, უკვდავებისა და ახალგაზრდობის დაუშრეტელი წყარო, სიბრძნე, რომელიც ფასკუნჯს, იმავე ფენიქსს ფერფლიდან აღადგენს!

გასული საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენს სატახტო ქალაქს ღრუბლებებისა და ნისლების ნაცვლიდ ტყვიით სავსე, ტყვისფერი სმოგი დასწოლდა. ადამიანები ველარ ხედავდნენ ზეცას, აღარ უყურებდნენ, აღარც ახსოვდათ. სამართალდამცავებს არ ჰქონდათ სამართალი. მანდატურები ისე აღწევდნენ პოლიციის ნოდებს, კრიმინალს ერთხელაც არ შეზღოვებია. ხალხს სძულდა ისინი და მათ ხალხი სძულდათ! სამართალდამცავებსა და სამართალს შორის ის ხიდი ჩატყვილი იყო, რომელიც არასდროს აშენებულა. საკუთარ თანამემამულეებზე, საკუთარ მოქალაქეებზე ძალადობის მთავარ ბერეკტად სახელმწიფო ეგრეთ ნოდებულ ნარკოდანაშაულს იყენებდა. ათეულობით ათასი უდანაშაულო ადამიანი, ორუჯრედიანი სადისტების აშენებულ საპრობილეებში იტანჯებოდა — კანონის, სამშობლოსა და ქრისტეს სახელით! გადამთიელთა ურდოებს გადაარჩენილი უდრეკი ივერიელი, სისხლით მოპოვებულ თავისუფლებაში მონებად ქცეულიყვნენ!

და გაიღვიძა როკვაში განფენილმა გენმა. აავსეს რუსთველის ქუჩა უძველესი სისხლისა და ახალი ათასწლეულის გოგობიჭებმა. შემოენყვნენ ქაჯეთის ციხეს — პარლამენტს! ხრმალი გასტყორცნეს და მიკროფონი იპყრეს ხელთ, ჯაჭვის პერანგი განიძარცვეს და ფერადი სამოსით შეიმოსნენ, რკინის ქალამანი გაიხადეს და კედლები ჩააღწიეს სტრასბურგამდე. თინათინი და ავთანდილი, ფრიდონი და ასმათი, ტარიელი და ვეფხვი ერთად დადგნენ ნესტანის — თავისუფლების — გამოსასხნელად!“

საუკუნეების განმავლობაში იკვლევდნენ მეცნიერები მარსს, თავიდან შორიდან აკვირდებოდნენ, მერე თანამგზავრები გაგზავნეს, ასტრონავტიბიც, მაგრამ ყველა ექსპედიცია გაურკვეველ ვითარებაში იკარგებოდა. სიგნალი ითიშებოდა და დედამიწა კავშირს ველარ ამყარებდა ომის პლანეტაზე ნასულ შეილებთან.

21-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან მენამულ ბურუსში გახვეული მარსი მეცნიერებმა გააშიშვლეს და იდუმალი ვარსკვლავი აღარ ჩანდა ძველებურად შორეული, მიუწვდომელი და ჯადოსნური. თანამგზავრებმა პლანეტის ყველა კუთხეში იმოგზაურეს, შეისწავლეს ნიადაგი, კლიმატი, საფრთხე და შესაძლებლობები. 22-ე საუკუნის გარიჟრაჟზე უკვე იცოდნენ, რომ მარსის ზედაპირის უდიდესი ნაწილი სიცოცხლესთან შეუთავსებელია და არსებობს მხოლოდ რამდენიმე ათასი კვადრატული კილომეტრი — მთა „ოლიმპუსა“ და „მარინერის“ კანიონს

შორის, სადაც განსხვავებულ მიკროკლიმატში სუნთქვა შეიძლება. მარსის უმაღლესი მწვერვალი „ოლიმპოს“ მზის სისტემის პლანეტებს შორისაც — უმაღლესი, ფუძიდან 28 კილომეტრს აღწევს. მთა იმდენად დიდია, რომ მარსის ზედაპირიდან შეუძლებელია მისი სილუეტი აღიქვა, ან მწვერვალი დაინახო. „მარინერის“ კანიონს კი ჰადესის სახელი უფრო მოუხდება, რადგან სიღრმე 11 კილომეტრს აჭარბებს და სიგრძე უსასრულობაში იკარგება.

მარინერის კანიონის დასავლეთით არის, ადგილი, რომელსაც დედამიწელებმა ზუსტი სახელი შეურჩიეს — „წყვილია ლაბირინთი“, სწორედ აქ ვარაუდობენ მინისქვეშა მდინარეების არსებობას და ჟანგბადიც მეზობელ ტერიტორიებთან შედარებით, ბევრად მეტია.

კოლხიდა და მარსი

წყვილია ლაბირინთთან დაეშვა პირველი და ჯერ-ჯერობით უკანასკნელი ქართული კოსმოსური ხომალდი „კოლხიდა“. ხომალდი მშვიდობით დაჯდა და როგორც კი უმტკიცესი ფოლადის, აბლაბუდასავით დაქსელილი ფეხები 50 მეტრის სიღრმეში გაუშვა, გაფუჭდა კიდეც. გაფუჭდა ნაწილობრივ, ყველაფერი მუშაობდა „სტარტის“ ლილაკისა და დედამიწასთან დასაკავშირებელი მონობილობის გარდა. სანამ გიორგი მიხვდებოდა, რომ ქუთაისის საავტომობილო და ვარსკვლავთმორისი ხომალდების ქარხანაში აწყობილი „კოლხიდა“ მწყობრიდან გამოვიდა (როგორც ამას ამერიკელი, რუსი და ჩინელი სპეციალისტები ვარაუდობდნენ) ყურმილს ეცა და არაადამიანური ხმით ჩასძახა: „ივერია, გიორგი ვარ, მოგესალმები მარსიდან, ყველაფერი რიგზეა!“ იქიდან კი — „არსაიღამ ხმა...“ ეგ ზალტირებული, ან როგორც 22-ე საუკუნის საქართველოში იტყვიან — ალტყინებული გიორგი ვერ ხვდებოდა, რომ დაუსრულებელი ტრაგედიის პირველი ნუთები იწყებოდა. „ივერია, საქართველო, ძებო, დებო! კოლხიდა მარსზეა, მეორე აღორძინება დაიწყო, ახალი ერა, იხარე, ერო!“

დედამიწა დუმდა. გიორგის გაახსენდა, რომ ჯერ ილუმინატორიდან არც კი გაუხედავს. ყურმილი ადგილზე დააბრუნა და „კოლხიდას“ დიდი, ოვალური, ყველაფერგაუმტარი სარკმლიდან მარსის მენამულ სანახებს მიაპყრო თვალი. ეს იყო საოცრება და ეს არ ჰგავდა არაფერს, არც თანამგზავრებიდან გადაღებულ კადრებს, არც ფანტასტი მწერლების ფანტაზიას, არც საკუთარ ოცნებებსა და სიზმრებს. ფერთა ასეთი უცხო და ამადროულად ჰარმონიული შერწყმა 22-ე საუკუნის ავანგარდისტ მხატვრებსაც არ მოლანდებიათ: ჰაერი — სტაფილოსფერი, მინა — მონითალო, ბალახი — ლურჯი, უფსკრული — მენამული, რომელიც სიღრმეში შედებოდა. სისხლივით მუქდებოდა და შავდებოდა.

გიორგიმ იცოდა, ახლა მარსზე ზაფხულია და თბილა, იმ მონაკვეთში კი სადაც „კოლხიდა“ დაეშვა, ჟანგბადი საკმარისია, რომ მძიმედ, მაგრამ მაინც შესაძლებელია, ისუნთქო უცხო პლანეტის გაიშვიათებული ჰაერი. მონიტორზე +18 გრადუსს უჩვენებდა, ჟანგბადის შემცველობაც სიცოცხლისთვის საკმარისი იყო. გიორგიმ მაინც ჩაუშვა დასაზვერად რობოტი „ვახტანგი“ და ულტრათანამედროვე ქნილებამ პლანეტის მუხლუხს დადგა მარსზე. „ვახტანგმა“ გაიხედა-გამოიხედა, გარემო დაასკანერა და გიორგის უტყუარი მონაცემები გაუგზავნა. გზავნილი იუნყებოდა, რომ მარსის აღნიშნულ მონაკვეთზე და ათასი კილომეტრის რადიუსში საამური დარია. მკაცრი ნესდების თანახმად გიორგი მაინც სკაფანდრით უნდა ჩასულიყო, მაგრამ ქართველმა კოსმონავტმა თავისთვის ყველაზე კომფორტული სამოსი ჩაიცვა: „ადიდასის“ სპორტული შარვალი, ასევე სპორტული, „ფრიდონის“ ფირმის კაუჩუკის პაჭიჭები და უსახელო ეგრეთ ნოდებული „ედიკას ბრეტელებიანი, თეთრი მაისური“.

გიორგიმ უცხო პლანეტაზე ნანოტექნოლოგიურ პაჭიჭებში გამოწყობილი ფეხი დაადგა და აღუნერელი, უცნაური აღმადრენა იგრძნო. „რას ჰგავდა ეს გრძობა?“ — ეკითხებოდა ხოლმე შემდეგ გიორგი საკუთარ თავს, ზოგჯერ ვახ-

ტანგსაც — „როგორ შეიძლება გადმოსცე ახალი სამყაროს აღმოჩენის, შეცნობის პირველი ნაბიჯი, პირველი ნუთები? ეს არის კოლუმბის განცდა, როდესაც იამიკაზე გადმოვიდა, ეს არის მთვარისა და ნილარმსტრონგის, პრეველსკისა და მონლოლური ცხენის, ჯეიმზ კუკისა და კანიბალების, ჩახრუხადისა და ქვიშისფერ უდაბნოში გარინდებული სფინქსის შეხვედრა“.

და, გიორგიმ დაიძახა — „ეჰ, ეჰ, ჰეიი, მასპინძელო!“ ექო დაბრუნდა, პირველყაროზე 9-ჯერ ძლიერი და 9-ჯერ განმეორდა. რატომაც გენიალური ქართველი ებრაელის, ბაადურ აბრამის ცნობილი საზეპირო გაახსენდა:

„და დამთავრდება ყველაფერი, როგორც დაიწყო, გადააგორებს გუთნისდედა ასე ნაცნობ, ბნელ, ფხვიერ ბელტებს, როგორც ურია მოხეტიალე, მარადიული და განწირული გაუყვება მტერიან შარავზას“.

თბილი ღვინო

როდესაც მარსზე ზაფხული მოდის, შეგიძლია, ჟანგბადი ჩაისუნთქო და ცოცხალი დარჩე, საპრობილედ ქცეული კოსმოსური ხომალდიდან გამოხვიდე, სკაფანდრი ჩამოკიდო, სიფრთხილედ დაიკიდო და გახდე ნამდვილი ადამიანი — ცნობისმოყვარეობას აყოლილი, თან ისე, რომ მყინვარად არ გაიგუდო. და, გიორგიმ გადმობარგდა: ჩაუშვა „ვახტანგი“ და მახვშის სრულყოფილებამდე კომფორტული სკამი გაატანა. რობოტმა სკამი განათავსა იქ, საიდანაც მზის სისტემაში უმაღლესი მწვერვალის სილუეტი მაქსიმალურად ჩანდა, თითქმის ბოლომდე. აქვე იყო „წყვილია ლაბირინთი“ გიორგისთვის რატომაც უფრო მიმზიდველი, ვიდრე უცვლელი ჩემპიონი — „ოლიმპოს“.

პირველმა ქართველმა კოსმონავტმა ზეპირად იცოდა თითოეული სტრიქონი „1000 ლექსის, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ და თითოეული კადრი დოკუმენტური ფილმისა „ახალი ქორონიკონი“, იმიტომ რომ მხოლოდ ეს ორი გამოატანეს. იქ, უკვე ასე შორეულ, კოსმოლოგიურ ქუთაისში, მრავალი უტყუარი გათვლით დაადგინეს, რომ ექსპედიციას ორ კვირაზე მეტი არ სჭირდებოდა. პირველ ქართველ კოსმონავტს კი სჭირდებოდა აღმადრენა — ყველა დროის საუკეთესო პოეზია და ხსოვნა, ვის გენეტიკას ატარებს! ახსოვდეს სისხლი, სხვისი და საკუთარი! და ათიანში გაარტყეს ისე, რომ დიდად არ უფიქრიათ! გიორგიმ სახე (ან სული, ან თუნდაც ილუზია, მაგრამ მკვეთრი კონტურებით მოხაზული) შეინარჩუნა, სწორედ დედამიწიდან ნამოლებული ამ საგზლით.

დასასრული მე-11 გვერდზე





ჯემალ ინჯია

სუფუს პირამიდასთან

ბერნი ღრუბელი ერთ ჩარექსაც ვერ მოიწველის, ისიც საქმეა, თუ საერთოდ გამოჩნდა ცაზე. ამ ქვეყნის მნახველს თავბრუს გახვევს ხიბლი სიძველის, რაც აქვს ორასი წლის წინ ნაბეჭდ გაცრეცილ გაზეთს.

ნაღდ ეგვიპტელებს ველარ ხედავს თვალთ ეგვიპტე, დამესიზმრა თუ რეკს წარწერა. დუმს სარკოფაგი. ცად აფრინდება, გამოისხამს სფინქსის ლეკვი ფრთებს, სფინქსი კი ხუფუს უდარაჯებს, როგორც ქოფაკი.

შპარბალკა ჭორიანთათვის

ეს პოეტი ისე წერს ამ ბოლო დროს, თავის თავსაც კი ვერაფრით სჯობია. გაიხარეთ, მომურნენო, ბოროტნო, ეს პოეტი ისე წერს ამ ბოლო დროს. თუ გაჭორავთ, უნდა დააყოლოთ, რომ პოეზია მისთვის მხოლოდ ჰობია. ეს პოეტი ისე წერს ამ ბოლო დროს, თავის თავსაც კი ვერაფრით სჯობია.

სიზმარი გაბრკალებით

პაპუნა აფენდის ძე კობერიძეს

შენ და გიორგი დამესიზმრეთ. ვინო მანსარდა ამოგვერჩია სასაუბროდ საწუთროს სტუმრებს. შავ ლუდს ვწრუპავდით ნება-ნება. გიო არ სვამდა — წინა დღეებში მამაძაღლ ლეკვს ეკბინა თურმე.

მე გავახსენე, რომ დაგვდევედა ჩუმად კაგებე, რომლისთვისაც მე და მამაშენს „გაგვიწყრა ღმერთი“. ისიც — აფენდის კალამბური რომ შევაგებე — ძმაო, ქალაქში ეფენდივით დადიხარ-მეთქი.

სიზმარი სიზმრად, მეც დამკბინა ჭალაში ძაღლმა და გაცოფებას ნუ მომთხოვენ კანონის მორჩილს. ჩემო უმცროსო მეგობარო, თუ დახვალ ნაღმა, უკან გეჭიროს ცალი თვალი, ისე კი გორში

ხომ გახსოვს ხალხის რა ქება და თავყვანი ერგოთ მკაცრ ყარაულებს, ბრძენ კეისრებს, ამაყ ეფენდებს?! ახლა მე ძილში თუ ვნახულობ ხანდახან ძველ გორს, სადაც ძაღლების ნაცვლად კატებს არ აყვებდნენ.

ტვინის ლექსი

თავხედებისგან გამბედავები რომ გავარჩიო, მიტომ მაქვს ტვინი. მე შენ ლექსებზე არ გედავები — შენი ცხოვრების არ მომწონს სტილი.

ვინც წიგნებს აცხობს, იცის მკითხველმა, მათში მწერალი ყველა როდია. სიბრძნეზე თავს დებს ბრიყვი ტვინთებლა, სინამდვილეში რომ ობროდია. ითხოვენ ჯილდოს, ორდენს, პრემიას, რომ საქართველოს ნატრობენ მთლიანს. რამდენი მწყერი გაუფრენიათ, იმას, ეტყობა, ხუმრობად თვლიან. უტვინო ხალხი! შეტევა მათი არაერთგზის მაქვს მე გამოცდილი. კაცი პანჩურის ღირსია, პატივს თვითონ რომ ითხოვს ხელგამონვდილი.

ყურები! მესმის მათი შუილი. ღრუბლები! მანვეს არვე ქულების. ვარ სიცოცხლისგან გათიშულივით, რადგან შენ ახლოს არ მეგულები.

იმედის სხივებს ქვეყანათაზე ჩემთვის დროდადრო უჭიატიათ. გაჩნდი! მკერდში გულს ველარ ვათავსებ, პატრონზე უფრო უჯიათია.

საკრამიო მართონი

პრემიისთვის როცა ძვრება გველის ტყავში კაცი, მესმის ადამიანურად, თუ ინვინა მარცხი.

აბორიგენ მაძიებელს თუ ვერა სძლევს „ბომჟი“, ესეც მესმის, მეც ვყოფილვარ პრემიების ომში.

მაგრამ ის ვერ გამიგია, როცა გველის ტყავში თავად გველი ძვრება, გველი, როგორც ხვრელში მაჩვი

და მარცხდება. უკან ველარ მოსრილებს მარდად. ეს ხომ არის ტრაგედია დამარცხების გარდა!

გულის ლექსი

კაცში არ ვეძებდი სტერეოტიპს — თუკი გულწრფელობას დავატყობდი, როცა საღმობას ვერ ვეროდი, მასთან ვმკურნალობდი ავადმყოფი.

უხმოდ ჩაიქროლა ბევრმა ჩემთვის გრძელი ნუთისოფლის მარულაზე. ვისაც გულწრფელობას ვერ ვამჩნევდი, იმათ გულისკარი დავურაზე.

ბევრი მეგობარი წამივიდა, ვინც მე გულ-ჯიგარი ჩამითუთქა. წელი იძურნება წამივითა, ცოდვა-მადლის განსჯის წამი თუ დგას.

კაცთა გულწრფეობით მწირი სუფრა ითხოვს რიხიან და ამაყ მენტორს. გულწრფელ მეგობართა ჭირისუფლად რატომ დამიგულე, მამალმერთო?

აბასთუმანი

ნათელას ხსოვნას

იხდენდა შენი მართლაც ულამაზესი სახე დადიანების ქალთა საგვარეულო სახელს.

ბუნება იყავ, როგორც ლალა, შველი და ძელქვა. ნათლით მოსილო გოგო, ნათელა ზუსტად გერქვა.

მთის და ნაძვენარის ჰავა ებრძოდა ტუბერკულოზს. ავაპ, სიცოცხლევე, ავაპ, ფერფლად ქცეული გულო!

ნახარხი

სიზმარში ვაჟა დადიანიძე ვნახე — ნაძალადევი, დეიდაჩემის სახლთან. შეშას ხერხავდნენ. ქარი ფანტავდა ნახერხს. თვალებს ვხუჭავდით დარჩენილები სახტად. სახლში შევედით. მე განჯინაში ბოთლით მეგულებოდა ვეჯინის ღვინო შუმი. სუფრა გავშალეთ და სიყვარულის ლოთნი, როცა შევებით იქ გამეფებულ დუმილს, გამომეღვიძა, უპეებს ვიფშენეტ მუჭით, გონება ჩემი დაბორიალობს მთვრალეზრ. ვიცი, მეგობარს თვალის გახელა უჭირს. ნახერხის დედა!.. ვაჟა ვერ ახელს თვალებს.

ტრაგედია

თეატრში გაისმის სიცილი. კომიკოსს მიეძღვნა ტაში და ამბორი — აქებენ. ხალხი სულს ამოხდის, დარბაზში რომ იყოს, მიჯნურთა გულელების ამფორაქებულს.

არვინ კი არ იცის აქ შეკრებილთაგან, რომ არტისტს, რომელიც სცენაზე მხნედ არის, გული აქვს გასკდომას, ვითარცა ფილთაქვას — შინ უცდის ძვირფასი მეუღლის ცხედარი.

ხანდახან ისეთ ხასიათზე დგება კაცი, რომ მესს ნაუყრუებს, მზეს ჩაუნევს, მთვარეს გამორთავს. მზადაა, ერთი კოცნისათვის თავი განიროს, ხანდახან ისეთ ხასიათზე დგება კაცი, რომ ეშმას მრისხანედ ვერ შესძახებს: განვედ, მაცილო! ცოდვა აწვალებს სხვისი ცოლის ეშხით გამომთვრალს. ხანდახან ისეთ ხასიათზე დგება კაცი, რომ მესს ნაუყრუებს, მზეს ჩაუნევს, მთვარეს გამორთავს.

ფლირტი

თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო. ხალხური

მეტყოდი ხოლმე, ზოგჯერ მომწერდი ორ სიტყვას — მქონდა მთელი კონცერტი. ეს მახსოვს ახლა, როდესაც დალბა ჰაერი, წვიმას აპირებს ალბათ. და როცა დასცხებს ძლიერად თქემი და წყალი კარგად ჩადგება ხეში, გამოგიგზავნი ეთერით მე ტკბილ ჩურჩულს — წვიმამიც მიყვარხარ-მეთქი.

როცა მეტყოდი ორ სიტყვას ხოლმე...

ცის სულიანი

არწივის ნაშობო, აფრინდი და გაცდი ბრიყვთათვის დადგენილ გრძედებს და განედებს. წინ! სანამ მუხთალი საწუთრო დაგაცდის. წინ! სანამ ყვავები ყვავს დაგამგვანებდნენ.

შეიძლე გარჩევა ლოცვისა ლიქნისგან, გულწრფელად ინანე, თუ რამე შეგშლია. სადაც არ ეგების, ნუ ჩასცხებ იქ ნისკარტს, თორემ შენ უაზრო სიზმრები შეგშლიან.

ცხოვრება ურჩხულად გამოგეცხადება, ფრთები არ დაკეცო, გაუშინაურდი. შენ მოგაგებინოს იქნებ მზის სატებამ მალალი კლდეების ხმაურში რაუნდი.

ქირქილს არ შეუკრთე, ჯერ კიდევ მართვე რომ
თამამად იკიდებ ფეხებზე სტერეო
ტიპების სიბრაზეს: ხულიგნობს, ქართველობს,
რომ გაარწივდება, რას იზამს მერეო.

ცეცხლზე თუ გაცეკვებს ურჩხული განდაგანს,
ფრთებშივე მოჩხრიკე თავდახსნის ილეთი.
თუ ერთი გადარჩი ურჩ ხულიგანთაგან,
ამონ რას მადლობა შესწირე ლოლეთი.

ტრუბადურის ვაღრება

გმადლობ, რომ სხვისთვის შენი კარები
დახმულია და კაჟუნზეც ყრუა.
მე კი მკლავებით მეკინკლავები
და მეუბნები კოცნაზე უარს.

ო, სახლო, ჩემი დარდის ჯიხურო!..
ო, ქალთამზეო, თუკი მაფასებ,
გთხოვ, რომ ფანჯარა ჯერ არ მიხურო
და გამოდექი ისევ რაფაზე!

გადმოიხედე. სიცოცხლის ექო
გადმომაფრქვეე აშანათებად.
გამოანათე ერთხელაც, გეყო
გამონათების დამუნათება.

კოტორანი

*კოტორანი ისეთი ფეხსაცმელია,
ორთავე ფეხს რომ ერგება.
პლუტარქე*

შენ, ცხრა მთავრობის ნამდვილ კოტორანს,
მეთესთან რომ ეძებ შესაძრომს,
კვლავ მიგაჩნია, ჭკუით კოტორავ,
შენი „აღრუ“ რომ არის შესაძლო.

შეკარი წრედი და ფეხმორთხმული
ნებეგრობ ცოცხალ ლეშად, იმანო
და სუსტი სქესით გარშემორტყმული
კნავი, ვითომც არ გეშადიმანოს.

ქუჩის აოღიში

მოდის ნაცნობი,
ვინც ატარებს ზამთარს ნიადაგ
ქრომის ჩექმებით
თოვლნარევი ჭყაპის ტყაპუნში.
აგერ მეორე!
ის ცხოვრებით დაღლილია და
წვერით შემოსილს
წამოუსხამს მამის ტყაპუნში.

ეს ქალი იცვამს
გემოვნებით, როგორც ყოველთვის,
სულის სიღრმეში
რომ გიღვივებს სურვილს ანათროლს.
იმ ქალს კი პალტო
შემოუცვამს, როგორც კონვერტი —
უშინაარსო,
უავტორო, უმისამართო.

ეპითეტებით
ჩანს რომ ჯერ არ მორჩა მონათვლა,
ფეერიული
გოგონები მოდიან მწყობრად
და მაიძულებს
ქუჩა, ხელი რომ ჩამოვართვა
მამა აბრამის
ბატონის ტყავში გახვეულ კობრას.

ნარილი მამოზრისადმი

ერთი შეხედვით ჯერ არსად ჩანს მტერი მოალყე,
მოჩვენებითი სინყნარეა ქალაქის შიგნით
და მშვიდ ქუჩაში მშვენიერი გოგონა ციკნის
სილაღით მოდის — პერსპექტიულ ტლოკებს მოარხევს.

გახდება იგი ქალბატონი, არა მოახლე,
არ დასჭირდება მანერების სასწავლად წიგნი.
პომადას ხმარობს. ეტყობა, რომ წარბებსაც იქნის.
ნიძლავს დაგიდებ, რომ ხინკალსაც კარგად მოახვევს.

წუხელ დავლიეთ. ღვთაებრივ ჰანგს ჰგავდა სასმელი.
აჰა, ეს ჩემი მიწისქვეშა გადასასვლელიც —
საფეხურებზე, უნდა გითხრა, ფრთხილად ჩავდივარ.

ჩემკენ საკმაოდ ნაღვლიანი ჰანგი მოღვლავს.
გამოგიტყდები, ჩემთვის უჩვევ საქმეს ჩავდივარ —
ხურდა ფულს ვუყრი გაჭირვებულ ყმანვილ მომღერალს.

ნინო სიხარულიძე

ნარილი ლექსიდან

ნუ მეკითხები ნურაფერს, პასუხს ნუ დაელოდები,
ეს პასუხები ბლუფია, სიზმარული ბოდვები.
თუ მაინც მომისაკლისე, თუ მონატრებამ დაგძლია,
ნუ მეძებ ძველ მისამართზე,
იქ სუნთქვასაც არ მაცლიან.
ნუ მეძებ ქუჩის, მოედნის, ჩიხების რიარიაში,
ნურც სოციალურ ქსელების მოდურ და მაცდურ სიაში —
ვარ მხოლოდ ლექსის ხორკლიან,
უფალთან მართალ პნკარებში,
აქ დრო დროზედაც მეტია, ეტევა ფერად წამებში,
აქ ჩემი ნავსაყუდელი და საიმედო სახლია,
აქ გველხოკერა, სისინა სიტყვებს არასდროს მახლიან,
აქ სიტყვა ტყვია კი არა, ღვთის წყალობა და მადლია,
არც შხამია და არც ბანგი და არც სავაჭრო დახლია.
აქ მართლა მიცნობ — მიხვდები,
რა მაშფოთებს და მანუხებს,
მენდე, შენს ყველა კითხვაზე
მიიღებ გულწრფელ პასუხებს.

„ათოვდა ზამთრის ბალებს“ და ზამთარი კარებს ალებდა —
ალარ ვითვლიდი წამებს.
მძულდა თოვა და სიცვიე და ტკივილები იგივე —
ალარ ვითვლიდი წამებს.
ბედი კამათლით ერთობა, გადამინყვიტა კენტობა —
ალარ ვითვლიდი წამებს.
შენგან არ დამრჩა სიტყვები, უსიტყვოდ დამავინყდები —
ალარ ვითვლიდი წამებს.
და თოვლის დიდი წერტილით
ყველა გზაგადაკეტილი დროის ხაფანგში გავები,
თავად მითვლიან წამები —
თავად ითვლიან წამები ჩემს არითმიულ ფიქრებს,
ალარსად — ჩემიანები, ზამთარს არ დავენანები,
მოდის და ფერებს აძევენს, მოდის და ძალას იკრებს.
...და თუ ეს ბოლო წამია, ჩათვალე — არ მინანია.

პირველ-შუამანსკელი ლექსი სიძულვილზე

ლექსს არ გიძღვნიან და არც ქებით არავინ გავსებს,
ვერ ხვდებიან, რომ შენც ხშირად ნატრობ
„ივლისისფერ ყინვიან თასებს“.
არვის უნდისარ მოძალადე, ავი სტუმარი —
გულს ბოლმით ავსებ და გონებაც ხდება მდუმარე.
კეთილ მასპინძელს არც მე ვგავარ, მეც გერიდები,
გავრბოდი, მაგრამ გადამწვარი დამხვდა ხილები,
შენ მომიჭერი ყველა გზა და ყველა ბილიკი,
ახლა შეგფერის დაუნდობლად ჩემზე ქილიკი,
მაგრამ დაცინვას აგვიანებ და ამის ნაცვლად,
ლმერთო, რა ხდება: ცრემლნარევი შენი ხმა მესმის,
მეც სიყვარულის შვილი ვარო, სახეშეცვლილი,
ეს იცოდეთო ყველამ, ვინც კი პირველ ქვას მესვრის,
როგორ ვერა მცნობთ, ის დამჭნარი სიყვარული ვარ,
რომელსაც წყალი არ დაუხსნით, არ ახარეთო,
დაამცირეთ და გაიმეტეთ, ახლა კი არ გსურთ,
დამახინჯებულს რამე მქონდეს თქვენთან საერთო.
ახლა კი არ გსურთ დაინახოთ ის, რაც ცხადია:
გსჯით მკვლელებს და სხვა არჩევანი არ მაზადია.
...აი, ასეთი სასწაულის გავხდი მხილველი,
ველარ გავბედე, ვერ ვესროლე ის ქვა — პირველი.

**მოჯადოებულ წრეში
ვითომ ხუმრობით**

მივდექ-მოვდექი, როცა ავდექი,
ჯიქურ ვეკვეთე, განზეც გავდექი.
ვიფაფხურე და ვიფორიაქე,
ხან ვიგალობე, ხან ვიკრიახე.
ბედის კამათელს შევეთამაშე
და რა ხეირი? ისევ „იაქე“!
მივნი-მოვნიე, ავხედ-დავხედე
და შიგადაშიგ ფიქრიც გავბედე —
აქეთ თუ იქით, გაღმა-გამოღმა
წყალი დაშრა და ნერგი ჩამოხმა.
ნაღმა-უკულმა ვტრიალ-ვბზრიალებ,
ბამბას ვართავ და ვერ ვაჩხრიალებ —
ვაი, ტყუილად გამიწყდა ქანცი,
ტყუილად ვიყავ შმაგი და ანცი,
აქ მოლაყბეთა ტარდება ტურნე
და არაფერი იცვლება თურმე...

ნაშრომდგომარი ლექსი

შვილს — სანდროს

ალარ მედგომება აქ, ამ ცის ქვეშ,
კვლავ შემოდგომებმა დამდეს ბრალი,
ერთი მერცხლის ფრთებზე დატეულა
მთელი ჩემი დარდი, ნადარდალი.
კვლავ შემოდგომებმა შემომტირეს,
ლურჯად შეტორტმანდა ჰაერი და
ეს მზე, დამცხრალი და ლიმნისფერი,
ბინდისეულ გიშერს განერიდა

და ფოთლების ქარით
უნაზესი ვალსი შესრულდება, ვიცი, მალე,
ალბათ, საცეკვაოდ მეც გავყვები,
წრეში ფოთოლივით ვიტრიალებ,
მაგრამ ვერ მიგუებს, ვერ მიგუებს
ჭრელი ფოთოლცვენის რიარია,
სულსაც ქარის მსგავსად ვემძიმები,
ზეცის მონატრებამ გადარია.
მე კი სასჯელს ვიხდი ბურუსიან,
სასტიკ დღეთა რკალში მოქცეული,
მე აქ სასჯელს ვიხდი, იქ კი ზევით,
გზას მიიკვლევს ჩემი ორეული.
სიურეალისტურ ნახატს მოჰგავს ქუჩა,
ღია კაფე, ქვაფენილი —
ყველა ყვავილია გათელილი,
ყველა მერცხალია გაფრენილი!
კარტივით იჭრება ეს საღამოც,
გულში კვლავ აგურის ვალეცია,
მთელი ჩემი ცრემლი, ნაცრემლარი
კარტის კოლოდაში ჩაეცია.
ალარ მედგომება აქ, ამ ცის ქვეშ,
ლექსში შეყუჟული ვხუჭავ თვალებს,
არავის უცდია ჩემი ხსნა და
მერეც ნულარავინ დაიბრალებს.

რატომაც არა!

მედროვეებს

შენ გიყვარს ქარი — ოღონდ ჩამდგარი,
მზე — ღრუბლებს მიღმა,
წვიმა — გადაღებული;
შენ გიყვარს ალი — ოღონდ ჩამქრალი,
ვისკი — შესმული,
რისკი — არარსებული.
შენ გიყვარს ფიფქი — ოღონდ დამდნარი,
ვარდი — უეკლოდ,
ტალღა — დამცხრალი,
გხიბლავს გრიგალი, უცაბედი და მოთარეშე,
ოღონდ ეკრანზე როცა უმზერ,
შიშის გარეშე.
შენ ქალიც გიყვარს — მშვენიერი,
მგზნებარე ევა,
ოღონდ მის გამო
არ გსურს დარდი და ღამისთევა,
არც ლოდინი გკლავს,
არც ეჭვი გხრავს ოტელოს მსგავსად,
არც ნესტანს იხსნი
საკუთარი სიცოცხლის ფასად
და საქართველოც,
„ნიკოფსია — დარუბანდებით“,
სადღეგრძელოა მხოლოდ,
როცა მთვრალი ბრძანდებით.
დიდებულია, ვითომ, უშუბა,
თეთრნულდი, შხარა?
შენ ჭიქის ფსკერზე დაგეტევა,
რატომაც არა!
კაკალი რაა, შენი ბამბაც ისე ჩხრიალებს,
ყველა ანდაზას გაახუნებს, გაატრიალებს.
რაც არის, არის
და ამ ლექსის წვალელებაც კმარა —
იღბალი კახპა ქალია და
შენით მთვრალია,
რატომაც არა!

SOS!

„ესპრესო“, „კაპუჩინო“, „ამერიკანო“ —
იქნება ყავით გამოვიყვანო
დეპრესიიდან ერთი არსება,
ჩამქრალი მზერით, გულგრილი მზერით აგერ,
სარკიდან რომ მენაზება
და შემომწყრალი მთელს სამყაროზე
დილიდანვე რომ კითხულობს გრანელს,
ეგება ყავით შემოვირიგოთ,
თუკი გვიკადრებს და ჩვენთან დაღვეს.
„ესპრესო“, „ამერიკანო“, „კაპუჩინო“ —
მითხარით, როგორ აღმოვუჩინო
მესამე გზა და გამოსავალი,
არა სიცოცხლე, არა სიკვდილი,
არამედ სხვა ხსნა, სულის ნამალი.
ნამუსის გინდაც გეხუროს ქუდი:
შლაპა თუ კეპი, თუნდაც ბერეტი,
ვერ აღმოაჩენ! რომ ყოფილიყო,
ხომ იპოვნიდა თავად ტერენტი
„კაპუჩინო“, „ამერიკანო“, „ესპრესო“ —
მასწავლოს ვინმემ, სად ავეთესო
ამ დეპრესიულ არსებას, ნეტა?
ჩაკვეტე ბინის და გულის კარი,
ის კი სარკიდან შემოხეცია.



ანდრო ბუაჩიძე

მანათობელი წერტილები

დასასრული

თენდება. რიბირაბოა. ებოებში გამო-
სული სოფლის მოსახლეები ირჯებიან და
რკინის ნკარუნი გაისმის. ეს გაზაფხულის
ხმაა, გაზაფხულის ჩქამია. ჰაერში ღამის
სუსტი ღვივდება და სოფელს თავზე სით-
ბო ეღვრება. მზე უკვე ამოიწვერა და გაა-
ნათა ფერდობებზე შეფენილი კორომები.
ზაზა ნაღვერდალს ქექავს და დილის
საუზმეს აწყობს. ტყიდან მანანალა ნაგა-
ზი გამოიძურნება, ერთხანს ჩერდება და
გაკვირვებული გვაშტერდება, მერე სოფ-
ლისკენ მისუნსულდება. მე საფლავებს
ვათვალეირებ. საფლავის ქვეზე ლექსე-
ბია წაწერილი. ზოგჯერ უბრალო ფრაზაა
ამოკვეთილი: „ვიცხოვრე, ვიყავი, ვიჯახ-
ირე“ — ბულბულა; „დამილიე შესან-
დობარი, შენი კენესამე“ — ანთიმოზი; „ცხ-
ოვრება გრძელი მეგონა, მოკლე გამოდ-
გა“ — ოროველი; „დამეწერილ დაღმართს
დავუყვი, ხევში ჩამიყვანა“ — კუსუნა;
„ბედი გამიწყრა, მეტი ვერა გავანყვე-
რა“ — გოგია; „ეხლა საით წავიდე, აღარ ვიცი“:
— მახარე; „გზაზე გამოველ, გზა ვერ ვი-
პოვე“ — კოლა; „მილხინე, უფალო, მე,
ცოდვილსა“ — ჯილანთი ვანო...

ერთ დღეც კი დრო-ჟამისაგან ამოჭ-
მულ საფლავის ქვაზე ოკრობოკრო ასოე-
ბით ლექსია ამოტიფრული:

სიცოცხლე ტკბილი მეგონა,
თურმე ყოფილა ტიელი,
ეხლა მე აქ განვისვენებ,
სადაც ანთია იელი.

სხივებს სიცოცხლე ემატება. ასკილის
დამზრალი ბუჩქები ღვივის და დილის ნია-
ვქარისგან ოდნავ ირხევა. კარ-მიდამოე-
ბიდან უფრო და უფრო მკვეთრი ჩქამი აღ-
ნევის. აქა-იქ ვადაძხილიც მოისმის. სოფე-
ლი იფიქრებს და შემუშავებულ თვალებს იფ-
შენებს. ეს შეიძლება ასე ცხადად მხოლოდ
იმ კაცმა იგრძნოს, ვინც ღამეს ღია ცისქვეშ
გაათევის.

თავქვე ვეშვებით. აქ ალბათ აღარას-
დროს აღარ დაგვბრუნდებოდა. ეს მხოლოდ
ერთხელ შეიძლება მოხდეს ამ უცნაურ
ცხოვრებაში — გაზაფხულის პირზე. მთის
კორტოხს, იქ, სადაც სოფლის სასაფლაოა,
თავდავინწყებით უნდა აპყვე, ღამის ცას
ახედო და შენი თვალთვე დაინახო, რას
ხეწავს ვარსკვლავებით მოპირთავებული
თალი, მერე კი იმასაც მიადევნო თვალს,
როგორ ქრება ყველა მნათობი, როგორ
იფლითება ღამის საბურველი დღის თვალ-
ისმომჭრელ შუქზე და როგორ იშმუშნება
ტყეში ჩალვრილი რიფრაჟის გრძელი სხ-
ივები. მერე იწყება გათენება და მთლიანად
იპყრობს უკიდევანოდ გამაღვი სივრცეს,
რომლის შიგნითაც უამრავი სასიცოცხლო
წერტილი ცახცახებს. სიცოცხლის სიმღერა
იწყება და უნდა უსმინო, თუ შეგიძლია,
უნდა უსმინო ამ რხევას. ტრასაზე გამ-
ოვიდვართ, სივრცეში ბურუსიანი შუქია
განოლილი. ალავერდისკენ მივუყვებით
გზას. შორიხლოს ალაზნის ველია და
ალავერდის თეთრი, მაღალი ტაძარი.

ჯანდაბას ჩემი თავი, ისევ „ბისმარკ-
შტრასეზე“ ვარ, ოტელ „ბისმარკში“. „საკ-
ბილოს“ დავეძებ, თემას დავეძებ. ვიცი,
შინდაბრუნებული მოთხრობას დავეწერ.
ძილ-ღვიძილიდან ვფხიზლდები და რეალ-
ობას ვებჯინები თვალებით. თითქოს ვერ
ვიხსენებ, სად ვარ, მაგრამ ყველაფერი
წამსვე მახსენდება და იმისთვის ვემზადე-
ბი, რომ როგორმე ამ მარკოფაგიდან გა-
ვალნიო. ესეც მოთხრობის თემაა. ნა-
მოდგომისთანავე ფანჯარასთან მივდივარ
და ნაცნობ წერტილს ვაჩერებ. იქ, ვე-
რანდაზე არაფერია და მთელ მაღალ-
სართულიან სახლს სინათლის ბადე აქვს
გადაქსოვილი. რატომღაც მთელ სახლზე,
სახურავიდან ქვაფენილამდე ყვითელი
ლენტი ჩამოკონიალებული. ქარი აფრი-
ალებს ამ ლენტს. გამთენიისას პოლიციის
სირენები ჩამესმოდა, არ ვიცი, იქნებ ამ
კორპუსში მოხდა რამე, ნუთუ შეიძლება
ასეთი დამთხვევა იყოს? ეს ხომ ის კორპუს-
სია, სადაც ჩემი აღმოჩენილი წერტილი

მეგულება. კაფე-ბარში ჩავდივარ და
ვსაუზმობ. დიუსელდორფში კვლავინდე-
ბურად წვიმს. ამ კაფე-ბარში მრავალი
კუთხე და კუნჭული მოვინიშნე... ახლაც
ბარის კუთხეში ვზივარ და ამ ერთ მტ-
კაველზე განყოფილ ადგილსამყოფელს
ვათვალეირებ, თან ისევ იმას ვფიქრობ,
რომ ევროპის ერთ შემუშნეველ წერტილ-
ში ვიმყოფები, უცნობი ადამიანების
გარემოცვაში. ეს ადამიანები უცხო ენაზე
საუბრობენ, მე მათთან არაფერი არ მაკავ-
შირებს. ისინი მამჩნევენ ან ვერ მამჩნევენ.
ეს არის და ეს. გარეთ წვიმს, დიუსელ-
დორფში წვიმს და ვგრძნობ, რომ წვიმა
კიდევ დიდხანს გაგრძელდება. მაგრამ
ყველაფერთან ერთად შფოთი მიპყრობს,
რას ნიშნავდა გამთენიისას პოლიციელის
სირენები და რატომ არის სახლზე
ჩამოკონიალებული ყვითელი ლენტი, რა
შეიძლება ხდებოდეს ამ წვიმიან ამინდში,
ვინ გადალახავს ქუჩაში მოძრავი ქოლგი-
ანი ადამიანების ჯგროს, ვინ გაარღვევს
მათი გულგრილობის ჯებირს, ვინ გააღწ-
ევს იქ, სადაც რაღაც უკვე მოხდა არცთუ
სასიამოვნო, არამედ სასტიკი.

მე ნელა გავდივარ ბარიდან და კიდევ
ერთხელ მივუყვები ბისმარკშტრასეს.
წვიმს და ქოლგების გარემოცვაში მივ-
აბიჯებ. რამდენიმე ქუჩა გადავკვეთე და
იმ სახლს ვუახლოვდები, რომელიც ჩემი
ოტელის ფანჯრიდან მოჩანს. წვიმაში სხ-
ვანაირად ილანდება ეს ქუჩები, ყოველი
მიმდებარე ქუჩა თითქოს ცალკე
მონაკვეთია, რომელსაც თავისი ჩიხები და
გადასასვლელი აქვს. აქაც ათასი კუთხე-
ეა და კუნჭული და ყველაგან პატარა მარ-
კეტია ან საშაქარლამო, ველოსიპედების
სადგომი ან მინი-სკვერი. მე ვეძებ იმ გასას-
ვლელს, რომელიც მაღალი სახლისკენ
გამიყვანს, მაგრამ ერთხანს ისეთ
გარემოცვაში ვექცები, რომ ამ კორპუს-
სისკენ მიმავალ გზასაც ვკარგავ. ცვდი-
ლობა გზებს შორის უმოკლესი მოვიძიო.
ბოლოს, როგორც იქნა, მივდივარ კორ-
პუსამდე, სადაც განსაკუთრებული
არაფერი ხდება და ამიტომაც წარმოვიდ-
გენ ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოთხრო-
ბის ყველაზე მწვერვალ სიუჟეტური ხვეულის
თხზვას მივყოფ ხელს, — თითქოს კორ-
პუსამდე მისასვლელი გზა იმავე ყვითელი
ლენტით არის გადატვიხრული. აქაც მინი-
სკვერია და ამ სკვერში გერმანელი მანან-
ნალები, ლოთები და შორიხლოს მოსახ-
ლე ადამიანები სხედან. კორპუსის სადარ-
ბაზოსთან პოლიციის ორი მანქანა დგას.
პოლიციელები დინჯად ირჯებიან, მერე
მანქანაში სხედებიან და რაღაცაზე ხმადა-
ბლა საუბრობენ, მერე ვითომდაც მან-
ქანიდან გადმოდიან და სადარბაზოსკენ
მიმართებიან. მე სკვერში სკამზე ვჯდები
და მოსაუბრეებს ვუსმენ. მოთხრობა გრ-
ძელდება. წარმოვიდგენ: დროდადრო გამ-
ვლელი სკვერს უახლოვდებიან და აქ
მსხდომებს შეკითხვებს უსვამენ. მე

თითქოს ყოველივე ეს არ მესმის, მაგრამ
რაღაცებს ვიგებ და ჩუმი შემფოთება მეუ-
ფლება. კრიმინალისტიკის ენით რომ ვთქ-
ვათ, ადგილი ჰქონდა მკვლელობას ეჭვი-
ანობის ნიადაგზე. ჰო, ეჭვიანობის ნიადაგ-
ზე. ამით ჩემი სასტუმროს ფანჯრიდან
შენიშნული რეალური წერტილის დრამა
გრძელდება. მე ვთხზავ მოთხრობას,
რომელიც რეალობაში დინყო და გაგრ-
ძელდება მოთხრობა. წარმოუდგენელი იყო
მისი შეწყვეტა... მაღალსართულიან კორ-
პუსში მყოფ ცოლს ქმარი სადარბაზოსთან
მოელოდა და ცოლი გამოვიდა თუ არა,
ქმარმა მანქანიდანვე ესროლა, სადარბა-
ზოს წინ თითქოს დიდი ბრუნვის ნაჭრე-
ბია დაფენილი, ეტყობა, ქვეშ სისხლის გუ-
ბეა. მკვლელობა გამთენიისას მოხდა,
როგორც ჩანს, ქალი გათენებისთანავე შინ
აპირებდა დაბრუნებას... ყველაფერს
თვალნათლივ წარმოვისახავ. ყველაზე
გულისხმიერად გამვლელთა შეკითხვებს
უკბილო, წელში მოხრილი გამხდარი
ლოთი თუ მანანალა გერმანელი პასუხ-
ობს, მან სხვებზე მეტი იცის, ის ნასვამია
და ნერვიულად ეპასუხება გამვლელს.
იმაზე უფრო მეტს ატყობინებს, ვიდრე
სთხოვენ. ლაპარაკის დროს კისერზე
ძარღვები ებერება და სიგარეტის კვამლს
ცხვირის ნესტოებიდან უშვებს. ამასობაში
პოლიციის კიდევ ერთი მანქანა შედის
ლენტით შემოსაზღვრულ პერიმეტრზე.
ექსპერტიზა გრძელდება და გრძელდება
მოთხრობაც. მე მოულოდნელად ვეკითხე-
ბი კბილებჩალენილს, მითხრას, თუ იცის,
რომელ სართულზე იმყოფებოდა ქალი. ის
ვერ იგებს ჩემს შეკითხვას და იდიოტურ
გამომეტყველებას მამჯუნს. მე კითხვას
ვუმეორებ. ის მპასუხობს, რომ ქალი მა-
ღალ სართულზე აკითხავდა თავის ნაცნობ
მამაკაცს, უფრო ზუსტად კი, რომელი
სართული იყო, არავინ იცის... მე უკვე
მოთხრობის ფინალურ ნაწილში ვეჭვი აღარ
მეპარება, რომ დრამა ჩემი ოტელის ფან-
ჯრიდან შენიშნულ წერტილს ეხება და მა-
გონდება ჩემი ფიქრის თუ წარმოდგენის
დინება, ვხედავ, როგორ მესხნება მახს-
ოვრობა, ჩემ შიგნით რაღაც მოძრაობს და
ისევ სასტუმროს ნომრიდან დანახული მა-
ღალი სახლის ერთ-ერთი ვერანდა თუ აი-
ვანი ამოიზიდება. მე მოურიდებლად
შევეყურებ აივანზე მოკამათე წვილს. ცხ-
ადია, ეს ჩემს წარმოდგენაში განმეორებით
ხდება. მათი არ მერიდება, რადგან მათივე
სიშორიდან ჩემი შემჩნევა შეუძლებელია.
ისინი ჯერ კამათობენ, მერე კვლავ ნერვი-
ული შესტიკულაციით საუბრობდნენ ან
ჩხუბობდნენ, ბოლოს კი ისევ ახლოს მიდი-
ან ერთმანეთთან და ქვაგდებიან. ასე დგა-
ნან ერთსხეულად ქვეშნის. კაცი
მჭიდროდ ეკვრის ქალს. ერთხანს ასე არი-
ან ერთ წერტილში გაქვავებულები, მერე
კი შორდებიან და კვლავ გამმაგებით ებრძ-
ვიან ერთმანეთს. ყოველივე ეს ჩემს წარ-
მოდგენაში გაიბრუნს, რადგან უკვე ნანახი
მაქვს და ხელახლა მეორდება ჩემში... და
აი, ფინალიც, ტრაგიკული ფინალი. უკვე
თითქმის ეჭვი აღარ მეპარება, რომ ეს დრ-
მა ჩემი ფანჯრიდან დანახულ შორეულ
წერტილს ეხება. ეტყობა, ქმარიც ჩემსავით

რომელიც განაპირა სათვალთვლოდან
შეშერდა წვილს და გამთენიისას უკვე სა-
დარბაზოსთან ჩაუსაფრდა. ჰო, ასეა, ნამ-
დვილად ასეა, თუმცა, ვინ იცის... არა, არ
ვიცი და ვატყობ, რომ არც მინდა ვიცოდე
სასტიკი სიმართლე. რა მნიშვნელობა აქვს,
რომელ წერტილში გათამაშდა ეს დრამა,
ცხოვრების ყველა წერტილში ხომ დრამა
თამაშდება. მაკვირვებს ვარსკვლავებით
მოჭედილი ცა და ცხოვრების ყველა შორეუ-
ლი წერტილი...

მოთხრობის თხზვას აქ დროებით ვნ-
ყვეტ... ვტოვებ ამ მოჯადოებულ წრეს და
ოტელში ვბრუნდები, მერე კი, რადგან უკვე
გამგზავრების დღეა, ვიღებ ჩემს ხელ-
ჩანთას, ვემშვიდობები შვიცარს და ფეხ-
ით მივდივარ აეროპორტისკენ, რომელიც
აქედან შორს არის, მინდა, რომ ფეხით
ძალიან დიდხანს ვიარო.

უკვე დიუსელდორფის გარეთ ვარ და
ტრასაზე ნელა მივბიჯებ აეროპორტისკენ.
ჯერ ადრეა. წვიმს. ისევ კუმე მასაო მაგონ-
დება, აკუტავა რიუნოსკეს მეგობარი მწ-
ერალი. მას დაუტოვა აკუტავამ თავისი
ბოლო მოთხრობა „იდიოტის ცხოვრება“,
მერე კი თავისი ხელით მოისწრაფა სიცოცხ-
ლე. დიუსელდორფში რომ ჩამოვედი, წვიმ-
და. ახლაც წვიმს. ამ ქალაქში მინდოდა მეხ-
ეტილა და რამდენიმე დღე ვიხეტილავ
კიდევ. მოთხრობისთვის თემას დავეძებდი.
ახლო ხედიდან მინდოდა დავკვირვებოდი
იმას, რაც შორს ჩანდა და წერტილივით
ციმციმებდა. სულერთი იყო, ეს რა იქნებო-
და, ქალაქი, სახლი თუ ამ სახლში მყოფი
ადამიანები. ზემოდან რომ გადავფრინე
ღამის ქალაქებს, იქ ათასი სინათლე ციმ-
ციმებდა და მე ვფიქრობდი, რა იყო ამ სი-
ნათლის წერტილებს შიგნით, რა სიხარუ-
ლი თუ ნაღველი იყო მათ სიღრმეში გახ-
ლართული.

აკუტავა გამოსათხოვარ წერილში
კუმე მასაოს სწერს: „ამ ხელნაწერს შენ
გიტოვებ, რადგან სხვებზე უკეთესად მიც-
ნობდი. შენთვის ღიმილისმომგვრელი იქნე-
ბა აქ გამაყვანებელი ჩემი იდიოტისმი.“
„იდიოტის ცხოვრებაში“ არის ერთი მინ-
იატურა, რომელსაც ჰქვია „ნაპერნკალი“. მთავარი გმირი წვიმაში მიაბიჯებს. ჯიბე-
ში მოთხრობის ხელნაწერი უდევს. ეს ხელ-
ნაწერი მან თავისი მეგობრის ჟურნალში
უნდა მიიტანოს დასაბეჭდად. ავტორი
წერს: „მან კიდევ ერთხელ შეხედა ცაში
გაჭიმულ მავთულს, რომელთაც კვლავ
გასცვივდათ ნაპერნკლები. მთელ ადამი-
ანურ სამყაროში არაფერი იყო ისეთი,
რასაც ის განსაკუთრებით მოისურვებდა.
მხოლოდ ამ იისფერი ნაპერნკლების მოხ-
ელთება სურდა სიცოცხლის ფასად.“

ვფიქრობ, მწერალი ამ იისფერი ნაპერ-
ნკლების მოხელთებას უნდა ცდილობდეს.
მეც იმიტომ ვიხეტილავ, რომ ეს იისფერი
ნაპერნკლები — ჰაერში გაბნეული
წერტილები — მომხელთებინა. არ ვიცი,
მოვიხელთე თუ არა. ასეა თუ ისე, შინ
ვბრუნდები და ვფიქრობ იმაზე, რის შესახ-
ებაც უკვე შინდაბრუნებული მოთხრობის
თხზვას განვაგრძობ.



ალექსანდრე ქურხული

მენაგული კლანეტა მარსი

ფრაგმენტი მოთხრობიდან

დასასრული

„1000 ლექსი, რომელიც უნდა ნაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ (პუშკინი — ორიგინალი)

*Я помню чудное мгновенье:
Передо мной явилась ты,
Как мимолетное виденье,
Как гений чистой красоты.*

სტროფი დამთავრებული არ იყო, რომ ნახევრადშეშლილი კოსმონავტი ნახევრადშეშლილი ხილვა განმეორდა. ფოტორედაქტორში ანყობილივით, სრულყოფილი სიმეტრიითა და ფერთა კეთილშეზავებული სიუხვით, დაუჯერებლად ლამაზი ქალი ისე გამოჩნდა.

— Спаси меня, добрый молодец! — თქვა უცნობმა ქალმა.

გიორგი გაოგნებული იდგა. იცოდა, რომ ეს ყველა ლოგიკით ხილვა იყო — „თეთრი ნათება“, მაგრამ იმდენად ცხადი, რომ შეეშინდა.

— რაო, რა თქვა? — ჰკითხა ვახტანგს და საკუთარი გამჭრიახობა მოეწონა, მე თუ მეჩვენება, რობოტს ნაღდად არ მოელოდებო.

— დამიხსენი, რაინდო! — მშვიდად უპასუხა „ვახტანგმა“, — ენა რუსულია და აშკარად შეინიშნება სლავური ფოლკლორის ნოტები. ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან მიმართებაში კი „დობრი მოლოდენი“ უპირაინი იქნება, ვთარგმნოთ, როგორც „კაი ყმა“.

გიორგიმ წამიერად გააცნობიერა, რომ არაფერი მოლანდებია — „ვახტანგ, მომეყვი!“ — დაუყვირა რობოტს და პატარა, ქვიანი მთისკენ გაიქცა. ქალი ისევ აღარ ჩანდა. კოსმონავტი კლდის ვეფხვივით ფარვდა ისედაც მცირე მანძილს, მაგრამ რობოტმა მაინც აასწრო.

კლდის თავზე გიორგიმ ვერავინ დაინახა, მარსის ჩვეული, უსიცოცხლო, უკაცური პეიზაჟების გარდა. „სად გაქრა?“ — ფიქრობდა გიორგი — „იქნებ, რობოტის პასუხიც ჩემი ავადმყოფი ფანტაზიის ნაყოფია?“ გიორგის უცებ, ისე გაუნათდა გონება, ვახტანგის სკანერის მუდმივმოქმედი რეჟიმი ჩართო და მუცელ-მონიტორზე შემდეგი სურათი გამოისახა — კლდის ძირიდან 100-150 მეტრის დაშორებით გარბოდა ქალის სილუეტი და უკან, ლურჯ-ნითელი სამოსში ჯამბაზივით გამოწყობილი გოლიათი მოსდევდა. დეკაცს თავზე ილუზიონისტის მალალი ცილინდრი ეხურა. მალე მდევარიც და მსხვერპლიც წყვილადის ლაბირინთის უსასრულო კანიონში გაუჩინარდნენ.

— ვახტანგ, გაჰქუსლე და წამოიღე: 5 ცალი, არა, 7 ჩურჩხელა, 7 ცალი დამბალხაჭო, 7 გახუხული ხმაიდი, 3 კილო რაჭული ლორი, 7 ბოთლი ჭაჭა, ოღონდ ნახევარლიტრიანი არა, ლიტრიანი! 10 გრამი თრიაქი და ძველი ბებერი ლაზერის „მაჭახელაც“ წამოაყოლე! — შეუძახა რობოტს.

ვახტანგი ჩქარი, აურეველი ნაბიჯებით დაუყვა ქვალორიდან დაღმართს, მაგრამ გიორგიმ ისევ ამოაბრუნა — „წყალი, წყალი არ დაგავინდეს, წამოაყოლე ერთი 100 ლიტრა, აფთაქისა და ჰიგიენის ჩემოდანიც წამოიღე, და ნაბადი!“

— ჯერ რომ ჩამოყალიბდე ხოლმე, არა? — ჰკითხა „ვახტანგმა“ და პასუხს არ დალოდებია, ისე წავიდა.

„შეუძლებელია, სულიერი, მითუმეტეს გოგო, ასე სწრაფად გადაადგილდებოდეს, დედამინის პარამეტრებით, რა თქმა უნდა — განაგრძობდა ფიქრს კოსმონავტი — მაგრამ, ვინ იცის, აქ როგორი ფიზიკური მონაცემები აქვთ? საუკუნეების განმავლობაში, ამაოდ არ ვვარაუდობდით, რომ აქ სიცოცხლეა, თან როგორი სიცოცხლე!

„ვახტანგს“ 10 წუთიც არ დასჭირდა, ბრძანება შეესრულებინა და გიორგისთან დაბრუნებულიყო, რომელიც რობოტს უკვე „წყვიდადის ლაბირინთის“ კანიონთან ელოდა.

გიორგიმ ნებისყოფა დაძაბა და სანამ უსასრულო უფსკრულში ჩავიდოდა, ისე უყურა რობოტის მიერ დასკანერებულ მასალას. გოლიათს ერთი შეხედვით ძალიან ნაცნობი ტანისამოსი ეცვა. სად ენახა, ვერ იხსენებდა — ცხოვრებაში, ფილმში, კომიქსის პერსონაჟზე თუ კომპიუტერულ თამაშში, მაგრამ აშკარად დედამინიდან მოსულ მოდას ჰგავდა. „ვახტანგმა“ ბრძანებისამებრ მოიძია მსგავსება გოლიათის ჩაცმულობასა და მასში ჩატვირთულ მილიარდობით ტერაბაიტთან ინფორმაციას შორის. რობოტმა პოპულარობის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით განათავსა შესაძლო მსგავსებები:

1. იდეოლოგიური კომიქსი „დეიდა სემი — ჩემი სუპერგმირი“.
2. კინოკლასიკა — ცამეტივე ეკრანიზაცია მოკრივე „როკის“ შესახებ.
3. უკვე მივიწყებული და ერთ დროს გავრცელებული სიმბოლო — „ძია სემი“.
4. უილიამ როზენკრანცის ვირტუალური სასკოლო სახელმძღვანელო „ჩრდილოეთისა და სამხრეთის ომი — ჩვენი ეპოქის ილიადა, ანგლო-საქსური ცივილიზაციის ჭრილში“.
5. „მის ბიკინი“ — 1950-2050 წლები (ჰავაი).

წყვიდადის ლაბირინთი

მთელი დღე დაეხეტებოდნენ ადამიანი და რობოტი მზის სისტემის უდიდეს ლაბირინთში. გაჰყვიროდა გიორგი უცნობი ქალის სახელს, რომელსაც მარეხი დაარქვა. რობოტი თავანკარა რუსულით უხმოზდა და დახმარებას ჰპირდებოდა „წყვიდადის ლაბირინთში“ გაუჩინარებულ ინტელექტს, დედამინის ყველა ენაზე აგონებდა გოლიათს და ემუქრებოდა, ქალს ხელი არ დააკარო, თორემ დედას მოგი...ვო, მაგრამ ვერავის მიაგნეს. ბოლოს კოსმონავტი ფეხზე ველარ იდგა, გრძობდა კიდევ 100 მეტრიც რომ გაეველო, გული გაუჩერდებოდა. იყო დრო (როცა ქუთაისის კოსმოლოგიურ ცენტრში მომზადებას გადაიხდებდა) ფოთამდე ჩასულა ფეხით და ერთხელ უკანაც დაბრუნდა, მაგრამ მისი ფიზიკური მონაცემები ახლა პენსიონერისას უტოლდებოდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში თითქმის არ მოძრაობდა, ყოველდღე ბევრს სვამდა და კიდევ უფრო ბევრს ენეოდა საქართველოდან წამოღებული მარხიხანის ხან ერთ, ხან მეორე სახეობას. თვითონვე უკვირდა, როგორ შეძლო 40 კილომეტრზე მეტის გავლა უზარმაზარი კანიონის დაუსრულებელ ლაბირინთებში.

მარსის მზე უზარმაზარი კლდეების უკან ჩაეხვეწა და გარემო ჯადოსნური, მაგრამ უსიამოვნო ფერებით შეღება. გიორგის სძულდა პლანეტა, რომელიც ყოველთვის სისხლით მორწყულს ჰგავდა.

„დილას განყალბებული სისხლის ფერი აქვს, შუადღეს უაზროდ დაღვრილის, მწუხრისას კი ჯალათის ხელებზე შემხმარებით მუქდება“ — უთხრა რობოტს, როცა პორიზონტს მზის უკანასკნელი სხივები ღებავდნენ და უცებ, ისე მოუნდა მცხეთის სალონიში ყოფნა, რომ ტირილი წასკდა, წასკდა და მიუშვა სვანეთის ჰესივით დაგუბებული, ოდესღაც რომ გამოხეთქა დამბებიდან და კოლხეთის დაბლობს ავთენტური მიკროკლიმატი დაუბრუნა. გულამოშვადარი ტიროდა სასონარკვეთილის ცრემლებით და უიმედობის განცდა რატომღაც შეებას ჰგვრიდა. ალბათ, არ იყო ნამდვილი სასონარკვეთა, რადგან



ცრემლდარწმუნებულა და უცნაურად დამშვიდებულა სირცხვილი იგრძნო. მოეჩვენა, რომ ვახტანგი მის სისუსტეს შორეული წინაპარით იმედგაცრუებული უყურებდა. გიორგი მიუახლოვდა რობოტს, დიდი ზურგჩანთიდან ლიტრიანი ჭაჭა ამოაძვრინა და ნახევრამდე ჩაიცალა.

— აჟე, თქვენი დედა მოვტყან! — დაიღრიალა კოსმონავტმა.

გამოქვაბული

უთვალავ გამოქვაბულს შორის, რომლებიც წყვიდადის ლაბირინთში აქამდე შეხვდათ, ეს საუკეთესოს ჰგავდა.

— სიმბოლოები ან მართლა გადაგვანყვებიან, ან ვიგონებთ, — უთხრა ვახტანგს, — მოვედით გამოქვაბულში, საიდანაც ოდესღაც წამოვედით და შეიძლება სრულიად ახალ ცივილიზაციას ჩაეყაროს საფუძველი, თუ, რა თქმა უნდა, იმ მზე-თუნახავს მოვძებნით!

რობოტი დატრიალდა: ქვიშა, ქვები და კლდის ნატეხები გარეთ გადაყარა, რვაღვივით ბრეზენტი გამოქვაბულის შესასვლელთან გაჭიმა და ბუხრის ილუზორული, მაგრამ იდეალურად თბილი ჰოლოგრამა ააგოზგიზა.

კოსმონავტს კი ბოლომდე გაუჯდა მრავალგრადუსიანი ჭაჭა და დათვრა, დათვრა მაგრად. ნაბადში გახვეული, მხარ-თეძოზე წამოწოლილი აკვირდებოდა არარსებული ბუხრის ნათებას, უსმენდა არარსებული შეშის ტკაცუნს და მოსწონდა. გრძობდა, რომ სიცოცხლის წყურვილი იღვიძებდა, თავგადასვლის აზარტს აყოლილი უმწეო მდგომარეობას ვეღარ აღიქვამდა, იმედი ფასკუნჯივით ფერფლიდან იბადებოდა და ფრთებს შლიდა, იმხელა ფრთებს რომ მარსს სატურნის სარტყელივით შემოსწვდებოდა.

— მე ადამიანი ვარ, ვახტანგ, სიყვარულით და ღვინით მთვრალი ადამიანი, უცხოპლანეტელ ქალს რომ ეტრფის! გესმის, ხვდები, როგორი ისტორიაა, როგორი კლასიკური და ამავდროულად, უჩვეულო?! ისეთი, ჯერ რომ არ ყოფილა, მრავალფეროვნების ამ კარუსელში რაღა იყო და ფუ, შენი რა ჰქვია, კარუსელს ქართულად? — ჰკითხა ვახტანგს

— რა მნიშვნელობა აქვს, — უპასუხა რობოტმა, — კარგად იწყებდი.

— ბიჭო, ხო იყო არაერთი საუკეთესო ხელოვნური ინტელექტი, — იყვირა გიორგიმ, — არაერთი რატომ, ზუსტად ჩამოგივლი, მე თვითონ ვარჩევდი მე ბრიყვი! ახლავე ჩამოგივლი, განვიხილავდით: გერმანულ ხელოვნურ ინტელექტს, იაპონურს, ამერიკულს, ჩინურს, კორეულს, რაც მთავარია — ებრაულს, ალბათ ყველაზე კარგს, მაგრამ პარლამენტში დაბლოკვის შეთქმულების თეორიის შიშით და რუსულიც კი, ქართულზე, შენზე უკეთესია ვახტანგ! ხშირად ჭედავს, მაგრამ რასაც ეუბნები, ცდილობს, რომ ზუსტად

შეასრულოს, ცდილობს! ვერც შემეგინებია, ეს დადაფეთქებული, ისე ხარ დაპროგრამებული, რომ ფოლადის მუშტს მაძგერებ!

— რილექს, გიო-ჯან, იყურე, — თქვა ვახტანგმა, — კარგად იწყებდი და განავითარე!

გიორგიმ ღრმად ჩაისუნთქა, მაგრამ პროფესიონალიზმმა უღალატა და ემოციებს აჰყვა.

— გამოგრთავ, ერთხელაც იქნება, სამუდამოდ გამოგრთავ! — დაიღრიალა კოსმონავტმა, — შენი... შენი კეთილები კი მოვ...ან!

— ჩემო, კეთილო, — უპასუხა რობოტმა, — მე შენი ყმა არ გეგონო, მე საჭურველმტვირთველი ვარ, თანამებრძოლი და სანამ დაუკრეფავებში გადასულხარ, ერთი ადგილი დააყენე!

— ვის უბედავ?... გიორგის ფრაზა შუაზე გაუწყდა, რადგან ვახტანგმა მსუბუქად ამოჰკრა აპერკოტი და უზუსტესი ტრაექტორიით იმავე ნაბადზე დააგდო, საიდანაც წამოფრინდა.

მზის ამოსვლა წყვიდადის ლაბირინთში

კოსმონავტს გაღვიძებისწინა ნამებო უყვარდა, სანამ ძალიან, ძალიან ცოტა ხნით, ახალ დღეს ბავშვივით უდარდელად უსწორებდა ნამძინარე თვალებს. რამდენიმე წამმა, რა თქმა უნდა, ისე სწრაფად გაიარა, როგორც უნდა გაეველო. გიორგიმ მალევე იგრძნო საკუთარი მდგომარეობა და დაინახა გამოქვაბულის კედლები. წინა ლამის ლანდები კი ნელ-ნელა ლადგებოდნენ და კოსმონავტს ყველაფერი ახსენებოდა.

— ხელი როგორ დამარტყი? — თქვა გიორგიმ და გაჩუმდა, რადგან რობოტი მისკენ დაიძრა და ახლოს გაჩერდა.

— ესლა მაკლდა! ელექტრონული რამები აერია ამ შეჩვენებულს, — ამოიხრა გიორგიმ და დაღურჯებულ ყბაზე ხელი მოისვა, ნაბახუსევი თავიც არანაკლებ სტიკიოდა.

მზე კი ამოდიოდა, სულ უფრო ანათებდა გამოქვაბულის ცოტა ხნის წინ ჩაბნელებულ კედლებს. და, უცებ გიორგიმ წარწერა დაინახა...

კოსმონავტი კედელს მივარდა. შრიფტს ნაცნობი მოხაზულობა ჰქონდა და ხუცურ დამწერლობას ნააგავდა, თუმცა ნაკითხვა ვერ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ ასომთავრულთან და, რა თქმა უნდა, მხედრულთან ერთად, ნუსხურიც იცოდა.


— მოდი აქ, ჩემი ძველი ბიჭო, და წამიკითხე, რა წერია, — დაუძახა ვახტანგს და თითი უცხო ანბანით ამოკანრულ ტექსტს დაადო.

რობოტმა დაასკანერა კედლის მონაკვეთი და თქვა: „აქ იყო არმენ, აპოლო პლანეტინიცი.“



იაგო თვალაბეიშვილი

ბინგო



მრ ფეხზე ვიდექი და ხელში პნეგმატური იარაღი მეჭირა. ვერ ვიჯერებდი. სარკის წინ გავივლიდი და გამოვივილიდი, თვალს ჩაუყურავდი ჩემს თავს. ჰაბიტუსი ფილოსოფოსისა მქონდა, მზერა — გენერლის, ვარცხნილობა და უღვაში — დიქტატორის. ჰეპ, ასე კმაყოფილი ჯერ არ ვყოფილვარ.

სიზმარში დანარჩენი ღორებიც ორ ფეხზე იდგნენ და ფერმა, სადაც დავიბადეთ და გვისროლია ისარი, ჩვენს სამბრძანებლოს წარმოადგენდა. ის ნაძირლები კი, უნინ რომ მარცხენა ხელით სალაფავში საკვებ ვიტამინებს, ხოლო მარჯვენათი ყელში დანას გვიყრიდნენ, ახლა ოთხზე იდგნენ და მოწყალებას მევედრებოდნენ.

დამინდე, შვილები მყავს, ოჯახი მაქვს, ისა, ესა. მაგრამ, არა! უბრალოდ, არა! კლასიკური მუსიკიდან ვლიინებდი მოკლე რეჩიტატივს, ვლიინებდი და ვლიინებდი. ამაღლევებელი გრძობა იყო.

პნეგმატური იარაღი რალაცნაირ, უცნაურ ხმას გამოსცემდა.

უფრო სწორად, რალაცნაირს, უცნაურს — არა.

უცნაურ ხმას ადამიანის დაცემა გამოსცემდა.

სისხლის პატარ-პატარა ნაკადები სისხლის მსხვილ-მსხვილ გუბებებს უერთდებოდა. გუბები ტბასავით იყო. მერე ზღვასავით და ბობოქრობდა... მოკლედ, აქ გამეღვიძა.

ზმანება ერთდროულად შემზარავიც იყო და სასიამოვნოც. შემზარავი მათთვის, სასიამოვნო — ჩემთვის. აფსუს, რომ წამში გაიარა. იყო და აღარ იყო, ელვასავით. ზღაპარივით — თან იყო და თან არ იყო.

მალე დამიბრუნა რეალობამ. საბარგულში ვეგდე, ვინ იცის, რამდენ ხანს. ჩამილურიჯდა ფერდები. ოღრო-წოდრო გზებით მატარეს. დამენგრა გვერდები. ძლივს გალიეს უსასრულო გზა და ბოლოს კარი გამიხსნეს. გამოჩნდა ცა, ცა ფირუზის ფერი, ანკარა, სხვანაირი. ცა ჯალათმა გადაფარა. დამყურებდა, თან მიცინოდა.

ნეტავ, რა აცინობდა? მერე მისი შტერი ძმაც მოვიდა და მთლად ამოიქოლა ცა. ამანაც გამიცინა. ნეტავ, ვიცოდე, სასაცილო რა მჭირს?! პირიქით, გულს ვუკლავ ნებისმიერ მნახველს. გოჭობაში დეი-დაჩემმა შემჭამა. არა, მთლად კი არა...

მოკლედ, კუდი და ცალი ყური მომადლეჭა. რამდენიმე საათის მშვიდი იყო. სულმა წასძლია. მართლა შიოდა. ფერმაში სულ გვშია. ვიტამინებით ვერა და ვერ ძლები, ჭამე, რამდენიც გინდა. საშველად დეი-დაჩემს მივყარდი. ვაის გავეყარე, უის შევეყარე. მერე ყურზე მწვდა და ჩაკბინა.

ძლივს გავასწარი. მერე მითხრა, გემრიელი ხორცი გქონიაო. ახალი ამბავი. ცალი ყური შევიწარჩუნე, მაგრამ რა?! ვერ ვაპარტყუნებ. რალა ჭადრის გამხმარი ფოთოლი. ხანდახან ქარი თუ ამიფრიალებს. ამ ამბების შემდეგ, ერთ თუ ორ თვეში, ვიორუსული ინფექციაც შემეფრქვა. აი, ბონუსი. ნალდად ტუზი დამეცა და კანი ალაგ-ალაგ დამისკდა. უკუდო, უყურო, ჭირიანი, მახინჯი ღორი... მოკლედ, ფერმის უფროსმა ბინგო ხარო, გამომიცხადა და ნამახალისებელ ლატარეაში გამათამაშა.

— ჰე, ბინგო, ჩამოვედით. მიდი, ამოდი მალე!

ჩამოვედითო. ნამდვილი ჯალათი! ამან ქვეყნის ღორი დახოცა. ჩემი თვალით ვნახე. რამდენი ჩემი ძმაცა, რამდენი დაქალი, რამდენი შეყვარებული, მაგას ვინ მოთვლის. დედაჩემსაც კი ყელი გამოსჭრა. ყურისმჭამელი დედაც მაგან გაფატრა. მამაჩემი კაულჭე შესვა. საწყალი მამა. სისხლიან ყურს მიაძებდა თავისი ხორკლიანი ენით. მაგრად ვუყვარდი. ერთ დღეს ფერმის ძალი გამომეკიდა. გოჭი ვიყავი და კუთხეში გამომიმწყვდია. საზიზლარი ღრვოლები ჰქონდა. მამამ გადამარჩინა. ფეხში ნაავლო და მინაზე აფორთხილა. ახია, მას მერე რომ სამ ფეხზე დადის. ხმას აღარ იღებს. დაბეჩავდა, დაჩაჩანკავდა.

ნეტავ, სად ჩამოვედით? ძალიან ვეცადე, მაგრამ ჩემით ვერ გადავძვერი. რას გადავძვერებოდი ამისიქე ღორი?! ჯალათი და მისი ლენი ძმა დამეჯიკავა. ფუ, რა სუნი აქვს. დებლი! აუ, ამას შიგნით იმასუქნიაო. სულელი! ნეტავ, რა ეგონა — შევიკავებდი?! ერთი ხუთჯერ მაინც ვქენი: დიდები და სქელ-სქელი.

მინაზე გადასვებს თუ არა, გავოგნდი. საოცარი ახალი ქვეყანა. საოცარი ახალი სუნები. ნამდვილი მინა, ნამდვილი

გრძობები. ყველა წუხილი გადამაფიცდა. სადღაც გაქრა გოჭობის ტანჯვა. რაც იყო — იყო, აღარ იქნება, წარსულში დარჩა. ახლა ანმყო. სულ ანმყო იქნება, ვიდრე ვიქნები. მერე უკვე აღარაფერი იქნება. და სანამ ვიქნები, მოდი, კარგად ვიქნები-მეთქი. ვერმიდან სოფელში აღმოვჩნდი. თავბრუდამხვევ სურნელს შევიგრძობდი. საოცრებას აღიქვამდა ჩემი თვალები. ვხედავდი გარშემორტყმულ უზარმაზარ მწვანე მთებს, საპატიო ყარაულის წესით ჩამწკრივებულ ხეთა მრევლს, აბიბინებულ მინდორ-ვლები და სივრცეებში გაბნეულ ნაირ-ნაირ ფრინველებს. აქეთ ბალახები, ქათმები, მამლები, იქეთ — ლეღები, ტყემლები, ყვავილები, ფუტკრები, ის, ეს... მოკლედ, სულ, გულო, ყველაფერი, რაც ასე ძალიან მაკლდა. და აქ, აქ კი მშვიდად მოგვდები მავის ოხერი დედა ვატირემეთქი, ჩემთვის გავიფიქრე და პირველად ცხოვრებაში გრძელი დინგით ნამდვილი ნიადაგი მოვიჩიქე. ეს იყო ნეტარება...

— მამა! — მოულოდნელად დაიყვირა გიორგიმ და ბინგო ეზოს სიღრმეში გაღრუტუნდა.

— მამა! — აჰყვა გივიკო თავის ძმას, — მამიკო, მოვედით!

მამა ხმას არ იღებდა. ბაღში იქნებო, ივარაუდეს. ნამდვილად ბაღში იქნებოდა, მაგრამ, ვიდრე მოხუცი მამა ბალიდან ამოღრუნდებოდა, ძმები წინაპრების დანატოვარ სახლში შევიდოდნენ და წარსულს მოიგონებდნენ. წარსული კი მათ უზარმაზარ სიურპრისს უმზადებდა.

სიურპრისი ყოველთვის მოულოდნელია. მოულოდნელობა ეფექტურია: ელდა იცის. ელდა მალე ქრება და მის ადგილას სუფთა გრძობები იდგება: ან სიხარული, ან — მწუხარება. ამას არჩევანი არ ჰქვია. ბედისწერასავითაა — გარდაუვალი მოცემულობა.

შინ ყველაფერი ისე დაუხვდათ, როგორც დატოვეს. არაფერი შეცვლილა. ბუხრის ლავგარდანზე შემოდგმული შუშა-ამოტეხილი ნავთის ღამფა ხელუხლებლად იდგა. იგივე რაოდენობის შუშა ეყარა ბუხრის გვერდით, რაც ყოველთვის, ზუსტად და გამოზომილად, იმდენი, რამდენიც ყყოფოდა ძროხების საკვები ულუფის მომზადებას. ბუხრის კიდევ ისევე ისე იყო ჩამოტეხილი, როგორც უნინ, არც მეტად და არც ნაკლებად. ეგ კი არა, ბუხრის კედელზე ისევე ის კიდევმეყვითლებული ჰლაკატი იყო გაკრული, რაც ადრე. სავარაუდოდ, ჟურნალიდან ამოღებული. შავტუხა ლამაზმანი ბრაზილიიდან. შავტუხას გადასარმევი ფორმები ჰქონდა და გიორგისა და გივიკოს თავისას მართებდა. ორივეს ცხოველი ინტერესით აინტერესებდა, ასეთს რას მალავდა საპნის ოპერის ვარსკვლავი ტანზე შემომსკდარი სამოსის შიგნით. ეს არც ერთმა იცოდა და ზუსტებით და არც მერემ, თუმცა გუმანით ხედებოდნენ, მამაკაცური ალლოთი გრძობდ-

ნენ. ხოლო ის, რასაც მართლა მალავდა ეს გოგონა — ხვრელი იყო, ბუხრის კედელში გაჭრილი ხვრელი. ამ ხვრელში მეტალის ღუმლის საკვამური მილი ერთდებოდა ხოლმე. ღუმელს ზამთარში დგამდნენ, რადგან ასჯერ უკეთესად ათბობდა. ბუხრის გასწვრივ ნახვერად დამპალი, თეთროსაღებავამსკდარი განჯინა დაეკიდებინათ, რომლის ჭუჭყიანი ვიტრინებიდან ანტიკური ხანის ჭიქები და რენესანსისდროინდელი ნახატებით დამშვენებული დაზნარული და დამტვერილი თევშები იმზირებოდა. ოთახის დეფორმირებულ დედაბოძს მორყეული მაგიდა ეყრდნობოდა, მაგიდას, თავის მხრივ, რამდენიმე სკამი, ხოლო მაგიდიდან ერთიორ ნაბიჯში ერთმანეთს შეპირისპირებული ორი რკინის სანოლი განვართულიყო. ერთზე მამა ისვენებდა, მეორეზე დედას ეძინა.

სახლის უკანა ნაწილში გამავალი მწვანე კარი ოდნავ ღია იყო და შავ-თეთრი კატა იჭყიტებოდა. კატა რძით მოთხრილ ცხვირ-პირს ილოკავდა ხვერდოვანი ენით და სტუმრებს ეჭყიანი ყვითელი თვალებით აკვირდებოდა...

აცხა, კატაო, დამიცაცხანენ. ვითომ რაია, შემამინებდენ? აქანე ვცხოვრობ ხუთი წელია. მევიდენ და თავი რაცხა გონიენ. გიორგიე და გივიკიე. გივიკიე და გიორგიე. სულ გიორგიე, გიორგიე ან გივიკიე. მაგენის სახელების სხენებაში იყო მისდღემში. დღე და ღამე, მთვრალი იყო თუ ფხიზელი, არ ქონდა მნიშვნელი, ამგენზე ლაპარაკობდა. ერთი ამგენის. ჩემი გამჭირებოდა, რძეი ქონდა ვედროში და მიფუჭდებოდა. ჩემი რძეი, ჩემი ტკბილი საკუთრება.

ყოლიფერის მნახველი ვარ და ყოლიფერის მხედველი. არაფელი გამემეპარება, ვერაფელი დემემალეება დედომინის გულზე, მარა მე ყველას გვეეპარები, ყველას დევემალეები, როცა უნდა, საცხა უნდა. ჩამევიდენ ბიჭები. მოით-თქვა. შემევიდენ უკანა ოთახშიც. შემოით-თქვა. მერე ნევიდენ აკძალულ ზონაშიც. მიით-თქვა, ამფერათ ვუთხარი. სულ აკძალული კი არ ყოფილა აი ოთახი. აკძალული ეთერიეს სიკვდილის მერე გახდა. ასე თქვა, ასეთე უნდა იყოსო. იყოს მერე, ვინ ჩივის, მარა აკერ, ა, დარჩა ღიათ! სულ სქელი ჯაჭვებით აბამდა კარს უშანგიეს ძუნკალი ძალივით. უზარმაზარი ბოქლომითაც კეტავდა. ახა ღია იყო, იმიტო, რომე ვერ დაკეტავდა. რაფერ დაკეტავდა, თუ არა — კი. მაქინე ნისქელი დგანა. რო ჩივთავდა, დიდუ, წელიდებდა ხრიგინით ტინის. დურუ-დურუ-დურუ-დურუ. არ იყო საშველი. კიდო ღვინოებს და ვოტკებს ინახავდა შითე, გაბერილ ბოცებში. სიმინდის და პურის ფქილის მემოკებიც ბლომითე ეყარა. კარტოფილიო, ხახვიო, იგო, აგო, ყორიფელი კაი. ამგენის გარდა წარსულის სულელებიც იყვენ დამწყველოული. რაფერ

გითხრათ ახა. რაცხაფერნაირად გამეიყურებინ. ვერ ავხსნი. მაგენს შეცვხვდავდი ხანდისხან და ველაპარეკებოდი. ასეთე მითხრენ, შენმა პატრონმა დაგვამწყვდიაო. რეიზა-თქვა და ემინოდაო. რისი-თქვა და გაქცევისიო. რაის გაქცევისი-თქვა და ჩვენი გაქცევისიო, თქვენც ისეთე არ გემექცეთ, რაეარც ჩემი ბალნე-ბიო, ამიხსნენ ბოლოს. დურაკი. შევიდოდა და ჩეიკეტებოდა. იდგა სარგადაყლაპულივით. ვითომ რაცხას გრძობდა მისი ჭკუით ამ დროს. მერე გამევიდოდა და ჩარაზავდა კარს ისთავლე. დარჩა ახა ჩოუკეტავი და ქე გამეიქვენ მაგენიც.

კარს ღია რავა დატოვებდა, მარა რაფერცხა მოხდა. გლახათ გოუთენდა მაი დილა მა უბედურს. რაფერ გლახათაც გოუთენდა, კი ხედავდენ მისი ბალნეები. იდგენ და უყურებდენ მინაზე გაშხლართულ ილარიონას. რავალია, ა? ხმას ვერ იღებდენ. არც ქონდათ ამოსახლები. ან რაი უნდა ეთქვათყენ? უყურებდენ და უყურებდენ თვითონაც პირდაფრენილები. მერე, როცხა იყო, გივიკამ იკითხა:

— მკვდარია?

არა, ბებიაშენისა, მასხრობს-თქვა. თვალები კი ქონდა ღია, მარა მკვდარი იყო, ახა, რაი იყო. სიმინდის მემოკი ქონდა ჩახუტებული. გეტყვი აგერ, რაფერც მოხდა მაგი ამბავი: დილით გეიღვიძა და მაისიე და თებროლიე მოწველა, მერე მოუდულა საჭმელი, აჭამა და საბალახოთ გოუშვა იმზეით. ბოსტანში ჩევიდა. მოწყვიტა რაცხეები. ამეიტანა. დაჭრა, მოჭრა, გლეხურათ, გემრიელათ, რაფერც იცოდა. პატარა სტოლი გაშალა. სტახანი ვოტკა ხუხა. პამიდორი მიატნია. ისევე ვოტკა ხუხა. ახლა ყველი ჩაკმინა. გავთავდი კაცი, გევილიე. ხოდა, მამინ იყო, უნამუსოთ რო ადგა და შეინახა შკაფში საჭმელ-სასმელი, დეგექცა ოჯახითქვა, პირდაპირ ვუთხარი. რეტდასხმული გაბანცალდა უკანა ოთახში. ერთი არ გახსენებია, საჭმელი რო მქონდა საჭმელი. არადა, ხატი, რჯული, მიაუ, მიაუ-თქვა, ათასჯერ მაინც ვუთხარი.

რძით სასვე ვედრო ქე დადგა იქანე და ჩევიცინე, დამიცადე, შენ გიჩვენებ, თუ ვეყოფილვარ-თქვა. მარა მაგი მერე. კუდში მივყევი. ახსნა ჭაჯვები. შევიდა აკრძალულ ოთახში. კარი ისე ჩქარა მიხურა, ძლივს შევასწარი. კაი გამარჯობაო, წარსულის სულელებს მიესალმა. გაგიმარჯვოსო, მაგენ-მაც. ამან ეილო სიმინდის მემოკი და ნისქელის კიბზე შედგა. ეიარა პირველი, მეორე, მესამე საფეხური და იგი იყო, ხვიმირაში უნდა ჩევიპირეკავებინა მემოკი, რომე კეფაში ჯეჯგვა რაცხამ. ჩემი აზრით, ვოტკამ, ან წნევა, ან სიბერემ, ან მარტოობამ, ან წარსულის სულელებმა, ან დანყველოს მამაზეციერმა, ხუთივემ ერთად, მთელი ძალით ჯეჯგვა და შეაქანავა. მაგანაც თავი ვერ გეიმავრა, ან რითი უნდა გეიმავრებინა, თუ არა — კი, და გედეშვა. მიაუ-თქვა და ქე დეეცა მაგიც.

რაცხა უცნაური ხმა ქონდა მაგის დაცემას.

ბეტონის პოლს დაასკდა ზურგითე და კეეცაც დაანარცხა ძირში. აი, მემოკიზა მაინც არ გოუშვა ხელი დალოცვილს. ასე ჩაბარდა პატრონი. სიმინდის მემოკთან ერთად წელი წერილი. მე შენ გეტყვი, სიმინდი მოუკიდებდა წერილზე ხელს, სიმინდი უტარებდა, სიმინდი იღებდა თავის თავზე ყორიფელს. მაინც თვითონ წელიდებდა მაგ წერილს და მაინც მარტო მიიტანდა საჭირო ადგილზე. სიკვდილითაც მარტო მოკვდა. ცხოვრებითაც მარტო იცხოვრა. არ უნდოდა, მარა ასეა აგი, ვერ გექცევი. მარტოობა რო არ ეგრძნო, მე მელაპარაკებოდა, მაისიას ელაპარაკებოდა, უშანგიეს აწყვეტილ ძუნკასაც ელაპარაკებოდა, თავის თავსაც ელაპარაკებოდა, მარა მორცხვობდა ცოტას, უკან-უკან იხედებოდა, ვინმე არ მიყურებდესო. ვის უნდა შეეხედა ნეტაი? უშანგიე და მარტო მაი იყო ამ დაქცეულში. მარა უშანგიეც სა იყო, მაგანაც წროულს წელიო წერილი და იდვა მისდა მინაში.

— აქველარ დავრჩები, — თქვა გივიკომ მამინ, როდესაც გვამს წინა ოთახში მიპრონიალდდენ, — ხო ვერ დავრჩები?

— ჩუმად!

გივიკო გაჩუმდა. მკვდარი სხეული იმ საწოლზე დაასვენეს, სადაც დედას ეძინა ხოლმე, მაგრამ მოუხერხებლობისა თუ სხვა რამის გამო, თავი უკულმა უქნეს.

— მართლა ვერ დავრჩები.



ლიტერატორი

თამარ იაშვილი

თამარ იაშვილი უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი დაამთავრა. მუშაობდა პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის განხრით, სხვადასხვა დროს იყო მეთოდისტი რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტში, პედაგოგი იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ კოლეჯში და გერმანული ენის მასწავლებელი მეექვსე საავტორო სკოლაში. გაზეთში „ლიტერატურა და სხვა“ ხელმძღვანელობდა პროზის განყოფილებას. თავიდან როგორც მოთხრობების ავტორი, შემდგომში კი, ძირითადად, როგორც ესეისტი, ქალბატონი თამარი პერიოდული გამოცემების ხშირი სტუმარია...

„ლიტერატურული გაზეთის“ მკითხველს ალბათ ახსოვს პროექტ „მრავალი მავდიდის“ ფარგლებში გამართული შეხვედრები, რომელთა შესახებ ქალბატონი თამარი გვიყვებოდა გაზეთის ფუტკლებიდან. პერიოდულ გამოცემებში, მათ შორის ჩვენთან, ხშირად იბეჭდებოდა მისი ესეები სხვადასხვა მწერალსა და მის შემოქმედებაზე. ესეებში „ლექსები ულის ფსკიდან“, „თამარი წესების გარეშე“, „ქარქემულ ბაღში მოშრილზე ხე მინდა ვიყო“, „ლამის სტუმარი“ მან ცნობილი ავტორების ერთგვარი პორტრეტები შემოგვთავაზა. თავად მისი პორტრეტი კი ამ ინტერვიუში იკვეთება.

— ლიტერატურულ გარემოში იზრდებოდით, დედა წერდა, ოჯახი ნიკო სამადაშვილთან მეგობრობდა — სანამ ამ მეგობრობაზე ვკითხავდით, თქვენს პროფესიულ არჩევანზე მითხარით, რამდენად განაპირობა იგი ოჯახმა, ბავშვობის დროინდელმა სურათ-ხატებმა? ან რა მოგცა იმ გარემომ, როგორც ლიტერატორს?

— შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში პოეზიის კულტი იყო. თითქმის ყველა პოეტის კრებული გვქონდა. შვიდი წლისას მაჩუქეს გალაკტიონის „ასი ლექსი“ — ლურჯი წიგნი — მთლიანად ზეპირად ვიცოდი.

დიდი ზემოქმედება იყო ჩემთვის პაპიდასთან სტუმრობა. ჩვენ მაშინ ნიკოლაძეზე ვცხოვრობდით, პაპიდა კი, ოლია მაგალობლიშვილი, ცნობილი ექიმი, ჯანაშიაზე ცხოვრობდა დიდი ოჯახით. მასოვს, დედა და პაპიდა ერთმანეთს ლექსის სტრიქონებით მიანიშნებდნენ ხოლმე სათქმელს და ეს ძალიან მომწონდა. დაბადების დღეებზე მოდიოდნენ ნათესავები, ჩემი ბიძაშვილები, რაც ბოლოს „პოეზიის საღამოებით“ მთავრდებოდა. მოკლედ, როგორც კი პირველ კლასში ანბანი ავითვისე, მაშინვე ლექსების წერა დავიწყე. პროზამ უფრო მოგვიანებით გამიტაცა. ძალიან ბევრს ვკითხულობდი. სკოლის ბიბლიოთეკიდან ლამის ყოველდღე ახალი წიგნი გამომქონდა, დამეს ვათენებდი კითხვაში და მეორე დღესვე ვაბრუნებდი. სახლში უამრავი წიგნი გვქონდა, მაგრამ ბიბლიოთეკაში სიარულს ხომ სხვა ხიბლი აქვს?! განსაკუთრებით ბავშვისთვის.

ჩემს ნოველებს კარგახანს არ ვაქვეყნებდი. მართალია 1990-91 წლებში ვმუშაობდი სალიტერატურო გაზეთში „ლიტერატურა და სხვა“, მაგრამ რადგან პროზას თავად ვკუთრივდები, უხერხულად მიმანდა საკუთარი ნოველების გამოქვეყნება, თუმცა წერილებს ვწერდი გერმანულ კინოზე, ლიტერატურაზე, ელექტრონულ მუსიკაზე, რელიგიასზე...

ჩემი ნოველების გამოქვეყნებას ცნობილ ლიტერატორს, გიორგი ბაქანიძეს უნდა ვუთხროდელიყ. მის ქალიშვილ ირინასთან — თავადაც მწერალია — ვმეგობრობდი. მან ნააკითხა მამას ჩემი ნოველები. ბატონმა გიორგიმ მათგან ორი შეარჩია და ჟურნალ „ცისკარში“ 1994 წელს გამომიქვეყნა. ასევე ორი მოთხრობა დაიბეჭდა „არლიში“, შემდეგ „დილის გაზეთში“, „კალმასობაში“...

— ერთ-ერთ ესეში თქვენი მშობლებისა და პოეტის დიდ მეგობრობაზე უკვე დაწერეთ, მაგრამ მაინც მინდა გთხუროთ, მოგვიყვებთ, რა ხდებოდა მაშინ, როგორ მკვიდრებს ნიკო სამადაშვილი თქვენი ოჯახის მესხიერებაში და როგორ არის წარსული განვითარებული იმ წინაშე, თქვენ რომ ინახავთ.

— ბევრი რამეა, რაც არ მომიყვლია. ბევრი სასაცილო ამბავია, რასაც პაპა, დედა და პაპიდა ერთმანეთში იხსენებდნენ, მაგრამ ყველაფერი ვერ დაიწერება, ზოგი იმდენად პირადულია. ნივთებს რაც შეეხება, ჩვენს ოჯახში ინახება „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ნიკო სამადაშვილმა დედაჩემს — ლილა მაგალობლიშვილს აჩუქა — „მზითვემი გაატანა“, როგორც თავად წააწერა. წიგნი 1957 წელს არის გამოცემული და ილუსტრირებულია მიხაი ზინის, ირაკლი თოიძისა და სერგო ქობულაძის მიერ. წიგნის ბოლოში ჩაკრულია სხვადასხვა გაზეთიდან ამოჭრილი წერილები, რომლებიც „ვეფხისტყაოსანს“ ეხება. აქ არის შალვა ნუცუბიძის 1960 წლით დათარიღებული წერილი, ცნობები

რუსთაველის საფლავის შესახებ. ასევე, იმ წერილებიდან ვიგებთ, რომ რუსთაველის პოემა დადგმულა პოლონეთში, კრაკოვის რაფსოდინის თეატრში; იქ არის ქართული დელეგაციის წევრების — გიორგი ნერეთელი, აკაკი შანიძე, ირაკლი აბაშიძე — ინფორმაცია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში რუსთაველის ფრესკის შესახებ და



ალექსეი ლოსევის რუსულ პრესაში გამოქვეყნებული — 1960 წლის 17 ივნისს — სტატია, რომელიც ძალიან მოსწონებია ნიკოს და ზედ წაუწერია კიდეც კომენტარი.

— ალბათ სწორედ ასეთმა ამბებმა ჩამოგიყალიბა დამოკიდებულება ტექსტების, ნაწარმოებების მიმართ. იმას ვგულისხმობ, რომ როცა ვკითხულობთ თქვენს ესეებს ქართველ მწერლებზე, მგონია, თქვენთვის ტექსტი სუნთქავს ავტორით, ისინი ჰგვანან ერთმანეთს და ნაწარმოების შეფასებისას თქვენ სწორედ ავტორის შინაგანიდან, მისი მსოფლხედვიდან ამოდიხართ. და ნაწარმოების „ნაკითხვაში“, ალქმაში გეხმარებათ ისიც, რომ პირადად იცნობთ ან იცნობდით ავტორს. ასეა?

— ასე გამოვიდა, რომ ძირითადად მათზე ვწერ, ვისაც პირადად ვიცნობდი — ვახუშტი კოტეტიშვილზე, ზაზა თვარაძეზე, ნუგზარ შატაიძეზე, შერმადინ ქალდანზე... ჩემი და ნიკო სამადაშვილის ცხოვრების პერიოდები არ დავმთხვავებ ერთმანეთს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არ ვიცნობდი ისეთი შეგრძობა მაქვს, რომ ძალიან ახლოს ვიცნობდი, იმდენი რამე ვიცი მასზე. შეუძლებელიც იყო, რომ არაფერი დამეწერა.

ზაზა თვარაძე და ნუგზარ შატაიძე „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში გავიცანი. მე პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში ვსწავლობდი. იმავე შენობის პირველი სართული „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციას ეკავა. ზაზა და ნუგზარი რედაქციაში მუშაობდნენ. ამ ურთიერთობების შესახებ ჩემს ესეებში უკვე დაწერე.

რა თქმა უნდა, მწერლის პიროვნული ხიბლი მიადევლებს წერას, თუმცა მხოლოდ ეს არ არის განმსაზღვრელი, მთავარი ინსპირატორი მაინც მათი შემოქმედებაა, გადამწყვეტი მნიშვნელობა სულიერ ახლობლობას აქვს. მაგალითად, სოსო მეშველიანს საერთოდ არ ვიცნობდი, მაგრამ არსებობდა ჩემი წარმოდგენა მისი პიროვნების შესახებ, ხოლო მისი შემოქმედება ძალიან ახლოსაა ჩემთან. როგორც კი ჯიმი ჯარმუშის ფილმი „პატრონი“ ვნახე, იმწამსვე თვალწინ წარმომიდგა სოსო მეშველიანი. სწორედ ეს გახდა ჩემი ესეს ინსპირაციის წყარო.

ამასწინათ სოსო ლიეტუვაში მოგზაურობდა. იქ ერთ მხატვარს უთქვამს მისთვის, შენ რომ გიყურებ ჯიმი ჯარმუშის ფილმი მახსენდება. აი, რა საოცარი დამთხვევაა.

— რაკი სოსო მეშველიანი ვახსენეთ, თანამედროვე ავტორებით გავაგრძელოთ. როგორ შეაფასებთ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს. რა მოგონით დღევანდელ ქართულ მწერლობაში და, თქვენის აზრით, რა აკლია მას?

— კარგა ხანია, ქართული ლიტერატურა იდეოლოგიური წნეხისგან გათავისუფლდა და თითქოს მწერალსაც ხელ-ფეხი უნდა გახსნოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო რთულია წერა, როცა თითქმის ყველაფერი ნებადართულია, აღარ არსებობს ცენზურა, აღარ გჭირდება სათქმელის შესანიღბად ალგორითმი ფორმების ძიება. თითქოს გაუჭირდათ მწერლებს ახალ რეალობაზე გადასვლა და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ არც აღარაფერი აქვთ სათქმელი. უკვე გაცვეთილი თემებია ქურდული სამყარო, ძველი ბიჭები, ნარკოტიკები. სინამდვილეში მწერალს ყოველთვის აქვს სათქმელი. მთავარია,

კრიზისი პარბის ნიშანია

როგორ ფორმას მოუძებნის, როგორ გადმოსცემს მას, რომ საინტერესო იყოს.

ახლა ლაპარაკობენ, რომ ლიტერატურაში არის კრიზისი, არა მხოლოდ ლიტერატურაში, ზოგადად ხელოვნებაში. ჩემი აზრით, ეს არ არის ცუდი, პირიქით, კრიზისი კარგის ნიშანია. ესე იგი რაღაც ძველი, დრომოჭმული, გაცვეთილი დამთავრდა, და საჭიროა სიახლის ძიება, კრიზისის გადალახვა და გზის გაგრძელება, სხვა სააზროვნო სივრცეზე გადასვლა. რა თქმა უნდა, ქართველი მწერლებიც გრძნობენ, რომ ახალ ტალღაზე აყოლა საჭირო, რასაც მოჰყვება განვითარება. ეს პროცესები ევროპულ და ამერიკულ ლიტერატურაში კარგა ხნის წინ მიმდინარეობდა, გადაიარა კიდეც. ვგულისხმობ პენრი მილერის „კირჩხიბის ტროპიკს“, ჯექ კერუ-აქის „გზაზე“ და, ზოგადად, ბიტნიკების შემოქმედებას, „მესამე სივრცისთვის“ დამახასიათებელი ცხოვრების წესს, როცა ცხოვრება და შემოქმედება ერთია, როცა მოძრაობა არის განვითარება.

ჩვენ ერთმა დიდმა ტალღამ უკვე გადავიარა 80-90-იან წლებში. გავიხსენებ „რეაქტიული კლუბის“ პოეზიას და მთლიანად ირაკლი ჩარკვიანის მუსიკას, მხატვართა ჯგუფს „მეთავე სართული“ — კარლო კაჭარავას, მამუკა ცეცხლაძეს, ოლეგ ტიმჩენკოსა და სხვებს, გაზეთს „ლიტერატურა და სხვა“, რომელმაც შემოიკრიბა ახალგაზრდა მწერლები, ლიტერატურულ პერიფერიას მისცა, საღამოოებს. ეს ყველაფერი საბჭოთა ეპოქაში დაბადებულმა ადამიანებმა გავაკეთეთ.

— მართალი ბრძანდებით, ლიტერატურა ეპოქასთან კონტექსტში განიხილება.

— ლიტერატურული პროცესის განხილვა არ შეიძლება ცალკე, ეპოქისგან მოწყვეტილად. მაშინაც იყო შემოქმედებითი კრიზისი, მაგრამ ცალკეული მწერლების ექსპერიმენტები, პოსტმოდერნისტული პოეზიის ნიმუშები იძლეოდა მუხტს, იმპულსებს კრიზისის გადასალახავად და მართლაც წამოვიდა ახალგაზრდული ტალღა.

ახლა სამყარო ახალი შემოქმედებითი ძვრებისთვის ემზადება, უკვე 21-ე საუკუნეა. სულ სხვა თაობა მოდის და, რაღა თქმა უნდა, არ ჰგავს იმ თაობას, რომელიც ორმოცდაათი წლის წინ იყო. ახალი თაობა

ბევრად უფრო განვითარებულია, მგობრობს ტექნოლოგიებთან, საოცრად დიდ ინფორმაციას ფლობს.

დარწმუნებული ვარ, რომ მაღალი სულიერი და შემოქმედებითი განვითარების საფეხურზე უნდა გადავიდეთ, რაღაც ახალი ტალღა უნდა მოვიდეს. მთელი ენერჯია სულიერი განვითარებისკენ უნდა წარიმართოს. ამისთვის უნდა მოვემზადოთ, ვერ დავედებით ხელეჩამოყრდინი. უპირველესად, უნდა გავანალიზოთ, „გადავხარშოთ“ წარსული, რა ეპოქა გავიარეთ, რა ომის ქარტილები დაგვატყდა თავს და რის ფასად სოვიპოვეთ თავისუფლება — გინდა სოვიპოვეთ თავისუფლება და გინდა პიროვნულ დონეზე — ყველაზე დიდი ღირებულება ამ ქვეყნად, და რომ არაფრის გულისთვის აღარ დავთმოთ ამ მონაპოვარს, ვეღარაფერი შეგვაბრუნებს იდეოლოგიების ჩარჩოებში. სწორედ ეს მისიაა — გაანალიზოთ წარსული — აკისრია დღეს ქართულ მწერლობას, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, არ დაიშუროს ძალისხმევა ახალი სააზროვნო სივრცის შექმნისთვის, ლიტერატურული კრიზისის დაძლევისთვის, თანამედროვე გამოწვევებისთვის. რაც შეეხება პირველ ნაწილს, აქ უნდა დავასახელო აკა მორჩილაძის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, ნუგზარ შატაიძის „მოგზაურობა აფრიკაში“, კოტე ჯანდიერის „გლობალიზაცია“, ბექა ქურხულის „სამოთხიდან გაქცეულები“, არჩილ ქიქოძის „სამხრეთული მინდორი“, პაატა ბერიკაშვილის „შავი პეპლების სერენადა“... ბუნებრივია, რაღაც გამომრჩება.


თუ ნახევარი საუკუნის შემდეგ მომავალი თაობა წაიკითხავს ამ ნიგნებს, მიხვდება, რა ხდებოდა ჩვენს ეპოქაში, რითი ვცხოვრობდით, რითი ვსუნთქავდით. ეს აუცილებლად გასაკეთებელი იყო. იმედი მაქვს, რომ მწერალთა ახალი თაობა არ შეეცდება დამკვიდრებულ სტრუქტურებში ინტეგრირებას და „მესამე სივრცეს“ მოძებნის. არ შემიძლია, არ ვახსენო ცოტენ ცხვედიანის „მაიაკოვსკის თეატრი“ — და ლუკა ბაქანიძის „მესამე ნაპირი“ — ქურჩა, მინისქვემა გადასასვლელების მუსიკოსები, ნარკომანები, უსახლკაროები... „მესამე სივრცე“ — როგორც არსებულ ფასეულობებთან დაპირისპირება, როგორც გაქცევა საზოგადოებრივი კლიშეებისგან, როგორც სწრაფვა სხვა, განსხვავებული სააზროვნო სივრცისკენ, იდენტობის გაქრობისკენ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მძაფრად გამოიხატა შოუ ბაბუხადას — იგივე ზურაბ ქარუმიძე — „ბაყაყებში“ და ზურა ჯიმიკარიანის „საღებჭ განთიადებში“, ორ სახელსაც განსხვავებულ რომანში, რომლებმაც დიდი მითქმამოთქმა გამოიწვია. მათ აკარგაინობაზე მსჯელობა სხვა დროისთვის გადავდეთ.

თანამედროვე ლიტერატურა სიახლისკენ უნდა ისწრაფოდეს, რომ ახალი შემოქმედებითი ტალღა მოვიდეს. ჩვენ არ ვიცით, რა მოვა, ჯერჯერობით მხოლოდ „მსუბუქი ბიძგები“ იგრძნობა. მანამდე კი, მგონია, ბევრი მეტა-ტექსტი დაინერება.

— როგორც ამბობენ, მწერლობასა თუ, ზოგადად, ხელოვნებაში „კრიზისი“ მიუხედავად, ფრანკფურტის წიგნის ბაზარზე საქართველო შთამბეჭდავად წარდგა...

— ინფორმაციის ნაკლებობას არ განვიცდით, ასევე პირადი კონტაქტები გვაქვს უცხოელ მწერლებთან. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობამ. ამას უფრო მეტად ის ფუნქცია ჰქონდა, რომ ჩვენი ლიტერატურა გააქვეყნო ევროპისათვის, რომ ქართველი მწერლების მკითხველთა წრე გაფართოებულიყო და ჩვენც ევროპის საერთო ლიტერატურული სივრცის ნაწილი გავმხდარიყავით. გარდა ამისა, ქართველი მწერლები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურულ ფესტივალებში, ხოლო უცხოელი მწერლები — ჩვენს ფესტივალებსა და ლიტერატურულ საღამოებში. ასე ვთქვათ, მსოფლიო ლიტერატურულ ცხოვრებას ვეხმავები მივდევთ. ამის ნათელი მაგალითია ისიც, რომ წელს „საბაზე“ 113 თარგმანია წარდგენილი. გარდა ამისა, საქართველოში ნობელის პრემიის მფლობელი მწერლებიც ჩამოდიან და ჩვენ მათ მათივე ნიგნების შესანიშნავი თარგმანებით ვხვდებით. საქართველოს ესტუმრა სვეტლანა ალექსივიჩი და ჩვენ მისი ყველა ნიგნი თარგმნილი გვაქვს.

ასალი ბიობრაფია



აგერ, ბობ დილანმა აილო ნობელის პრემია, რამაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია ლიტერატურულ საზოგადოებაში, მაგრამ ზვიად კვარაცხელიას, როგორც გამომცემელს, არ გააკვირვებია, რადგან უკვე მისი წიგნი ჰქონდა გამოცემული. 2017 წელს კაზუო იმიგურომ გაიმარჯვა და მისი რომანებიც გვაქვს ქართულად. შემდეგი, ალბათ, ჰარუკი მურაკამი იქნება და მოვლენებს ამჯერადაც ვუსწრებთ წინ. შარშან პოპულარული მწერალი მიშელ უელბეკი გვეწვია მისი ერთგული მკითხველის თხოვნით. სექტემბერში, სავარაუდოდ, პერუელი მწერალი მარინო ვარგას ლიოსა ჩამოვა, რომელმაც 2010 წელს აილო „ნობელი“. ჩვენ უკვე მისი ექვსი რომანი გვაქვს ნათარგმნი. ახლა ვკითხულობ „ბოლო ჟამის ომს“, რომელიც მშვენივრად თარგმნა ესპანურიდან ელისაბედ ყვაილაშვილმა.

იმედისმომცემი თაობა მოდის, განათლებული, ნიგნეირი. თვალყურს ვადევნებ შემეცნებით-გასართობ პროგრამა „ნიგნების თაროს“ და გაკვირვებული ვარ, იმდენად კარგად იცნობენ სკოლის მოსწავლეები როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურას. საოცრად სხარტი აზროვნებით გამოირჩევიან „კამების თაობისგან“. მომავალი ამდაგვარი სატელევიზიო პროგრამების არის. შემდგომში, ალბათ, ეს ბავშვები შექმნიან მომავლის ლიტერატურას — ზოგი მათგანი მწერალი იქნება, ზოგიც — კარგი მკითხველი...

— პუბლიკაციაში, რომელიც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა და სოსო მეშველიანის შემოქმედებას ეხება, წერო: „ლექსი, როგორც შველა, როგორც სულის მოთქმა“ — მეც ვფიქრობ, ლექსი ავტორისთვისაც და მკითხველისთვისაც შველა, სულის მოთქმაა. თქვენთვის რა არის პოეზია? ლექსს ხომ რომანივით ვერ „ჩაუჯდები“, მას მომენტი, განწყობა, კონტექსტი სჭირდება, ზოგჯერ კი თვითონ წამოგენება.

— რომანებს იშვიათად ვუბრუნდები. ეს იმ შემთხვევებში ხდება, როცა რაღაც ზუსტად არ მახსოვს, რაღაცის გადამონებმა მჭირდება... რაც შეეხება პოეზიას, რამდენიმე პოეზიის კრებულს ყოველთვის მიღვს მაგიდაზე და შიგადაშიგ ჩაგხედავ, რომელიღაც ლექსს ნაეკითხავ, მერე ისევ დავხურავ, შეიძლება საღამოს ან მეორე დღეს ისევ გადავშალო. ამოჩემებული პოეტი არ მყავს. ძირითადად, ახალი კრებულისგან ვკითხულობ ხოლმე ლექსებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ისეთი პოეტის ლექსებს, რომელიც მიყვარს ან მაინტერესებს. მაგალითად, გიორგი ლობჯინიძის „სიზმრის ნანგრევებში“ ერთი თვის წინ გამოვიდა. მას შემდეგ ვკითხულობ, ახალია ჯერჯერობით. აი, თემურ ჩხეტიანის ლექსების კრებულს „ბალახის სიმალღეს“ კი ერთი წლის განმავლობაში დროდადრო ვკითხულობ, საინტერესო სტროფებს ვინიშნავ, ვფიქრობ... მინდა, ესე დავწერო თემურის შემოქმედებაზე, მთავარი ხაზი გავავლო უკვე, მერე ხან „ფეისბუქზე“ მისი ლექსი ავკრიფე და ხანაც ხმოვანი ჩანაწერი დავდე, თემურიც ინტუიციით მიხვდა, რომ რაღაცას ვწერ. ამან ცოტა შემაფერხბა, რადგან თემურის მოლოდინიც ჩაერთო საქმეში.

თუ სოსო მეშველიანი ღვთისმშობლის ნიჭის პოეტი, ბუნებრივი, ნამდვილი მარგალიტივით, თემურ ჩხეტიანი პირიქით, ძალიან ინტელექტუალური პოეტი გახლავთ. მე ორივე მიყვარს, ორივეს საოცრად საინტერესო პოეზია აქვს.

ვერ ვწყდები ვახტანგ ჯავახიძის „უცნობს“. ამ წიგნს გალაკტიონის მისტიკურ სამყაროში შევყავართ. თუმცა ეს ბიოგრაფიული რომანია და არა ლექსების კრებული, მაგრამ ამბებია ისეთი, ჩვენს სულიერ სამყაროს რომ ასაზრდოვებს.

ლექსი, რა თქმა უნდა, სულის მოთქმაა, ხშირად პა-

სუხია იმ შეკითხვაზეც, რომელიც განვალბებს, ხანდახან შენში მინავლული გრძობის გაღვივება, ხანდახან სილის განწასავით არის, გაფხიზლებს.

ყოველ დილას შევიდევარ ინტერნეტში და იქ რომელიღაც პოეტის ახალი ლექსი მხვდება. მიხარია. ამ პოეტებზე ვინმე რამეს დანერს თუ არა, მიუხედავად ამისა, ისინი არსებობენ და კარგ ლექსებს წერენ. იშვიათად მეც ვწერ ლექსებს. პატარა ციკლი გავაკეთე მხატვართა მუშების შესახებ — იმ ქალბზე, რომლებსაც ცნობილი დიდი მხატვრები მუნი, მონე, შაგალი, კლიმტი, მატისი, ვერმეერი და სხვები ეტრფოდნენ და ხატავდნენ.

— უცხოელ ავტორებზე მინდა გკითხოთ — რომელი ქვეყნის ლიტერატურა გიყვართ ან თქვენი ფავორიტი მწერალი ვინ არის და რატომ?

— ყველაზე მეტად იაპონური ლიტერატურა მიყვარს: რიუნოსკე აკუტაგავა, ქენძაბურო ოე, კობო აბე, იასუნარი კავაბატა, იუკიო მიშიმა, ჰარუკი მურაკამი... ეს ჩემთვის აბსოლუტურად სხვა სამყარო, რაღაც განსხვავებულ საიდუმლოსთან ზიარება და მე, როგორც მკითხველი, ამგვარი ლიტერატურისგან ვიღებ სიამოვნებას.

განსაკუთრებულად ფავორიტი მწერალი არ მყავს, თუმცა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მწერალმა იქონია ჩემზე დიდი გავლენა. ერთ-ერთი ასეთია ჰენრი მილერი. ეს მაშინ, ოცდაათი წლის წინ, სრულიად ახალ სამყაროსთან შეჯახებას ნიშნავდა და ამ შეხვედრას უკვალოდ არ ჩაუვლია. ასევე მახსოვს, როგორი მოულოდნელი რომანი აღმოჩნდა ჩემთვის მარკესის „მარტოობის ასი წელი“, ჰერმან მელვილის „მოზი დიკი“, ჯოისის „ულისემ“ კი საერთოდ გადატრიალება მოახდინა ლიტერატურის ტრადიციულ გაგებაში. ჩვენი თაობა ხომ ძირითადად კლასიკურ ლიტერატურაზე იყო აღზრდილი.

ადრე, როცა ამდენი არ ითარგმნებოდა, ძირითადად „ინოსტრანია ლიტერატურას“ ვკითხულობდით. ასევე წილად მხვდა ბედნიერება, დედანში მეკითხა გერმანული ლიტერატურა და ამის შესახებ მესაუბრა ისეთ გერმანისტთან, როგორც რეზო ყარალაშვილი იყო და მისთვის გაემზიარებინა ჩემი აღტაცება ჰერმან ჰესეს შემოქმედებით.

ახლა უკვე იმდენი კარგი თარგმანი გვაქვს, რომ ენების არცოდნაც აღარ არის პრობლემა. მხოლოდ გოეთეს „ფაუსტის“ ნერვდიანისეული შესანიშნავი თარგმანის დასახელებაც კმარა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ.

ამ უკანასკნელ პერიოდში, ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მარგარეტ ეტუუდის „მხველის წიგნი“. ეს არის ამბავი, თუ როგორი განვითარების კენ შეიძლება ნაწიედეს იდეოლოგიური ჩარჩოში მოქცეული საზოგადოება. ამ ნაწარმოების ეკრანიზაციაც არსებობს სერიალის სახით, რომელმაც „ემის“ რვა ჯილდო აილო 2017 წელს. საოცრად სამიში და იმავდროულად ულამაზესი სერიალია. საერთოდ, მიყვარს ამა თუ იმ ნაწარმოების ეკრანიზაციის ყურება, განსაკუთრებით, როცა წიგნი მაქვს ნაკითხული. რა თქმა უნდა, წიგნის სამყარო სულ სხვა სამყაროა, მაგრამ ხანდახან ისეც ხდება, რომ ფილმი სჯობს წიგნს, როგორც ბერჯესის „მექანიკური ფორთოხლის“ ეკრანიზაციის შემთხვევაში. ასევე საოცარი ეკრანიზაცია აქვს გიუნტერ გრასის „თუნუქის დოლს“.

— აპირებთ თქვენი ნაწერები გააერთიანოთ და კრებული გამოცემოთ?

— სამი წიგნის მასალა დამიგროვდა — ნოველები, ესეები და გამოუქვეყნებელი რომანი. მოთხრობები და ესეები სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა პერიოდულ პრესაში, რომანი კი მხოლოდ რამდენიმე ადამიანს აქვს ნაკითხული ხელნაწერში. ალბათ დროა, ყველაფერს მოვუყარო თავი, გადავარჩიო, გავარედაქტირო და გამოვაქვეყნო.

— თქვენ უძღვებოდით „ლიტერატურული გაზეთის“ რუბრიკას „მრგვალი მაგიდა“, რომლის ფარგლებშიც ინვევდით ხოლმე ლიტერატორებს, კრიტიკოსებს, მწერლებს და საუბრობდით რომელიმე კონკრეტულ თემაზე. როგორ გაიხსენებთ იმ პროექტს და რომელი შეხვედრა დაგამახსოვრდათ, როგორც ყველაზე საინტერესო და აქტუალური?

— პირველ შეხვედრაზე მოვიწვიეთ კრიტიკოსები: ივანე ამირხანაშვილი და გია არგანაშვილი, ასევე მწერალი და გამომცემელი ზვიად კვარაცხელია. ჩვენი მიზანი იყო, განგვესაზღვრა ბოლო პერიოდის ლიტერატურული მიმდინარეობები და წარმოგვეჩინა ლიტერატურულ სივრცეში არსებული პრობლემები. ზვიადს, როგორც გამომცემელს, საგამომცემლო პრობლემებზე უნდა ესაუბრა.

მომდევნო შეხვედრა მოდერნიზმა და პოსტმოდერნიზმს მიეძღვნა. შეხვედრაზე, რაღა თქმა უნდა, ისეთი ლიტერატორები მოვიწვიეთ, ვისთვისაც ეს უფრო ახლობელი თემა იყო: ზურაბ ქარუმიძე, კოკა ბრეგაძე და პაატა ჩხეიძე.

მესამე „მრგვალი მაგიდა“ ზღაპრების თემას შეეხებოდა. სოციალურ ქსელში არაჯანსაღი აურზაური იყო ატეხილი ზღაპრების გარშემო. არ შეიძლებოდა, ამის უპასუხოდ დატოვება. რაღა თქმა უნდა, მოვიწვიეთ ცნობილი ფოლკლორისტიკები: ზურაბ კიკნაძე და რუსუდან ჩოლოყაშვილი, ასევე — საბავშვო პოეტი ვასო გულეური. საინტერესო საუბარი გამოგვივიდა.

ყველა შეხვედრა აქტუალური იყო და დიდი გამოხმაურება მოჰყვა. როგორც ჩანს, არის ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებაში ამგვარი საუბრების დეფიციტი. იქნებ გავაგრძელოთ კიდევ ეს პროექტი, ბევრი რამ დავგერჩა კიდევ განსახილველი.





დასასრული

ვიქტორიანული ბიოგრაფია ნახევრად-ფერადი, შერეული, ამაზრუნენი წარმონაქ-ნი იყო. მართალია, სიმართლეს ისევე ზედ-მინუნებით იკვლევდა, როგორც ბოსველი, მაგრამ პიროვნულობას, ბოსველის ნიჭის-გან განსხვავებით, რომელმაც თავისუფ-ლად გადმოსცა ის, შლიდა და ამახინჯებ-და. კონვენციები, რომელიც მან დაამსხ-ვრია, ისევე აღდგა, აღდგა განსხვავებული ფორმით, იმ ბიოგრაფების მიერ, რომელთა-ც აკლდათ მისი მსგავსი ოსტატობა. მაშინ რაოცა, მისის ჰაინსონსა და ისააკ უოლ-ტონს სურდათ, დაემტკიცებინათ, რომ მათი გმირები გამბედაობისა და ცოდნის ნაკლებ-ობას განიცდიდნენ, ვიქტორიანელ ბიოგრაფებზე მხოლოდ დადებითი იდეა მბრძანებლობდა. ელიტური, სწორხაზო-ვანი, წმინდა, მკაცრი. ამგვარად წარ-მოგვიდგებოდა ვიქტორიანული ღირე-ბულები. ბიოგრაფიის ფიგურა, ცილინ-დრსა და გრძელ პალტოში გამოწყობილი, თითქმის ყოველთვის რეალურ ზომაზე დიდი იყო, მისი წარდგენის მანერა კი უფრო მეტად უხეში და შრომატევადი ხდებოდა. ცხოვრება, რომელიც ქმედებებში ვერ ვლინდებოდა, თავს უსასრულო რაოდენო-ბის სიტყვებში იყრიდა. კეთილსინდისიერ ბიოგრაფს შესაძლოა არ მოეთხორო მშვე-ნიერი ზღაპარი ბედნიერი დასასრულით, მაგრამ იძულებული იყო გზა ფუჭად ეკვ-ლია დაუსრულებელ ლაბირინთში და აუ-რაცხელი დოკუმენტებით გარემორტყმუ-ლი მჯდარიყო. საბოლოოდ უფრომო მასას ჰქმნიდა, მაგალითად ტენისონის ან გლად-სტონის ცხოვრებისა, რომელშიც გულნატ-კენი ვეძებდით ხმას ან სიცილს, წყევლას ან მრისხანებას, ნებისმიერ ნაკვალევს, რაც დაგვარწმუნებდა, რომ სამარხი რეალური ადამიანისა იყო. ხშირად მართლაც მოვი-პოვებდით ფასდაუდებელ ჯილდოს, ვიქ-ტორიანული ბიოგრაფები ხომ სიმართლით იყვნენ აღჭურვილნი, მაგრამ ყოველთვის, უზარმაზარ ნაგავში ქექვის განცდა გვრ-ჩებოდა, განცდა მცდარი შემოქმედებითი მეთოდისა.

მე-20 საუკუნემ მოიტანა ცვლილებები ბიოგრაფიაში, ისევე როგორც თხზულ პროზასა და პოეზიაში. ცვლილების უპირვე-ლესი და აშკარა ნიშანი ბიოგრაფიის გან-სხვავებული ზომა გახდა. მეოცე საუკუნის პირველ ოცნლეულში, ბიოგრაფიამ თავი-სი მოცულობის ნახევარი დაკარგა. მისტერ სტრენგიმ ოთხი დიდი ვიქტორიანული ერთ თხელ ტომში გააერთიანა. მორუამ შელის ცხოვრების ჩვეული ორტომეული ერთ პა-ტარა, რომანის ზომის ნიგნად გადახარშა. მაგრამ ზომის შემცირება მხოლოდ შინა-განი ცვლილების გარეგნული გამოხატ-ულება გახლდათ. ხედვის ურესპექტივა სრულიად შეიცვალა. თუ ახალი სკოლის რომელიმე ბიოგრაფიას გადავვლით, ფაქტების სიმწირითა და სიცარიელით დავრწმუნდებით, რომ ავტორის დამოკიდე-ბულია ცივი თავის სუბიექტთან გარდაქმნილ-ია. ავტორი აღარ არის სერიოზული და თანამგრძობი თანამგზავრი, რომელიც მორუად გართხმულა გმირის ფეხებთან. მეგობარია თუ მტერი, თავყანისმცემელი თუ კრიტიკოსი, ბიოგრაფი გმირის თანას-წორია. ნებისმიერ შემთხვევაში, ის იცავს საკუთარ თავისუფლებასა და დამოუკიდე-ბელი განსჯის უფლებას. ამასთანავე, თავს არ ბოჭავს საიმისოდ, რომ გმირის ყველა ნაბიჯს მისდიოს. პატარა ბორცვიდან, რომელზე ასვლის შესაძლებლობაც დამოუკიდებლობამ მისცა, განვრცობი-ლად ხედავს საკუთარ საგანს. ის ირჩევს; ის აკავშირებს; მოკლედ რომ ვთქვათ, ის წყვეტს ჟამთააღმწერლობას; ის ხელოვანი ხდება.

მხოლოდ რამდენიმე წიგნი ასახავს ბიოგრაფიის ახალ დამოკიდებულებას იმაზე უკეთ, ვიდრე ჰაროლდ ნიკოლსონის „რამ-დენიმე ადამიანი“. ტენისონსა და ბაირონზე დაწერილ ბიოგრაფებში, მისტერ ნიკოლ-სონი მიჰყვება მისტერ სტრენგისა და სხვა-თა მიერ გათვლილ ბილიკს. აქ იგი საკუ-თარი ინიციატივით დგამს ნაბიჯს. იგონებს მეთოდს, რომელიც იცხე ნერს სხვებისა და

საკუთარი თავის შესახებ, თითქოს ერთ-დროულად ნამდვილი იყვნენ და წარმო-სახვითნიც. ბრწყინვალე გამარჯვება მოი-პოვა, თუ სრული არა, ორი სამყაროს საუკეთესო ვერსიად გაერთიანებაში. რამ-დენიმე ადამიანი არ არის ფიქცია, რადგან აქვს სიმყარე — რეალური სინამდვილე-არც ბიოგრაფიაა, რადგან აქვს თავისუფ-ლეობა — ფიქციის არტისტიზმი. და თუ ვეცდებით აღმოვაჩინოთ, როგორ მოიპო-ვა ავტორმა საკუთარი თავისუფლება მე-ტისმეტად სახალისო გვერდების შესაქმ-ნელად, უპირველეს ყოვლისა, იმ გამბე-დაობისთვის უნდა შევაქოთ, რომლითაც საკუთარი თავი ილუზიის გროვისგან გამ-იჯნა. ინგლისელ დიპლომატს ქრთამი შესთავაზეს, რაც ჩვეულებრივ აცდუნებს ადამიანებს, რომ მოზრდილი ზომის ტყუი-ლის ულუფა მშვიდად გადაეცალოს. თუ მისტერ ნიკოლსონი ამას ლორდ კერზონის შესახებ დაწერდა, ეს სერიოზულობას შეი-ძენდა. თუ საგარეო საქმეთა სამინისტროს ახსენებდა, ტაქტიკადა ისაუბრებდა. მისი ტონი ბოგნორისა და უიათპოლის სამყაროს მიმართ მეგობრული, თუმცა გულწრფელი

ვირჯინია ვულფი

ახალი ბიოგრაფია



იქნებოდა. მაგრამ, მადლობა რიგით გავ-ლენებსა და ადამიანებს, რომელთა შორის შესაძლოა ვახსენოთ მაქს ბირბომი და ვოლ-ტერი, რომ მოქრთამული და დამყოლი მოხელეებისადმი ამგვარი დამოკიდებულე-ბა ატომივით დაიშალა. მისტერ ნიკოლსო-ნი იცინის. ის დასცინის ლორდ კერზონს; ის დასცინის საგარეო საქმეთა სამინის-ტროს. ის საკუთარ თავსაც დასცინის. და რადგანაც მისი სიცილი დაზვერვამი მყო-ფი კაცის სიცილია, იძულებული ვართ, სერიოზულად აღვიქვათ მისი დაცინვის ობიექტები. ლორდ კერზონის ფიგურა, რომელიც მთვრალი კამერდინერის უკან იმალება, დაცინვასა და უპატივცემულო-ბას იწვევს. და მაინც, არცერთი კვლევა ლორდი კერზონის შესახებ, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაწერილა, ასე თბილად არ განგვაწყობს ამ ბრიყვი, თუმ-ცა მეტისმეტად ჰუმანური კაცის მიმართ.

ამგვარად, როგორც ჩანს, ერთ-ერთი უდიდესი უპირატესობა ახალი სკოლისა, რომელსაც მისტერ ნიკოლსონი ეკუთვნის, პოზის, ტყუილისა და ცერემონიის ნაკლებ-ობაა. ამ სკოლის წარმომადგენლები უშიშ-რად უახლოვდებიან ბოზობებს. მათ არ აქვთ სამყაროს უცვლელი სქემა; გამბედაო-ბისა და მორალურობის სტანდარტი, რომ-ლის მორჩილებასაც მოითხოვენ. მათი ცნობისწადილის უდიდესი ობიექტი თავად ადამიანია. გარდა ამისა, არსებობს უმთავრესი მიზეზი, რამაც, ამავე დროს, ასე შეამცირა ბიოგრაფიის მოცულობა, რომ ადამიანის ბუნება, მისი ხასიათის არსი, რაობა და პიროვნულობა, თავისთავად მყლავნდება ხმის ტონში, თავის მობრუნება-ში, სასხვათაშორისოდ წამოსროლილ პატ-არა ფრაზებსა თუ ანეკდოტებში. ამგვარ-ად, ნიკოლსონთან, ორ ეშმაკურ ფრაზაში, ბრწყინვალე აღწერილობის ერთ-ერთ პასა-ჟში, ვიქტორიანული ტომის მთელი თავია

თლაც, წიგნის დასასრულს ვხვდებით, რომ პორტრეტი, რომელიც ყველაზე სრულყოფილად და ფაქიზადაა დახატული, თავად ავტორისაა. თითოეულ საგარეოდ სუბ-იექტს, ხელში უჭირავს ელვარე სარკე, ჰაროლდ ნიკოლსონის სხვადასხვა ანარეკ-ლით. და მიზეზი, რისი მეშვეობითაც, ამგ-ვარად დახატული ფიგურები არც კეთილ-შობილი არიან და არც შთამბეჭდავნი, არც ზედმეტად გმირული დამოკიდებულებით ნაჩვენები, სწორედ ის არის, რომ ისინი მე-ტისმეტად ადამიანურები არიან. ასეა, როგორც ჩანს, სურდა ეთქვა, რომ წიგნი მეგობრების სარკეში, სწორედ ჩვენ ვცხ-ოვობთ.

ნიკოლსონის შედეგი არამხოლოდ ოს-ტატობის, არამედ იმ დადებითი თვისებე-ბის ტრიუმფიცაა, რომელიც ხშირად უარყ-ოფითი გვგონია — განთავისუფლება პოზისგან, სენტიმენტალობისგან, ილუზიე-ბისგან. გამარჯვება იმდენად აშკარაა, რომ გვიტოვებს კითხვას, რა ტერიტორია მოუპოვა მან ბიოგრაფიის ხელოვნებას? მისტერ ნიკოლსონმა დაამტკიცა, რომ ფიქციის არაერთი საშუალების გამოყ-ენება შესაძლებელი რეალურ ცხოვრება-ზე ნერისას. მან გვიჩვენა, რომ ფაქტებთან შერეული სულ ცოტა ფიქცია, პიროვნულო-ბას ყველაზე ეფექტურად გადმოსცემს. მა-გრამ, აქაც იწინებს თავს გარკვეული წინააღ-დეგობა და შეზღუდვა. უდავოა, რომ რამ-დენიმე ადამიანის ფიგურა იმაზე პატარაა, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. მიუხედავად თანაგრძობისა, ირონია, რომლითაც ავ-ტორი თავის გმირებს ეყრება, აფერხებს მათ ზრდას. არაფერი აშინებს იმაზე მეტად, რომ ეს პატარა არსებები გაიზრდებიან და სერიოზულნი, ან შესაძლოა, ტრაგიკულნი გახდებიან. და ამიტომ, რამდენიმე მცირე მონაკვეთის გარდა, ისინი სრულად არას-დროს იპყრობენ სცენას. მათ არ სურთ,

ვინმე ახლოდან აკვირდებოდეთ. არ გაჩ-ნიათ დაიდი, საგმირო საქმეები. მისტერ ნი-კოლსონი გვაფიქრებინებს, რომ ის საკმაოდ საშიში ელემენტებით გვეთამაშება. ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა და წიგნს წაკიდებული ცეცხლის ალი ცამდე მის-წვდება. ის ფიქციისა და რეალური ცხოვრე-ბის სინამდვილის გაერთიანებას ცდილობს და ავიწყდება, რომ ამის გაკეთება რომე-ლიმე მათგანიდან, მხოლოდ ერთი მნიკვი სინამდვილის აღებით არის შესაძლებელი. ორივე სინამდვილე ჭეშმარიტია და ამგვარ-ად, ისინი ანტიგაგონისტები არიან. მიეცით მათ შეხვედრის უფლება და ერთმანეთს დაამსხვრევენ. აქაც კი, სადაც წარმოსახვა არც ისე ღრმადაა ჩართული, ჩვენთვის ნაც-ნობი რეალური ადამიანების, მაგალითად, ლორდ ოქსფორდის ან ლედი კოლფაქსის გაერთიანება მის პლიმონთან ან მარსტოკ-თან, ვისი არსებობაც გვეეჭვება, საბ-ოლოოდ, ერთის მიერ მეორის განადგურე-ბას იწვევს. იყოს ფაქტი ან იყოს ფიქცია. წარმოდგენა ერთდროულად ორ ბატონს ვერ ემორჩილება.

აქ კვლავ ვუახლოვდებით სირთულეს, რომელსაც მთელი თავისი გამომგონებლო-ბით, ჯერ კიდევ აწყდება ბიოგრაფი. ფაქტე-ბის სინამდვილე და ფიქციის სინამდვილე შეუთავსებელია. და მაინც, დღეს იმაზე მეტად ითხოვენ ბიოგრაფისგან ამ ორის გაერთიანებას, ვიდრე არასდროს. როგორც ჩანს, მეტისმეტად რეალური ცხ-ოვრება ჩვენთვის ფიქციური ცხოვრებაა. ის უფრო მეტად სახლობს პიროვნულობაში, ვიდრე მოქმედებაში. თითოეული ჩვენგანი უფრო მეტადაა ჰამლეტი, დანის პრინცი, ვიდრე ჯონ სმიტი, სიმინდით მოვაჭრე. ამგ-ვარად, ბიოგრაფის ალგზნებული წარმო-სახვა, ცხოვრების ასახვისას, ყოველთვის მიმართავს რომანისტიკის დამახასიათე-ბელი სტრუქტურის, შეხედულებების, დრა-მატული ეფექტის ხელოვნებას. და მაინც, თუ ბიოგრაფი იმდენად შორს წავა ფიქცი-ის გამოყენებაში, რომ უგულებელყოფს სი-მართლეს, ან შეუსაბამოდ გადმოსცემს მას, ორივე სამყაროს დაკარგავს. არც ფიქცი-ის თავისუფლება შერჩება და არც სინამდ-ვილის სიმყარე. ბოსველის განსაცვიფრე-ბელი ზემოქმედება, რომელსაც ჩვენზე ახდენს, უმეტესად უტყუარ სიმართლეს ემ-ყარება, ამიტომაც ხდება რომ შინაგანად ვენდობით მის მონათხრობს. როდესაც ჯონსონი ამბობს: „არა, სერ, სრული უფუნურება გახლდათ“, მისი ხმა ზარვივით უღერს, რადგან რამდენიმე გვერდით ადრე, ნათლად და პროზაულად, უკვე ნათქვამია, რომ ჯონსონი „ცხრამეტი წლისა იყო, როცა 1728 წლის 31 ოქტომბერს, პებროკის კოლფაქსში შეაბიჯა“. ჩვენ აგურისა და მყარი ზედაპირის სამყაროში ვართ; დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების; პარლა-მენტის აქტების; პიტის, ბერკის და სერ ჯო-შუა რეინოლდსის სამყაროში. საეჭვოა, არის თუ არა ეს სამყარო უფრო რეალური, ვიდრე ბოჰემიის, ჰამლეტისა და მაკბეტის სამყაროა. მაგრამ, ამ ორის გაერთიანება უფუნურებაა.

შეგვიძლია ერთი მარტივი ექსპერი-მენტით დავრწმუნდეთ, რომ ვიქტორიანე-ლი ბიოგრაფიების დრო წარსულს ჩაბარ-და. დაფიქრდით თქვენს გარემომყოფებზე და მათი ნამდვილი ცხოვრების რამდენიმე წელი აღწერეთ. წარმოიდგინეთ, როგორ დეტალურად ასახავდა მას ლორდი მო-ლოი; როგორ დაასაბუთებდა სერ სიდნი ლი; და რა კომიკურად გაუსხლტებოდათ ხელ-იდან ამბის ყველაზე დიდი სინამდვილე. არც ისეთი ბიოგრაფიის დასახელება შეგვიძლია, ვისი ხელოვნებაც იმდენად ფაქიზი და გამბედავია, რომ სიზმრისა და რეალობის უცნაურ სინთეზს ქმნიდეს, გრანტიტისა და ცისარტელას მარადიულ ქორწილს წარ-მოგვიდგენდეს. ბიოგრაფის მეთოდს ჯერ კიდევ საჭიროებს აღმოჩენას. მაგრამ, მის-ტერ ნიკოლსონმა ბიოგრაფიისა და ავტო-ბიოგრაფიის, ფაქტისა და ფიქციის სინთეზ-ით, ლორდ კერზონის შარვლითა და მის პლიმონის ცხვირით, შესაძლო მიმა-რთულებისკენ, მსუბუქად გვიბიძგა ხელი.

თარგმნა ქეთევან ბახოკია

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
ISSN 2346-7940
9 772346 794004
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com